

„ეკონომიკური პროფილი“, #1, 2006, ივლისი

1. რევაზ კაკულია - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი.

ეკონომიკური თეორია, როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზამკვლევი

თანამედროვე ეკონომიკური სისტემის პრობლემებს შორის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა ეკონომიკური თეორიის კვლევის არადაამაკმაყოფილებელი დონე. მარქსიზმ-ლენინიზმის დოგმებმა საფუძველი გამოაცალა ეკონომიკურ სისტემათა შესახებ მეცნიერულ კვლევა-ძიებას. ათეული წლების მანძილზე მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია გვასაზრდოებდა უპირატესად დრომოჭმული დოგმებით. ნაცვლად იმისა, რომ ჭეშმარიტ, თეორიულ გამოკვლევებს ეჩვენებინა თუ რას წარმოადგენდა საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება რეალურად, იგი იძლეოდა დასკვნას როგორი უნდა ყოფილიყო მომავალში. სწორედ მომავლის წინასწარ განჭვრეტა იყო მიჩნეული პოლიტიკური ეკონომიის დიდ მონაპოვრად. ამასთან, ზოგადი ეკონომიკური თეორიის და ეკონომიკური მეცნიერების ცალკეული დარგების კვლევა-ძიების სამუშაოები დაყვანილ იქნა ეკონომიკურ პოლიტიკამდე. მათი „მეცნიერული“ დანაწევრება მოხდა სხვადასხვა დისციპლინებად და ფაქტობრივად ისინიც ჩაერთო პოლიტიკაში.

ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა აუცილებელი და საშური საქმეა. ეკონომიკის მკვდარი წერტილიდან დაძვრა და წარმოების ტემპის ზრდა ობიექტურად ჩამოყალიბებული პრობლემების გადაწყვეტასთან ერთად მოითხოვს ეკონომიკური რეფორმების შუქ-ჩრდილების დროულად და მეცნიერული პოზიციებიდან ანალიზსა და შეფასებას. სხვანაირად წარმოუდგენლად მიგვაჩნია ეკონომიკის სტაბილიზაცია და მისი შემდგომი აღმავალი გზით განვითარება.

ხაზგასასმელია, რომ საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ ეს იმის უფლებას როდი იძლევა ეკონომიკური თეორიის უცოდინარობისა და საერთოდ უფულვებელყოფის გამო მისი განვითარება არასწორი გზით წარიმართოს. ეკონომიკური რეფორმების მიზანია ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის აშენება, ამით მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და საზოგადოების ყველა წევრისათვის არსებობის აუცილებელი სოციალური და ეკონომიკური პირობების შექმნა. ეს სოციალური მიზანი ჩვენთან არც თუ ისე პოპულარული იყო და 1992-1994 წლებში ყველაფერი არაცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას შეეწირა.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების საწყის ეტაპზე სტრატეგიულ შენაძენად „შოკურ თერაპიაზე“ დაყრდნობილი „სოციალური დარვინიზმის“ თეორია იქნა მიჩნეული, რომლითაც ქვეყნის ეკონომიკა ფაქტობრივად მაფიოზური და სპეკულაციური კლანების წამგლეჯურ

ინტერესებს დაექვემდებარა. კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესმა ველური, მძარცველური ხასიათი მიიღო. ხალხის სოციალურმა დამაბულობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია.

რეფორმების განვლილი პერიოდის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ჭეშმარიტებას თვალი გავუსწოროთ და განვაცხადოთ, საქართველოში ეკონომიკური რეფორმების პროცესი დაიწყო მოუმზადებლად და ეკონომიკური თეორიის ელემენტარული ცოდნის გარეშე. დილექტანტის დონეზე ათვისებული მონეტარისტული სისტემის ბაზაზე განხორციელდა „შოკური თერაპიის“ დოგმების მხოლოდ ერთი ნაწილი, სადაც ვაჭრობისა და ფასების ლიბერალიზაცია რეფორმების ამოსავალ მომენტებად იქნა მიჩნეული.

დღეს, ქვეყანას არ გააჩნია ჩვენი სინამდვილისადმი მორგებული ეკონომიკური თეორია. პოლიტიკური ეკონომია უარყოფილი იქნა, როგორც მავნე თეორია. ბევრს სურს, რომ ეკონომიკის მოვარგოთ რეალურ ცხოვრებას.

ცენტრალიზებულ-გეგმიანი მართვის პირობებში პოლიტიკური ეკონომია „უაღრესად იდეოლოგიზებული აღმოჩნდა, რასაც კანონზომიერად მოჰყვა დეიდეოლოგიზაციის პროცესი: შედეგად, პოლიტიკურ ეკონომიას არსებითად უარი ეთქვა... პოლიტიკური ეკონომიის, როგორც მეცნიერების, უარყოფის მთავარი მიზეზი მაინც მარქსიზმში და მარქსისტთა მოღვაწეობაშია საძიებელი”¹.

პოსტსოციალურ ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ და სამეურნეო და სტრუქტურულმა გარდაქმნებმა გამოიწვია არა მარტო სოციალისტური სისტემის ნგრევა, არამედ მოითხოვა ეკონომიკური თეორიის ძირეულად გარდაქმნა. ისედაც მკაცრი იდეოლოგიური ზეწოლის პირობებში ეკონომიკური მეცნიერების განვითარება მნიშვნელოვნად ჩამორჩა დასავლეთის მოწინავე ქვეყნების თეორიულ მიღწევებს. თუ ახლო წარსულში პოლიტიკური ეკონომიის საფუძველი იყო მარქსისტული შრომითი ღირებულების თეორია და იგი მიჩნეული იყო ერთადერთ მეცნიერულ ჭეშმარიტებად, ამჟამად ეკონომიკური მეცნიერება მეორე უკიდურესობაში ჩავარდა და ეკონომიკური თეორიის საფუძველად აღებული იქნა საზღვრითი სარგებლიანობის ნეოკლასიკური (მენგერი, ვალრასი, ჯევონსი) თეორია. საყურადღებოა, რომ ამ უკანასკნელს მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია არ ცნობდა და იგი გადაულოცა ეკონომიკური მოძღვრების ისტორიას, როგორც „ბურჟუაზიული თეორიის კრიტიკის“ ობიექტი.

მეცნიერული თვალსაზრისით, სოციალიზმის პოლიტიკურმა ეკონომიამ ბევრი დაკარგა იმის გამო, რომ საწარმოთა საქმიანობის ანალიზში იგნორირებული იყო საზღვრითი სარგებლიანობის

¹ *პაჭკორია ჯ.*, „ეკონომიკის“ თუ ერთიანი პოლიტიკური ეკონომია? ზუგდიდი, 1994, გვ.8-9.

სიდიდე. ნეოკლასიკური თეორიის ძირითადი ნაკლოვანება სწორედ საქონლის ღირებულების ფორმირებაში შრომის როლის შეუფასებლობასთან არის დაკავშირებული. თუ შრომითი ღირებულების თეორიაში საბაზრო რეგულატორების როლის შეუფასებლობასთან გვეყონდა საქმე, საზღვრითი სარგებლიანობა არ ცნობდა წარმოების როლს¹.

ეკონომიკურმა მეცნიერებამ მარქსიზმის კრიზისიდან ვერ გამოიტანა დასკვნები და დღესაც უშვებს შეცდომას, როდესაც ასაბუთებს, რომ ყველაზე ჭეშმარიტია ნეოკლასიკური თეორია და მხოლოდ მისი ცოდნა შეგვიწყობს ხელს, რომ ავაშენოთ საბაზრო ეკონომიკა. ეს იმის აღიარებაა, რომ საბაზრო სისტემის გარდა, არასოდეს არ იყო და არც მომავალში იქნება სხვა ეკონომიკური სისტემა.

საბაზრო ეკონომიკის გარიჟრაჟზე, რეფორმების საწყის პერიოდში აშშ-ისა და სხვა ქვეყნების მრჩეველები და კონსულტანტები გვისაბუთებდნენ, რომ მხოლოდ ფასების ლიბერალიზაციითა და სახელმწიფო ქონების პრივატიზებით გაიმარჯვებს კერძო საკუთრების ფენომენი. ამუშავდება საბაზრო წონასწორობის მექანიზმი და „ბაზრის უხილავი ხელის“ მეშვეობით მივაღწევთ საყოველთაო კეთილდღეობას.

თანამედროვე ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკის უცხოურ თუ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში შექმნილ სახელმძღვანელოებში წონასწორობა განსაზღვრულია როგორც ეკონომიკის მდგრადი და უპრობლემო მდგომარეობა, რომელსაც არ ახასიათებს წინააღმდეგობები და კონფლიქტები. ამ სახელმძღვანელოებში საზღვრითი სარგებლიანობის თეორიაზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნა, რომ კაპიტალისტური ეკონომიკა ავტომატურად მიილტვის წონასწორობისაკენ დარგობრივ ბაზრებზე წონასწორობის ფასების დაწესებისა და მთლიანად ეკონომიკაში საერთო წონასწორობის მისაღწევად. თითოეული საქონლის ფასი განისაზღვრება იმ სარგებლიანობით, რომელსაც ეს საქონელი აძლევს მომხმარებელს. მათი აზრით, ყოველთვის იცის მომხმარებელმა მისთვის საჭირო საქონლის თვისებების შესახებ და საკუთარი საბიუჯეტო შეზღუდულობის ფარგლებში აკეთებს უშეცდომო შერჩევას და აღწევს შესაძენი საქონლის საერთო სარგებლიანობის მაქსიმუმს. ასე მოქმედებს ბაზარი მოთხოვნის პოზიციებიდან. ზუსტად ასევე, მოქმედებს იგი მიწოდების პოზიციებიდანაც. მწარმოებლებიც ასევე წყვეტენ ანალოგიურ ამოცანებს მოგების მიღების გზით. ბაზარი აღწევს მაღალ დონეს საქონლის ისეთი მოცულობის მიწოდებით, როცა ფასი ტოლი ხდება წარმოების ზღვრული დანახარჯებისა, რის გამოც ფასში ჩაქსოვილია როგორც მყიდველის, ისე გამყიდველის ინტერესები. მაგრამ ეს ყოველთვის როდია ჭეშმარიტი, არადა რა ვუყოთ ციკლურ რყევებს, ინფლაციას, უმუშევრობას, კონფლიქტებს, გაფიცვებს?

ქვეყანამ საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა დაიწყო სწორედ ასეთი თეორიული დებულებებით, რასაც არ შეეძლო დადებითად ემოქმედა.

¹ *Дзарасов С.*, Российские «реформы» и экономическая теория, журн. «Вопроси экономики», 2002, №7, стр. 27.

ამ და მრავალ სხვა საკითხზე პასუხი გასაცემი. ავიღოთ ღირებულებისა და ფასის კატეგორია. ისინი დღემდე შეუსწავლელია. არ ვიცით ფასწარმოქმნის მექანიზმი. ვერც კ. მარქსის მოძღვრებამ და ვერც მარჟინალისტებმა დღემდე ვერ მოგვცეს ზუსტი და ამომწურავი პასუხი ღირებულებასა და ფასზე.

ასე, რომ ბევრი პრობლემა დაგროვდა, რომელთა გადაწყვეტა ახალ სიმაღლეზე აიყვანს ეკონომიკურ მეცნიერებას.

შევხვით ერთ საკითხსაც. საქართველოში ეკონომიკური კრიზისის აღზევებას ხელი შეუწყო არასწორად შემუშავებულმა ეკონომიკურმა სტრატეგიამ, რომელიც, თავის მხრივ, განპირობებული იქნა ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლური დებულებების უცოდინრობით და საერთოდ, ეკონომიკური პოლიტიკის შედგენისადმი ვოლუნტარისტული მიდგომით. „გადამწყვეტი როლი კრიზისის განვითარებაში ითამაშა იმან, რომ ეკონომიკური სტრატეგია სწორად ვერ იქნა შემუშავებული: სწორად და მკაფიოდ ვერ განისაზღვრა გრძელვადიან პერიოდში განვითარების მიზანი და საშუალებები“¹.

დღეს, როდესაც ქვეყნის ეკონომიკაში შეიმჩნევა გამოცოცხლების პროცესის დასაწყისი, მის მართვას ბევრი რამ სჭირდება ეკონომიკური ცოდნის ასპექტით. ნურავინ იქნება თვითდაჯერებული ეკონომიკური თეორიის გარეშე ეროვნული მეურნეობის სრულყოფილად ფუნქციონირებაში. არადა, ასე მსჯელობდა ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე ზოგიერთი რეფორმატორი და თავისი დილეტანტური მოსაზრებით სურდა დაემტკიცებინა არაჭეშმარიტ ეკონომიკურ თეორიასა და კანონზომიერებაზე დაფუძნებული მოსაზრებები, რომლებსაც საერთო არაფერი აქვს საბაზრო ურთიერთობებთან. საბაზრო ეკონომიკის მართვის თეორიის სრულყოფილი ცოდნა მეტად ძნელია ერთ რომელიმე პიროვნებას გააჩნდეს. ამიტომ ვინც იტვირთავს ქვეყნის ეკონომიკის მართვის საპასუხსიმგებლო საქმეს, საჭიროა სხვათა მოსაზრების და ალტერნატიული ვარიანტების ჯერ მოსმენა და შემდეგ ეკონომიკური თეორიის ჭეშმარიტი ცოდნის საფუძველზე, მათი გაანალიზება. საქმისადმი ასეთი მიდგომა ნებისმიერი ეკონომიკური პროგრამის ჭეშმარიტებასთან მიახლოების უეჭველი გარანტიაცაა.

XX საუკუნის 90-იანი წლების ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და თვალში საცემი გახდა მეურნეობრიობის ცენტრალიზებულ-გეგმიანი მართვის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მწვავე კრიზისი. სოციალიზმმა ვერ შეძლო მოსახლეობის ვერც მატერიალური კეთილდღეობის სრულად დაკმაყოფილება და ვერც დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება. უფრო მეტიც, კრიზისმა მოიცვა ამ სისტემის იდეოლოგიური საფუძველი _ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება.

¹ გველესიანი მ., ეკონომიკური თეორია: საგანი, პრობლემები, ამოცანები, თბ., „კომენტარი“. 1999. გვ.44.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებს კიდევ დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდება, რომ საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების გზაზე ეკონომიკურ და სოციალურ გარდაქმნებში წარმატებებს მიაღწიოს. ეს პროცესი მოითხოვს უზარმაზარ მიზანმიმართულ საქმიანობას და სიმტკიცეს. გარდა ამისა, ამ ქვეყნებს გარდაქმნების გზაზე მრავალი თეორიული ხასიათის პრობლემა შეხვდება, რომელთაც ადრე ადგილი არ ჰქონია.

არც ერთ ეკონომიკურ სისტემას არ შეუძლია წარმატებით ფუნქციონირება ჭეშმარიტი ეკონომიკური თეორიის გარეშე. მაგრამ რა გავაკეთოთ. მარქსისტულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ დევალვაცია განიცადა. დასავლეთის მოწინავე ქვეყნების ავტორების მიერ შექმნილი „ეკონომიკსად“ წოდებული ეკონომიკური თეორია ოპტიმალურად ესადაგება მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის სისტემას და ნაკლებად გამოსაყენებელია განვითარებადი ქვეყნების საბაზრო ურთიერთობათა თეორიულ საფუძვლად. ჩვენს სინამდვილეში მათ ორივეს უპირატესად შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია.

საბაზრო ურთიერთობათა ეკონომიკური აზროვნების წესის დაუფლება შეუძლებელია ცივილიზებული ეკონომიკის შესწავლის გარეშე, რომელშიც მთავარია ეკონომიკის ზოგადი თეორია. თანამედროვე ეკონომიკური თეორიის, თეორიული ეკონომიკის, ეკონომიკის თუ პოლიტიკური ეკონომიის უკლებლივ ყველა ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ის არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოების ოპტიმალურ გადაწყვეტილებას შეზღუდული დეფიციტური რესურსებით რა სახის საქონელი (მომსახურება) როგორც და ვისთვის აწარმოოს¹.

„ეკონომიკის საგანია – საქონლისა და მომსახურების წარმოებაში იშვიათი რესურსების გამოყენების ეფექტიანი გზების ძიება, მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის“². ეკონომიკური თეორია არის მეცნიერება იმის შესახებ, რომ ადამიანები და საზოგადოება გარკვეული დროის მანძილზე ირჩევენ სხვადასხვა საქონლის საწარმოებლად იშვიათ რესურსებს³. „რესურსების შეზღუდულობის (დეფიციტურობის) პირობებში მაქსიმალური სოციალურ-ეკონომიკური შედეგიანობის მისაღწევად ოპტიმალური არჩევანის შესახებ მეცნიერებას ეკონომიკა ეწოდება“⁴.

„ეკონომიკის სწავლობს, თუ რა საზოგადოებრივი წესით ირჩევენ ადამიანები სხვადასხვა დანიშნულების შეზღუდული რესურსების გამოყენების ამა თუ იმ ვარიანტს და რა საზოგადოებრივი წესით ინაწილებენ შექმნილ პროდუქტს საბოლოო საზოგადოებრივი შედეგის მაქსიმიზაციის მიზნით“⁵.

¹ ფიშერი ს., დორნბუში რ., შმალენზი რ., ეკონომიკა, ტ. I, 1997, თბ., გვ.25.

² მაკკონელი კ.რ., ბრიუ ს.ლ., ეკონომიკისი, ნაწ. I, თბ., 1993. გვ.29.

³ სამუელსონი პ., ეკონომიკა, მ., 1997, გვ. 7. (რუსულ ენაზე).

⁴ ჩიქვა ლ., ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. თბ., 1997, გვ. 23.

⁵ გველესიანი მ., ეკონომიკისი, თბ., „კომენტარი“, 2000, გვ. 12.

ეკონომიკის „პრაქტიკით გაჯერებული, პრაქტიკაზე ორიენტირებული თეორიაა, საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის სინთეზია“¹.

ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, აქ მოტანილი ყველა განმარტება უკავშირდება შეზღუდული რესურსების ოპტიმალურად გამოყენებას. რომ საზოგადოებამ მიიღოს მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტი.

სერიოზული დასკვნების გაკეთება შეიძლება პროფ. ლ. ჩიქავას შემდეგი მოსაზრებიდან: „იგი (ეკონომიკის), უწინარეს ყოვლისა, რეგულირებადი, ანუ სოციალურად ორიენტირებული შერეული საბაზრო ეკონომიკის თეორიაა და მისი ფუნქციონირების მექანიზმს განიხილავს მიკრო, მაკრო, მეზო და მეგაეკონომიკურ დონეზე... ეკონომიკური თეორია (პოლიტიკური ეკონომია) კი სწავლობს ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე, ეპოქის ცვლადობის ეკონომიკურ კანონზომიერებებს, ეკონომიკური კანონების მოქმედებას როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროში, საერთოდ გლობალურ, ზოგადსაკაცობრიო ეკონომიკურ პრობლემებს“².

„ეკონომიკის უფრო მჭიდრო შეხებაშია ეკონომიკური ცხოვრების „ზედაპირთან“ - მის კონკრეტულ მოვლენებთან, ალტერნატიული ვარიანტების არჩევასთან და, მაშასადამე, სუბიექტურ ფაქტორთან. სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის არის მეცნიერება ადამიანთა ეკონომიკური ქცევის, ეკონომიკური არჩევანის შესახებ... პოლიტიკური ეკონომია ეკონომიკური ორგანიზმის გენეტიკური კავშირების შემსწავლელი მეცნიერებაა, ეკონომიკის კი – ფუნქციური კავშირებისა“³.

არსებობს ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკური ეკონომიის გაიგივების საწინააღმდეგო მოსაზრებაც. „ეკონომიკური თეორია, რა თქმა უნდა, ახლოსაა პოლიტეკონომიასთან, მაგრამ ეს უკვე პოლიტეკონომია არ არის ტრადიციული გაგებით. ის პოლიტეკონომიის, შეიძლება ითქვას, გაგრძელება და განვითარებაა. ის, ალბათ, უფრო ახლოსაა იმ დისციპლინასთან, რომელსაც დასავლეთის ბევრ ქვეყანაში „ეკონომიკს“-ს უწოდებენ. ამასთან, შეცდომა არ იქნება, თუ ეკონომიკური თეორიის სინონიმად, ეკონომიკასთან ერთად, პოლიტეკონომიასაც ვიხმართ, მაგრამ იმ პირობით, რომ მისგან ყოველგვარ იდეოლოგიზაციას გამოვრიცხავთ“⁴.

თანამედროვე დასავლეთის ეკონომისტებში (ე. კენანი, ა. პიგუ, ა. მარშალი, რ. ხაილბრონერი, ე. პარეტო, ლ. რობინსი და სხვ.) უპირატესობა ენიჭება ეკონომიკური მეცნიერების

¹ ასათიანი რ., ეკონომიკური თეორია და ეკონომიკის: ერთიანობა და განსხვავება, სემა, შრომები. ტ. III, თბ., 2002, გვ. 163.

² ჩიქავა ლ., ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ., 1997, გვ. 31.

³ გველესიანი მ., ეკონომიკური თეორია: საგანი, პრობლემები, ამოცანები, თბ., „კომენტარი“, 1999, გვ.27.

⁴ ბასარია რ., მესხია ი., ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, თბ., 1996, გვ. 14-15.

განსაზღვრას მატერიალური დოვლათის მიზეზების შესწავლასთან კავშირში.

საყურადღებოა, რომ დასავლეთის ეკონომისტები ჩვეულებრივად დაინტერესებულნი არ არიან ეკონომიკური თეორიის საგნისა და მეთოდის საკითხებით. ათიდან ცხრა შემთხვევაში მათ ეკონომიკური თეორიის საგნის განსაზღვრა უკრიტიკოდ გადმოაქვთ ადრინდელი ავტორების შრომებიდან.

დასავლეთის თანამედროვე ეკონომისტები ადამიანის ქცევის ნებისმიერ სახეობას ეკონომიკური მეცნიერების საგნად თვლიან. ისინი ამტკიცებენ, რომ ამა თუ იმ საგნის წარმოება ეკონომიკური საქმიანობაა, ხოლო ფილოსოფიური იდეებისა – არაეკონომიკური.

ეკონომიკური თეორიის საგნის ჭეშმარიტ განსაზღვრასთან, ვფიქრობთ, მაშინ გვაქვს საქმე, როცა ეკონომიკური მეცნიერების საგანი შეისწავლის ადამიანის ქცევას, მიზანსა და შეზღუდულ საშუალებებს შორის თანაფარდობას.

ამრიგად, ეკონომიკური თეორია შეისწავლის ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემებს, მათი წარმოშობისა და განვითარების კანონებსა და კანონზომიერებებს, ადამიანების ქცევის ძირითად პრინციპებს. ამასთან, არა იზოლირებულად, არამედ საერთო კანონებთან და ფასეულობებთან მჭიდრო კავშირში¹.

თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს იმიტომ შევეხეთ, რომ დავაზუსტოთ რამდენად მისაღებია იგი ჩვენთვის და რა სარგებლობას მოუტანს გარდამავალი პერიოდის საქართველოს.

შეიძლება გარკვევით აღინიშნოს, რომ როგორც მარქსისტული, ისე თანამედროვე ეკონომიკური მოძღვრების პირდაპირ გადმოტანა დიდი სარგებლობის მომტანი არ უნდა იყოს. ჩვენთვის და საერთოდ, ჩვენი ქვეყნისათვის უფრო მიზანშეწონილია ისინი მივუსადაგოთ ჩვენს მოთხოვნებს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საზოგადოებრივი რესურსების ეფექტიანად განაწილებისა და გამოყენების შეპირისპირება ისეთ ფასეულობებთან, როგორიცაა: სამართლიანობა, პატივისცემა ადამიანური ცხოვრებისადმი, ექსპლუატაციის, დესპოტიზმის და ავტორიტარიზმის უარყოფა, ზნე-ჩვეულებათა არჩევის თავისუფლება.

არადა, დღეს ცივილიზებულ მსოფლიოში ინტერესი ეკონომიკური თეორიის შესწავლისადმი დიდია, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვამჩნევთ საქართველოში.

ეკონომიკური თეორიის შესწავლა – ეს სხვა არაფერია, თუ არა მოტივების შემეცნების ობიექტური აუცილებლობის რეალიზაცია, ადამიანთა მოქმედება სამეურნეო საქმიანობაში,

¹ *ბასარია რ., მესხია ი.*, ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. გვ.14.

მეურნეობრიობის კანონების ცვალებადობის ხასიათი ანტიკური ეპოქიდან დაწყებული თანამედროვეობით დამთავრებული.

თანამედროვე ეპოქაში ეკონომიკური თეორიისადმი განათლებული ადამიანების ინტერესების ზრდა განპირობებულია იმ გლობალური მოვლენებით, რომლებიც წარმოიქმნა მსოფლიოს მასშტაბით. სწორედ ამიტომ მიაჩნდა ეკონომიკური თეორია მეცნიერების დედოფლად ნობელის პრემიის ლაურეატს პოლ სამუელსონს. ნობელის პრემიის მეორე ლაურეატის მილტონ ფრიდმენის აზრით, ეკონომიკა მიმზიდველი მეცნიერებაა. იგი საოცარია იმით, რომ მისი ფუნდამენტური პრინციპები ძალიან მარტივია, შეიძლება ჩამოწეროთ ქაღალდის ერთ ფურცელზე. ამასთან, ეკონომიკურ თეორიაში ადამიანთა მხოლოდ მცირე ნაწილი ერკვევა.

ამ მეცნიერების სირთულე, რომელიც გამორიცხავს მეურნეობრიობის მრავალფეროვან სამყაროს, იმაში მდგომარეობს, რომ მისი შესწავლა მოითხოვს „აქლემის გამძლეობას და წმინდანის მოთმინებას“ (ა. ხაილბრონერი).

„ეკონომიკა – ესაა მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანები თუ როგორ ანაწილებენ მათ ხელთ არსებულ შეზღუდულ რესურსებს თავიანთი სურვილების დასაკმაყოფილებლად“¹.

თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიკავოს ეკონომისტების აზრმა თეორიის განვითარების თაობაზე. „რაინდობის საუკუნე გავიდა, დადგა სოფისტების, ეკონომისტების და საანგარიშო მანქანების ეპოქა“ (ე. ბურკე).

ეკონომიკა საზოგადოებრივი მეცნიერებაა, რადგან იგი შეისწავლის ადამიანთა მოქმედებას, თანაც იგი შეისწავლის ადამიანთა ქცევის სპეციფიკურ ასპექტებს. მაგრამ ეკონომიკური მეცნიერება როდი სწავლობს ქცევის ყველა სპეციფიკურ მომენტებს. ამ დისციპლინის კვლევის სფერო შეზღუდულია ადამიანის ცხოვრების ოთხი ასპექტით, რომლებიც შეისწავლება მათ ურთიერთმოქმედებაში. ესენია: 1. ადამიანთა მოთხოვნილება უსაზღვროა; 2. ამ მოთხოვნილებებს სხვადასხვა მნიშვნელობა გააჩნია; 3. ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი საშუალებები შეზღუდულია და 4. ეს საშუალებები შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვანაირად, ე.ი. შეიძლება წარმოებული იქნეს მრავალი სახის საქონელი და მომსახურება².

ამასთან, აუცილებელია ეკონომიკური თეორიის რეტროსპექტივაში შესწავლაც, სხვანაირად სარგებლობას ვერ მოვუტანთ ვერც ეროვნული ეკონომიკის განვითარებას და ვერც საზოგადოებას მთლიანობაში.

სავსებით მართებულად მიგვაჩნია ინგლისელი ეკონომისტის მ. ბლაუგის შემდეგი

¹ *Харвей Д.*, Современная экономическая теория, пер. с англ. М., ЮНИТИ, 2003, стр. 23.

² *Харвей Д.*, Современная экономическая теория, пер. с англ. М., ЮНИТИ, 2003, стр. 24.

მოსაზრება: „ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ჩვენ უნდა შევისწავლოთ ეკონომიკური მოძღვრების ისტორია, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოადგენს თავისებურ ლაბორატორიას, რომელშიც ბევრ მასალებზე დაყრდნობით ჩვენ ვსწავლობთ განვიხილოთ ეკონომისტი-თეორეტიკოსთა მიღწევები აუცილებელ მეთოდოლოგიური წინასწარგანჭვრეტით. თითოეული ეკონომისტი ამას გრძნობს თუ არ გრძნობს, მნიშვნელობა არა აქვს, ის ყოველთვის თან ატარებს ამ ლაბორატორიას“¹.

მაინც რატომ ვკარგავთ დროს ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის შესასწავლად? იმიტომ, რომ მნიშვნელოვნად უკეთესია ვიცოდეთ ინტელექტუალური მემკვიდრეობა, რომელიც დაგვიტოვა წინამორბედებმა, ვიდრე მივხვდებით, რომ ის ინახება ჩვენთვის უცნობ ადგილზე და დაწერილია უცხო ენაზე. როგორც ტ. ელიოტი წერდა: „ვიღაცას აქვს ნათქვამი „წარსულის მწერლები ჩვენგან უფრო შორს იმიტომ არიან, რომ ჩვენ მათზე ბევრი ვიცით და ეს მართალია. ჩვენ მეტი ვიცით იმიტომ, რომ ჩვენ ისინი წავიკითხეთ“.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი მწვავე საზოგადოებრივი კატაკლიზმებით ხასიათდება. საზოგადოების ყოველმხრივმა სისტემურმა კრიზისმა არ შეიძლება თავისი უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობაზე.

¹ *М. Блауг*, Экономическая мысль в ретроспективе, М., 1994, стр. 659.

Реферат

Экономическая теория, как путеводитель перехода на рыночную экономику

проф. Реваз Какулия

В статье рассмотрены вопросы теоретического наследства и дано обоснование места и роли экономической теории как путеводителя перехода в рыночную экономику.

Процессе перехода на рыночную экономику и экономических реформ начался в стране неподготовленно, без какой-либо теоретической основы. Догмы марксизма-ленинизма мешали глубоким научным исследованиям экономической системы. В течение десятилетий марксистская политэкономия питала общество преимущественно устаревшими, отжившими срок идеями. Вместо того, чтобы теоретический анализ показывал, что собой представляет реально социально-экономическая жизнь общества, он делал преимущественно несостоятельные прогнозы «светлого будущего». Именно «предсказание будущего» было признано главным завоеванием, основным достижением политической экономии. При этом исследования экономической теории и других экономических дисциплин сводились в основном к государственной экономической политике.

На начальном этапе экономических реформ в Грузии стратегической ценностью была признана теория «социального дарвинизма», опирающаяся на «шоковую терапию», которая фактически подчинила экономику страны интересам мафиозных и спекулятивных кланов.

В статье сделан вывод, что экономическая теория является единой, последовательной и стройной наукой, изучающей развитие экономической системы.

2. იაკობ მესხია - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სრული პროფესორი. კახა გაბელაშვილი - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი.

ეფექტიანობის აუდიტი როგორც ფინანსური კონტროლის ახალი ფორმა

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაწყებიდან დღემდე განვლილი პერიოდის ანალიზი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ კერძო სექტორში აუდიტორული საქმიანობის დამკვიდრება-განვითარება მიმდინარეობდა ცალმხრივად, ზედაპირულად, სათანადოდ გამართული და სრულყოფილი თეორიულ-მეთოდოლოგიური და სამართლებრივი საფუძვლების შემუშავების გარეშე. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წელს მიღებული კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ სრულად არ პასუხობს დროის მოთხოვნებს, თუმცა ამავე დროს უნდა აღინიშნოს მისი საკმაოდ პოზიტიური როლი, რამეთუ სამეწარმეო სფეროში სავალდებულო აუდიტის შემოღებით საფუძველი ჩაეყარა აუდიტორული ბიზნესის დამკვიდრება-განვითარებას და შესაბამის ინტელექტუალურ მეწარმეთა მრავალრიცხოვანი ფენის შექმნას. ამ კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამსახურებაა ის, რომ იგი ავალდებულებდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს (შპს), სააქციო საზოგადოებებს, ბანკებს, სადაზღვევო კომპანიებს და სხვა სამეურნეო სუბიექტებს აუდიტის ჩატარებას, რამაც, ერთი მხრივ, აიძულა ისინი ყოველწლიურად განეხორციელებინათ აუდიტი და შესაბამისი დოკუმენტი წარედგინათ საგადასახადო ორგანოში, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყანაში შეიქმნა საკმაოდ ძლიერი ადგილობრივი აუდიტორული ფორმები და უცხოური წამყვანი აუდიტორული კომპანიების წარმომადგენლობები (ფილიალები), რითაც ხელი შეეწყო აუდიტორული ბიზნესის მაღალი ტემპებით განვითარებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აუდიტის ჩატარების სავალდებულობამ სამეურნეო სუბიექტებს გარკვეულწილად შეუმცირა საგადასახადო და სამეწარმეო რისკ-ფაქტორები, აამაღლა სააღრიცხვო-საფინანსო სამსახურების, განსაკუთრებით კი მთავარი ბუღალტრების, პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის დონე.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პოზიტიური შედეგებისა, უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სექტორში აუდიტის პოზიტიური გავლენის ხარისხი ეკონომიკის განვითარებასა და ფინანსური წესრიგის დამყარებაზე ჯერჯერობით მაინც უმნიშვნელოა. ეს გამოწვეულია იმით, რომ სამეურნეო სუბიექტების დიდმა ნაწილმა ჯეროვნად ვერ შეაფასა აუდიტის როლი და მნიშვნელობა და იგი ზედმეტ ფინანსურ ტვირთად მიიჩნია. მათ საკმაოდ ძვირადღირებულ აუდიტურ მომსახურებას

ჩაანაცვლეს მოლაპარაკებები (გარიგებები) აუდიტორულ ფირმებთან იმის თაობაზე, რომ მინიმალურ ფასად მიიღებდნენ საგადასახადო ორგანოებში წარსადგენ აუდიტორულ დასკვნას, რამაც თავის მხრივ გამოიწვია აუდიტორული სამსახურების რეიტინგის დაცემა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აუდიტის ფორმალურად ჩატარების ფასი 30 ლარამდე დაეცა.¹

გამომდინარე იქიდან, რომ აუდიტორული დასკვნის მიღება მხოლოდ საგადასახადო ორგანოების ინტერესებში შედიოდა, წარმოიშვა ერთგვარი ფარული კავშირი აუდიტორული ფირმებსა და საგადასახადო ორგანოებს შორის, რაც გამოიხატებოდა საგადასახადო აგენტების მონაწილეობაში აუდიტორული ფირმების საქმიანობაში, რომელიც, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგებოდა საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. გარდა ამისა, არც თუ იშვიათად ადგილი ჰქონდა მსხვილი საწარმოების მხრიდან აუდიტორულ კომპანიებთან მომსახურებაზე მაღალ ფასებში სახელშეკრულებო გარიგებებს, ე.წ. „წილში ჩაჯდომას“, რამაც აუდიტი ნაწილობრივ შავი ბიზნესის წყარო გახადა.

ჩვენი აზრით, ძირითადად ზემოაღნიშნული გარემოებები დაედო საფუძვლად „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2005 წელს შეტანილ ცვლილებას, რომლის თანახმად ყველა სამეურნეო სუბიექტისათვის (გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისა) გაუქმდა აუდიტის ჩატარების ადრე კანონით დადგენილი სავალდებულობის წესი.

დღეისათვის, შიძლება ითქვას, რომ კერძო სექტორის აუდიტის სფეროში გაურკვევლობას აქვს ადგილი. არსებობს ვარაუდი (პროგნოზი), რომ აუდიტის სავალდებულობის გაუქმება გამოიწვევს ადგილობრივი (სამამულო) აუდიტის ბაზრის მოშლას, რადგან მასზე მოთხოვნილება მინიმუმამდე დაეცემა, ხოლო აღზევდება უცხოური კომპანიების შემოსვლის პროცესი, რამეთუ დღემდე საქართველოს ბანკებს და სადაზღვევო კომპანიებს მხოლოდ ისინი ემსახურებიან. ამრიგად, დღის წესრიგში დგება აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლების რადიკალური რეფორმის აუცილებლობა, რასაც, ჩვენი აზრით, უნდა მიეცეს სისტემური, კომპლექსური ხასიათი. ეს უკანასკნელი გულისხმობს კერძო და საჯარო სექტორებში აუდიტის ორგანიზაციული თავსებადობის უზრუნველყოფას, სახელმწიფო და კერძო აუდიტის ერთიან საკანონმდებლო სივრცეში მოქცევას და აუდიტის, როგორც ფინანსური კონტროლის თანამედროვე ფორმის ფუნქციებისა და ამოცანების გაფართოებას, იმ მიმართულებით, რომ

¹ გვაზავა გ. სავალდებულო აუდიტი გაუქმდა, ჟ., „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“, 2005, 18, გვ.7.

სახელმწიფომ მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ ჭრილში უზრუნველყოს სრული ფინანსური წესრიგის დამყარება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორის პარალელურად საქართველოში ვერ მოხერხდა სახელმწიფო სექტორში ფინანსური კონტროლის – აუდიტის დანერგვა, მაშინ როდესაც გარდამავალ ეტაპზე სულ უფრო აქტუალური ხდება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისა და სახელმწიფო ქონების გამოყენება-განკარგვის კანონიერების, მიზნობრიობისა და ეფექტიანობის შესწავლის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის აუცილებლობა. ეს უკანასკნელი განპირობებულია იმით, რომ გეგმიანი ეკონომიკის პირობებში გამოყენებული საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ფორმები და მეთოდები არაეფექტურია საბაზრო ეკონომიკის პირობებისათვის. გამომდინარე აქედან, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბაზრო ურთიერთობაზე ეკონომიკის გადაყვანის საწყის ეტაპზე სასურველი და მიზანშეწონილი იყო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ახლებურ ფორმებზე და მიდგომებზე გადასვლის პროცესის დაწყება. მართალია, ამ მხრივ გადადგმული იქნა გარკვეული ნაბიჯები, თუმცა მან სასურველი შედეგები მაინც ვერ გამოიღო. უპირველეს ყოვლისა, შემუშავდა სამართლებრივი ბაზა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა გარკვეულ დადებით ძვრებს სახელმწიფო კონტროლის სისტემაში, თუმცა დღემდე მთელი რიგი მნიშვნელოვანი მეთოდური და ორგანიზაციული საკითხები გადაუწყვეტელი რჩება. დრო კი არ ითმენს, მათი გადაჭრა უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება სწრაფად, რადგან საფინანსო-ეკონომიკური წესრიგის დამყარების გარეშე ქვეყნის წინაშე მდგარი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო წლებში სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობა ძირეულად შეიცვალა. კერძოდ, განხორციელდა საბიუჯეტო პროცესში სახაზინო სისტემის დანერგვა, რომელმაც თავის მხრივ დღის წესრიგში დააყენა ბიუჯეტის აღსრულების პროცესის რევიზია-შემოწმებებში ახალი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენების აუცილებლობა. სახაზინო სისტემამ მთლიანად შეცვალა ბიუჯეტის აღსრულების ორგანიზაცია და შექმნა შესაძლებლობა საკმაოდ მკაცრი კონტროლი დაწესდეს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე და მათ რაციონალურ გამოყენებაზე. სრულყოფილი სახაზინო სისტემით შესაძლებელია საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი გამოყენების აღმოფხვრა. გამომდინარე აქედან, დღის წესრიგში დგება სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სრულყოფის ამოცანა იმ მიმართულებით, რომ მაკონტროლებელმა ორგანოებმა თავიანთი საქმიანობა წარმართონ არა მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების ან კანონიერების დადგენის, არამედ სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობის შესწავლის მიმართულებით.

დღეს მმართველობითი მენეჯმენტის მოთხოვნაა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად დაედოს მისი ეკონომიკური შედეგების პროგნოზები, აგრეთვე ამ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობა მოკლე და გრძელვადიან პერიოდში. სწორედ ამაში მდგომარეობს სახელმწიფო ფინანსური კონტროლისადმი ახლებული მიდგომა, რაც თავის მხრივ მოითხოვს შესაბამისი კანონმდებლობის ფორმირებას, რაც ჯერჯერობით საქართველოში არ განხორციელებულა, თუმცა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული საკითხი სამართლებრივად დიდი ხანია დარეგულირებულია.

გასული საუკუნის მიწურულამდე ცალკეული ქვეყნები ფინანსური კონტროლის განსხვავებულ ფორმებს და მეთოდებს გამოიყენებდნენ, თუმცა ამ ბოლო პერიოდში ეკონომიკური გლობალიზაციის გაღრმავების კვალდაკვალ, დაიწყო მათი თანდათანობითი დაახლოებისა და უნივერსალიზაციის პროცესი. სწორედ, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სფეროში უნიფიცირებული წესებისა და მიდგომების დანერგვას ემსახურება კონტროლის ისეთი საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციები როგორებიცაა: უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო ორგანიზაცია (INTOSAI), უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების ევროპის ორგანიზაცია (EUROSAI), უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების აზიის ორგანიზაცია (ASOSAI), უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო კონგრესი (INCOSAI), დსთ-ს წევრი ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების ხელმძღვანელთა საბჭო (BOΦK CHT) და ა.შ. (აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონტროლის პალატა თითქმის ყველა ამ ორგანიზაციების სრულუფლებიანი წევრია) სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სრულყოფის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ე.წ. ლიმას დეკლარაცია, რომელიც მიღებულ იქნა INTOSAI –ის მე-9 კონგრესზე ქ. ლიმაში (პერუ). ამ დოკუმენტში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სახელმწიფო ფინანსური კონტროლის მიზნები, ამოცანები, პრინციპები, ფორმები და მეთოდები, რომლებიც საფუძვლად დაედო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ფინანსური კონტროლის სფეროში მიღებულ კანონმდებლობებს.

ფაქტობრივად დღეისათვის ფინანსური კონტროლის განსახორციელებლად გამოიყენება ისეთი პრაქტიკაში კარგად აპრობირებული მეთოდები, როგორიცაა: რევიზია, აუდიტი, თემატური შემოწმება, ეკონომიკური ანალიზი, გამოკვლევა, გამოძიება, სამეურნეო დავა და ა.შ. მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის, საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავება და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა დღის წესრიგში აყენებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლის ფორმებისა და მეთოდების უნიფიცირების აუცილებლობას, ფინანსური წესრიგის დამყარების მიზნით საერთაშორისო დონეზე აპრობირებული კონტროლის უახლესი, დემოკრატიული ფორმებისა და მეთოდების დანერგვას. დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საფინანსო-ეკონომიკური

კონტროლის ყველაზე უფრო ეფექტიან ფორმას წარმოადგენს ზოგადად აუდიტი და მისი ცალკეული სახეობები, თუმცა დროის ცალკეულ ეტაპებზე და ცალკეულ ქვეყნებში კონტროლის სხვა ტრადიციული ფორმებიც არ კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტის შინაარსზე (ცნებაზე), მის სახესხვაობებზე და გამოყენების არეალზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს საკმაოდ საინტერესო დისკუსია ეკონომიკურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში, რომელზედაც მოკლედ ქვემოთ შევჩერდებით.

ოქსფორდის ფინანსურ განმარტებით ლექსიკონში აუდიტის შინაარსი მოკლედ განსაზღვრულია, როგორც „ორგანიზაციის წლიური ანგარიშგების (annual accounts) შემოწმება“¹, სადაც წლიური ანგარიშგების ქვეშ იგულისხმება, როგორც წესი, კანონის შესაბამისად ყოველწლიურად გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ბალანსს, მოგება-ზარალის ანგარიშს ან შემოსავლებისა და გასავლების ანგარიშს. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აუდიტი განმარტებულია როგორც „... ობიექტის ფინანსური ანგარიშგების ან მასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის დამოუკიდებელი შემოწმება, მიუხედავად იმისა მოაქვს თუ არა მოგება, რა ზომისაა და ფორმისაა ორგანიზაცია, მაშინ როდესაც ასეთი შემოწმება ტარდება აზრის გამოხატვის მიზნით.“² უფრო ლაკონური და შინაარსობლივად ტევადი განმარტებაა მოცემული აუდიტისადმი მიძღვნილ სპეციალიზებულ ლექსიკონში: „აუდიტი არის აუდიტორების მიერ კლიენტის ფინანსური ანგარიშგების შემოწმება მათ სისწორეზე აზრის გამოხატვის მიზნით“.³

დასავლეთისა და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ამ ბოლო პერიოდში გამოცემულ სპეციალურ ლიტერატურაში აუდიტის განმარტების სხვადასხვა რედაქცია გვხვდება, თუმცა შინაარსობლივად მათ შორის არსებითი განსხვავება არ შეინიშნება. მათი განზოგადების საფუძველზე აუდიტი შეიძლება განიმარტოს როგორც ბუღალტრული აღრიცხვის, ბუღალტრული ბალანსის და ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელი შემოწმება-ექსპერტიზა, რომლის მიზანია სამეურნეო სუბიექტის მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმატიული დებულებების შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის სისწორის შემოწმება, ბალანსის მაჩვენებლებისა და ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის დამოწმება.

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ცალკეული კრიტერიუმების მიხედვით აუდიტი კლასიფიცირდება სხვადასხვა სახეებად. მათ შორის, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აუდიტის

¹ Финансы: Оксфордский толковый словарь: Англо-Русский М.: Издательство "Вес Мир", 1997, с. 27.

² აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტები, ნაწილი I, თბილისი, 1999, გვ. 92.

³ Аудиторский словарь /Под ред. В.Я.Соколова. – М.: "Финансы и статистика", 2003, с. 10.

კლასიკოსის, ნაფიც ბუღალტერთა ამერიკული ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებლის და შემდგომში მისი პრეზიდენტის რობერტ მონტგომერის მიერ შემოთავაზებული აუდიტის კლასიფიკაცია, რომელმაც საყოველთაო აღიარება და პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა მთელს მსოფლიოში. ამ კლასიფიკაციის ამოსავალი კრიტერიუმებია აუდიტის საგანი და ამოცანები და, შესაბამისად, აუდიტი დაყოფილია შემდეგ სახეობებად:

1. ფინანსური აუდიტი (Financial audit) – გულისხმობს იმის დადგენას, შეესაბამება თუ არა ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ დადგენილ პრინციპებს. რ. მონტგომერის აზრით „ფინანსური აუდიტის დროს აუცილებელია მოინახოს საფუძვლები იმ ინფორმაციის დასადასტურებლად, რომელიც ძირითადად ფინანსურ სფეროს მიეკუთვნება. ინფორმაციის შეფასების კრიტერიუმად ჩვეულებრივ იღებენ საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს ან ბუღალტრული აღრიცხვის სხვა რეგულაციებს“.....¹

2. შესაბამისობის აუდიტი (Compliance audit) – გულისხმობს შემოწმებას იმისა, რამდენადაა დაცული ის სპეციფიკური პროცედურები და წესები, რომელიც წაეყენება საწარმოს (ორგანიზაციას). ამ სახის აუდიტით მოწმდება კერძო ბიზნესის საბუღალტრო აღრიცხვის პერსონალის მიერ ადმინისტრაციის მხრიდან დადგენილი პროცედურების დაცვა, დგინდება ხელფასის დონის შესაბამისობა იმ მინიმუმთან, რომელიც კანონითაა განსაზღვრული, მოწმდება ბანკებთან და სხვა კრედიტორებთან კონტრაქტების იურიდიული ნორმების დაცვის მდგომარეობა და სხვა. შესაბამისობის აუდიტი მეტწილად ლოკალურ ხასიათს ატარებს და მისი შედეგები მიეწოდება მხოლოდ იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელიც დაექვემდებარა შემოწმებას. რ. მონტგომერის აზრით, „შემოწმებები შესაბამისობაზე მიზნად ისახავს გამომარკვიოს, თუ რამდენად იცავს ფორმა იმ კონკრეტულ წესებს, რეგულაციებს, კანონებს, მოლაპარაკებათა პუნქტებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ოპერაციებისა და ანგარიშების შედეგებზე“.²

3. ოპერაციული აუდიტი (Operational audit) – გულისხმობს კომპანიის (ორგანიზაციის) ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების შემოწმებას მწარმოებლურობისა და ეფექტიანობის შეფასების მიზნით და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. რ. მონტგომერის აზრით, ოპერაციული აუდიტი მოიცავს ხარჯთაღრიცხვის შესრულების, ეფექტიანობისა და მიზნობრივი პროგრამების შემოწმებას. ეკონომიურობისა და ეფექტიანობის შემოწმებას მიეკუთვნება: ფირმის მიერ თავისი რესურსების შეძენა, დაცვა და მოხმარება; მომუშავეთა შტატი და საკუთრება; არანაყოფიერი და არაეკონომიური მუშაობის მიზეზების გამოვლენა; ფირმის მიერ კანონებისა და წესების დაცვა. მიზნობრივი პროგრამების აუდიტი (მხედველობაშია – ოპერაციული აუდიტი – ი.მ.) განსაზღვრავს 1) კანონმდებლობით ან შესაბამისი ორგანოების მიერ დაწესებული მოგების ან

¹ მონტგომერი რ. აუდიტი, თბილისი, 1999, გვ. 36.

² მონტგომერი რ. აუდიტი, თბილისი, 1999, გვ. 37

სასურველი შედეგების მიღწევის ხარისხს, 2) ფუნქციონირებისა და ორგანიზაციის ეფექტურობას და 3) მოცემული პროგრამის მიმართ გამოყენებული კანონებისა და წესების დაცვას ფირმის მიერ.¹ საბოლოო ჯამში ოპერაციული აუდიტის მიზანია გამოავლინოს რა დანახარჯებით რა საბოლოო შედეგი იქნა მიღებული, რაც საბოლოო ჯამში ნიშნავს ეფექტიანობის ხარისხის დადგენას.

უკანასკნელ წლებში დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ოპერაციულმა აუდიტმა ფართო გამოყენება ჰპოვა „ Performance audit“ –ის სახელწოდებით, რისი პირდაპირი თარგმანი ქართულ ენაზე ვერ ხერხდება. აღნიშნული სახის აუდიტი რუსულ ენაზე ნათარგმნია როგორც „Аудит эффективности“, რაც მის შინაარსთან ძალიან ახლოსაა. ჩვენი აზრით, ამ სახის აუდიტის ქართულენოვან შესატყვის ტერმინად შეიძლება ვიხმაროთ „ეფექტიანობის აუდიტი“ ან კიდევ „შედეგიანობის აუდიტი“, თუმცა უპირატესობა მაინც პირველს უნდა მიენიჭოს, რადგან ეკონომიკურ პროცესებში „შედეგი“ მაინც შუალედური ხასიათისაა და მისი გამოყენება უფრო ცალკეულ ეკონომიკურ ოპერაციათა შეფასებისთვისაა მისაღები, ხოლო რაც შეეხება საბოლოო შედეგს (პროდუქტს), იგი უნდა შეფასდეს ეფექტიანობის კუთხით. „ოპერაციული აუდიტის“ ჩანაცვლება „ეფექტიანობის აუდიტით“, ჩვენი აზრით, შინაარსობლივად არაფერს არ ცვლის, მაგრამ რამდენადაც უკანასკნელ წლებში დასავლეთის ქვეყნებში და ფინანსური კონტროლის უმაღლეს ორგანოთა საერთაშორისო ინსტიტუტებში ფართოდ დაინერგა ტერმინი „პერფომანს-აუდიტი“, ქართულ ენაზე მის შესატყვისად უფრო უპრიანია ტერმინ „ეფექტიანობის აუდიტის“ გამოყენება. თუმცა არაა გამორიცხული დროთა ვითარებაში, ამ სახის აუდიტის შინაარსის ცვლილების კვალდაკვალ, უფრო ტევადი და მისაღები ქართულენოვანი ტერმინი შემოვიდეს ბრუნვაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სამეცნიერო და პრაქტიკულ ბრუნვაში ტერმინ Performance audit – ის (ეფექტიანობის აუდიტის) ფართოდ გავრცელებისა, მისი მკაფიოდ ჩამოყალიბებული და არგუმენტირებული აკადემიური განმარტება ჯერ კიდევ არ არსებობს.² ცალსახად არაა გაცემული პასუხი კითხვებზე – რას მოიცავს ამ ტერმინის შინაარსი, რას წარმოადგენს იგი – ფინანსური კონტროლის განსაკუთრებულ ფორმას, ახალ სახეს თუ ახალ მეთოდს. ამ მიმართულებით დისკუსია გრძელდება და მკვლევარებს შორის ერთიანი აზრი არაა ჩამოყალიბებული. იგი განიხილება როგორც: ფინანსური კონტროლის ახალი სახე; სახელმწიფო მოწყობის სისტემაში ურთიერთობათა განსაკუთრებული ინსტრუმენტი; სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ახალი ფორმა; მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის ახალი მიმართულება და ა.შ. როგორც ჩანს, აზრთა წინააღმდეგობა ამ სფეროში უფრო თეორიული ხასიათისაა და მას

¹ მონტგომერი რ. აუდიტი, თბილისი, 1999, გვ. 38.

² საქართველოში არათუ „სახელმწიფო აუდიტი“ არამედ საკანონმდებლო განმარტებას მოკლებულია ისეთი პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებადი კატეგორიები, როგორცაა „ფინანსური კონტროლი“, „კომპლექსური რევიზია“ (საერთო „რევიზია“), „თემატური შემოწმება“ და ა.შ., რაც მაკონტროლებელ ორგანოებს აძლევს თვითშემოქმედების საშუალებას და ხშირ შემთხვევაში გაუგებრობისა და უწყესრიგობის საფუძველი ხდება

პრაქტიკისათვის არსებითი პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. გამოყენებითი კუთხით კი დასადგენია ეფექტიანობის აუდიტის ძირითადი ფუნქციები და შემოწმების საგანი. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ რითი განსხვავდება იგი ჩვეულებრივი ფინანსური აუდიტისაგან. ქვემოთ შევეცდებით აღნიშნულ საკითხებზე ჩვენი შეხედულებების ჩამოყალიბებას.

ჩვენი აზრით, დავას არ უნდა იწვევდეს ის, რომ ეფექტიანობის აუდიტის ერთ-ერთი ძირითადი საგანია სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ხარჯვის სისწორის შემოწმება. ეს სფერო ნებისმიერი სახის აუდიტის საგანი შეიძლება იყოს, მაგრამ ეფექტიანობის აუდიტის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მან უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვით მიღებული შედეგების შედარება იმ მაჩვენებლებთან, რომელიც დაპროგნოზებული იყო ბიუჯეტის ფორმირება-დამტკიცების დროს. ასეთი მაჩვენებლები ბიუჯეტის ყოველწლიურ კანონში წინასწარ უნდა იყოს დაფიქსირებული, თუმცა ფაქტობრივად იგი ჯერჯერობით სრულყოფილად ვერ ხერხდება და მას მხოლოდ ნაწილობრივ მიზნობრივი პროგრამების შედგენის დროს აქვს ადგილი. ამიტომაც ეფექტიანობის აუდიტის ერთ-ერთ პრინციპულ მოთხოვნას წარმოადგენს ბიუჯეტის შედგენის ტექნოლოგიის ისეთნაირი ტრანსფარმაცია, რომლის დროსაც შესაძლებელი გახდება მისი ხარჯების შედეგიანობის (ეფექტიანობის) კონკრეტულ მაჩვენებლებში ასახვა. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება წინასწარი კონტროლის მიზნით ბიუჯეტის და მასში შემავალი მიზნობრივი პროგრამების პროექტების შედგენის დროსაც ხდება.

ეფექტიანობის აუდიტის ჩარჩოებში გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება. საქმე იმაშია, მოკლე დროში (ერთ ან ორ წელიწადში) შეუძლებელია მიზნობრივი პროგრამების რეალიზაცია და შესაბამისი საბოლოო პროდუქტის (მომსახურების) მიღება. როგორც წესი, მიზნობრივი პროგრამები გრძელვადიანი ხასიათისაა, რის გამოც ერთ საბიუჯეტო წელიწადში სახელმწიფო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელია და, შესაბამისად, ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება მიზანს მოკლებულია.

საბიუჯეტო ხარჯების გარდა ეფექტიანობის აუდიტის საგანი უნდა იყოს აგრეთვე სახელმწიფო საკუთრების გამოყენება-განკარგვის შემოწმება. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში სახელმწიფო ქონების მართვის შემოწმება ეფექტიანობის აუდიტის გამოყენებით შესაძლებელია დროის როგორც მოკლევადიან (ერთი წელი), ასევე გრძელვადიანი პერიოდისათვის. თუმცა, აქაც დგება ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემის შემუშავებისა და თვით ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდოლოგიურ-მეთოდური პრობლემები.

მესამე სფერო, რომელიც უნდა მოიცვას ეფექტიანობის აუდიტმა, ჩვენი აზრით, ეს არის საბიუჯეტო სახსრებთან და სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული პარლამენტის მიერ

მიღებული კანონები და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემუშავებული კანონმქვემდებარე ნორმატიული აქტები. მათ შორის, ეფექტიანობის აუდიტის კუთხით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობები (კოდექსები), რამეთუ მათზე თითქმის მთლიანადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობის სოციალური დაცვა.

ამრიგად, როგორც ჩანს, ეფექტიანობის აუდიტის საგანია საბიუჯეტო ხარჯების, სახელმწიფო ქონების მართვის და საკანონმდებლო ბაზის შემოწმება იმ კუთხით, რომ დადგინდეს თითოეული მათგანის საბოლოო მაკრო და მიკროეკონომიკური შედეგი. რამდენადაც, ეფექტიანობის აუდიტის ჩატარებისას მეტწილ შემთხვევაში ძნელია პირველადი ინფორმაციის მოპოვება და სათანადო დოკუმენტების შემოწმება, შესაბამისად, რთულია დადგენა, თუ რომელი ფაქტორებით და რა მიზეზებითაა განპირობებული სასურველი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მიუღწევლობა, რადგან მიზეზობრივ-შედეგობრივი გამოკვლევა მხოლოდ ფინანსური აუდიტითაა შესაძლებელი, ცხადია ეფექტიანობის აუდიტს წინ უნდა უსწრებდეს ფინანსური აუდიტი. ასეთი მიდგომა კი ნიშნავს, რომ ეფექტიანობის აუდიტმა თანდათანობით უნდა შეცვალოს სხვა სახის აუდიტი. ამგვარი მოსაზრება ფართოდაა გავრცელებული და მისი ძირითადი არგუმენტია ის, რომ ეფექტიანობის აუდიტის აუცილებელი წინაპირობაა ფინანსური აუდიტის ჩატარების აუცილებლობა, რადგან მხოლოდ მის საფუძველზეა შესაძლებელი იმ მიზეზებისა და ფაქტორების გამოვლენა რომლებმაც გამოიწვიეს დასახული მიზნის მიუღწევლობა – საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური, არამიზნობრივი ხარჯვა და სახელმწიფო ქონების არაეფექტიანი გამოყენება.

სუვერენული, სამართლებრივი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს მშენებლობა შეუძლებელია სრული ფინანსური წესრიგის დამყარების გარეშე, რისთვისაც საჭიროა სახელმწიფო კონტროლის ფორმებისა და მეთოდების ისეთნაირი ტრანსფორმაცია, რომ იგი დაეფუძნოს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულ გამოცდილებას და საზოგადოების, სახელმწიფოს და საბაზრო სექტორის მოთხოვნებს.

3. ნიკო ჩიხლაძე - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი.

ჩრდილოვანი ეკონომიკის რეგიონული გამოვლინებების საკითხისათვის

სახელმწიფოს მიერ გატარებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება რეგიონული პოლიტიკის სწორი კურსის არჩევაა. ქართველი რეგიონალისტები სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ქვეყნისა და მისი რეგიონების ურთიერთობა და განვითარება სქემატურად მთელისა და მისი ნაწილების ურთიერთობის ლოგიკას, პრინციპებს ემყარება. სწორედ, რეგიონებში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს დარგების განვითარებაზე არის დამოკიდებული მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობა.¹

ბოლო წლებში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად წარმოაჩინა, რომ ცენტრალიზებული მართვისა და დაგეგმვის ინსტიტუტების გაუქმების შემდეგ სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისი სახელმწიფო რეგულირების პროგრესული ფორმებისა და მექანიზმების ჩამოყალიბების საჭიროებას წარმოშობს.

ჩრდილოვანი ეკონომიკის საერთოეროვნულ დამახასიათებელ თვისებებთან ერთად აუცილებელია აღინიშნოს რეგიონული სპეციფიურობების შესახებაც. წლების განმავლობაში მათ განაპირობებდა მოცემული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა – საფინანსო-საკრედიტო სფეროში და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციების განვითარება, "ფილტრი ფირმების" ჩამოყალიბება, ყალბი ანგარიშ-ფაქტურებით მანიპულირება, ექსპორტზე ორიენტირებულ სანედლეულო წარმოება, კონტრაბანდა, საბაჟო პროცედურების უხეში დარღვევები, არაკანონიერი თევზჭერა და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცენტრსა და რეგიონს შორის საფინანსო-ეკონომიკური კუთხით არსებული სპეციფიკის შესახებაც. როგორც ცნობილია, საქართველოს რეგიონების აბსოლუტური უმრავლესობა დოტაციურია, ანუ არსებობენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არასაბიუჯეტო ფონდებიდან ჩარიცხული ტრანსფერების ხარჯზე. წლების მანძილზე

¹ იხ. ბოლაშვილი პ., მუნიციპალური განვითარების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. თბ. 2000, გვ. 27-33; მოურავიძე დ., რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და პრინციპები გარდამავალ პერიოდში. საქ. ბიზნ. მეცნ. აკადემიის მოამბე, თბ. 1997 '2-3, გვ.143-146.

продукцию стоимостью около 14 млн. руб. Численность занятых на этих фабриках и заводах составляла всего 0,5 % населения всей губернии. В этих оценках не следует упускать из вида, что при всей отсталости от тогдашних развитых стран, промышленное развитие губернии вышло на широкую стартовую позицию. Были выбраны правильные ориентиры: государственное регулирование реформирования экономики и активизация населения, строительства портов и расширение сети рельсовых сообщений. Однако не удалось перевести экономику на индустриальную основу, поскольку не хватало средние специальные и высшие учебные заведения технического профиля, из-за чего развитие предпринимательства не обеспечивалось человеческим фактором. История повторяется. И в настоящее время экономическая реформа идет, а население Грузии в ней активно не участвует, поскольку до сих пор не разработана государственная политика обновления экономического мышления. Как и все реформы, грузинская реформа не может осуществиться на пустой площадке или подражая развитым странам. Она зиждется на огромном фундаменте традиций. Таким фундаментом рыночной экономики Грузии являются традиции ее капитализма конца девятнадцатого и начала двадцатого века.

Резюме

Развитие предпринимательства в Кутаисской губернии
Президент научного общества "Нико Николадзе". Намичеишвили Р.Л.

Научное изучение природных ресурсов Кутаисской губернии ее новому руководству показало огромные возможности экономического возрождения губернии. Целю их реализации, были созданы такие институциональные образования, какими являлись Кавказский Филлоксерский Комитет, Кавказский отдел Императорского Российского Общества Садоводства, Кавказский отдел шелководческой станции, Сакарский питомник, Кутаисское опитное поле. Сотрудники института разрабатывали программу обновления экономического мышления населения и проводили селекционные работы цитрусовых деревьев, садово-огородных культур, технических культур и табачных насаждений. В результате появились новые виды производства чая, цитрусов, табака. Качественное обновление претерпело виноградарство, виноделие, шелководство, пчеловодство. Было создано широкая система железнодорожного транспорта, шоссейных и грунтовых дорог, реконструировали Батумский порт и построили Потийский порт т.д. Продукция губернии вышла на иностранные рынки. К 1913 г. население губернии по сравнению с 1878 г. возросло в 2 раза, количество фабрик и заводов 2,5 раз, выпуск продукции 4,5 раз, численность учащиеся 2,5 раз. Эти успехи были достигнуты с помощью государственного регулирования экономики и повышения активности населения. Экономика губернии набирала скорост индустриального развития.

Summary

Development enterprise in Kutaiskoy province President scientific society "droop Nikoladze". Namicheishvili R.L.

Scientific study of natural resources province of Kutaisi its new management has showed the enormous possibilities of economic rebirth province aim Their realization, were created such institutional of formation, what were showed Caucasian Fillokserskiy Committee, Caucasian division Imperial Russian Society a Horticulture, Caucasian division producing silk station, Sakarskiy nursery, experienced of Kutaisi. Employees an institute developed the program of renovation of economic thinking of population and conducted selection functioning(working) the citrus trees, garden-melons, technical culture and tobacco plantings. As a result appeared the new type tea production, citruses, tobacco. Qualitative renovation has suffered viticulture, wine-making, sericulture, beekeeping. There was is created broad system of rail-freight traffic, road and roand of ground, reconstructed Batumskiy port and have builded Potiyskiy port etc. Product of province leaved on foreign market. To 1913 population province in contrast with 1878 increased in 2 times, amount a factory and plants 2,5 once, production output 4,5 once, number of students 2,5 once. These success were reached by means of government regulation of economy and increasing an activity of population. Economy of province typed the velocity of industrial development.

რეგიონის ეკონომიკური მონიტორინგის

აქტუალური საკითხები

თანამედროვე პირობებში რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციისა და საქმიანი აქტივობის გასარკვევად მხოლოდ სტატისტიკური ანალიზისა და ეკონომიკურ სუბიექტთა „ოპერაციული მაჩვენებლების“ გამოყენება არაა საკმარისი რეალური მდგომარეობის შესაფასებლად. რეგიონის ეკონომიკური მონიტორინგი (შემდგომში-პროექტი), რომელიც წარმატებით ხორციელდება ქვეყნის რეგიონებში პოლონეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ, მიზნად ისახავს უშუალოდ ბიზნეს სუბიექტების მონაწილეობით იქნას შეფასებული მხარეებსა და ქალაქებში არსებული „ეკონომიკური მაჯისცემა“ და აქედან გამომდინარე-მოლოდინი.

„რეგიონული მონიტორინგი“ საშუალებას იძლევა ჩატარდეს დაკვირვება რეგიონში ფასებსა და ფასწარმოქმნის საკითხებზე, გაკეთდეს დასკვნები ფასების ზრდით გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე, პარტნიორი ქვეყნების კონტრაქტორების მხრიდან სატარიფო და არასატარიფო ბარიერების ხელოვნურ დაწესებაზე, ასევე იკვლევს რეგიონში საინვესტიციო გარემოს, დასაქმების დონესა და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ზეგავლენას საწარმოს სტაბილურ ფინანსურ მდგომარეობაზე და სხვა. ევროპის ქვეყნებში „რეგიონული მონიტორინგი“ არ რეგულირდება სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური კანონით, ის წარმოადგენს ცენტრალური ბანკების შიდა რეგიონულ დონეზე შექმნილ ანალიზურ პროდუქტს და თავის საქმიანობაში იყენებს არა მარტო ცენტრალური ბანკი და მისი რეგიონული სტრუქტურები, არამედ საფინანსო და ეკონომიკური პროფილის სამსახურები. აღნიშნულ გამოცდილებათა კვალობაზე საქართველოს სინამდვილეში იმერეთისა და ქუთაისის მაგალითზე ჩატარებული გამოკვლევების შედეგები ჩვენის აზრით, მიესადაგება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების 2006-2009 წლების ძირითად მიმართულებებს და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ერთიანი მაკროეკონომიკური ანალიზის შემადგენელ (რეგიონულ) ნაწილად. და ბოლოს, პროექტში მონიტორინგის ყველა მონაწილე სუბიექტი სპეციალური ფორმების (ანკეტების) შევსების გარდა აფიქსირებს წინადადებებსა და სურვილებს, რომელიც გასათვალისწინებელია ასევე გრძელვადიან პერიოდში რეგიონის ადგილობრივი მმართველობის მხრიდან.

მონაწილეთა დარგობრივი სტრუქტურა

რეგიონის ეკონომიკური მონიტორინგის ჩასატარებლად სხვადასხვა პროფილის 33 კომპანია შეირჩა. ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნა ეკონომიკაში აქტიურ სამეწარმო სუბიექტებზე. კერძოდ, ქუთაისის ეკონომიკაში - მატერიალური დოვლათის შექმნით, ფინანსური ნაკადების მოძრაობით, დასაქმების თვალსაზრისით, შიდა სავაჭრო რეგიონული ბაზრის ფორმირებაში გამოკვეთილ ფუნქციას ასრულებენ საშუალო და მცირე სამრეწველო საწარმოები, ტრანსპორტის სფერო, საცალო ვაჭრობის ობიექტები, სამშენებლო ორგანიზაციები და ჯანდაცვის სექტორი. სამრეწველო სექტორში ქუთაისში დასაქმებულია 3396 ადამიანი, 2005 წელს წარმოებულია 33 მლნ. ლარის პროდუქცია. საცალო ვაჭრობაში დასაქმებულია 2200 კაცი და საქონელბრუნვა შეადგენს 61 მლნ. ლარს. მშენებლობაში 2005 წელს სამუშაოთა მოცულობა 2,7-ჯერ გაიზარდა და დასაქმებულია 780 კაცი. ჯანდაცვაში დასაქმებულია 3350 ადამიანი. ჩამოთვლილ სფეროთაგან მონიტორინგში მონაწილე კომპანიათა შერჩევას ასევე საფუძვლად დაედო რეგიონული სამრეწველო პალატის რეიტინგული მონაცემები, ადგილობრივი მთავრობისა და მედიის საიტებზე გამოქვეყნებული ეკონომიკური მაჩვენებლებით გამორჩეულ კომპანიათა მონაცემები, სარეკლამო განცხადებები და სხვა. შესაბამისად, მონიტორინგის მონაწილეთა სტრუქტურა მრავალპროფილიანი სექტორებისგან შედგება (იხილეთ გრაფიკი №1).

არსებული მდგომარეობა

მონიტორინგის 30 პუნქტიანი სპეციალური ფორმა (ანკეტა) სამი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი ასახავს არსებულ სიტუაციას, მეორე ნაწილი შეეხება წარმოებაზე მოქმედ დადებით და უარყოფით ფაქტორებს, მესამე ნაწილი წარმოდგენას გვიქმნის ბიზნესის განვითარების მდგომარეობაზე უახლოეს პერსპექტივაში და რაც მთავარია მოლოდინს.

პირველი ნაწილის მიხედვით კომპანიათა 63,6% მათი საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობას ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებლად აფასებს, ხოლო 30,3% უკმაყოფილოა თავისი ბიზნეს-საქმიანობით. მხოლოდ 6,1%-ს მიაჩნია საწარმოს საქმიანობა წარმატებულად. (იხ. გრაფიკი №2). მთლიანობაში მონიტორინგის ყველა მონაწილე გაცილებით ოპტიმისტურად უყურებს არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას (იხ. გრაფიკი №3).

რაც შეეხება წარმოებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურეობაზე ფასებს, მონაწილეთა 66,7% მიიჩნევს, რომ ფასები უცვლელია, მხოლოდ 6% აღნიშნავს მის შემცირებას, გამოკითხულთა 27,3% მიანიშნებს ფასების გაზრდას (იხ. გრაფიკი №4).

განსაკუთრებით საინტერესოა გამოკვლევები წარმოების დანახარჯების (ზოგ შემთხვევაში მიმოქცევის ხარჯების) შესახებ. 75,76%-ის თქმით დანახარჯები გაიზარდა და მხოლოდ 6,06% აღნიშნავს მის შემცირებას. ყველა დარგის წარმომადგენელი მიუთითებს დანახარჯების მასიურ ზრდაზე (იხ. გრაფიკი №5). როგორც ჩანს საკმაოდ ბევრ საწარმოს უდგას თავისუფალი ფულადი სახსრების პრობლემა, მონიტორინგის მონაწილეთა

42,42% აღნიშნავს, რომ მათ განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების მოცულობა შემცირდა, მხოლოდ 18,18% აღნიშნავს, რომ ფინანსური რესურსები გაეზარდათ.

გამოკვლევებიდან რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ: თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენ არ ვთხოვდით მონაწილეებს ოპერატიულ ინფორმაციას, არც ჩვენთვის სასურველ პასუხებს, ვფიქრობთ მათი განწყობილება, მათი პასუხები გარკვეულ დაფიქრებას მოითხოვს ჩვენგან: რასაკვირველია, ლოგიკური ურთიერთკავშირი პასუხებს შორის ცხადად იკითხება, ბუნებრივია, როცა თავისუფალი ფულადი სახსრების შემცირება წარმოებაზე გაზრდილი დანახარჯებითაა გამოწვეული, ეს ფაქტორი სწრაფადვე პოულობს ასახვას პროდუქციის ან მომსახურების ღირებულებაში, რომელიც პირდაპირპროპორციულად მატულობს. აღნიშნული კი, რაღა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს გაყიდვების მოცულობაზე, რასაც განსაკუთრებით ვაჭრობის დარგის მონაწილენი (71,4%) აცხადებენ.

წარმოებაზე მოქმედი ფაქტორები

როგორც ცნობილია, ბიზნესის კეთებისას კომპანიების მხრიდან აუცილებელია ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინება, როგორცაა ინფლაციის ტემპი, ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობა, ენერგომატარებლების ფასების ცვლილება, საპროცენტო განაკვეთები და სხვა. მონიტორინგის მონაწილე კომპანიებმა 2006 წლის I კვარტლის მდგომარეობით საინტერესო განწყობა გამოხატეს, თუ “როგორი გავლენა იქონია ლარის კურსის ცვლილებამ ბიზნესზე”.

აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 2/3-ის აზრით, გავლენა არ მოუხდენია, ხოლო 6,06% მიიჩნევს, რომ მან დადებითი გავლენა იქონია. მაგრამ რესპოდენტთა 27,27%-მა აღნიშნა, რომ ამ ცვლილებამ უარყოფითად იმოქმედა. საინტერესოა პასუხები დარგობრივ ჭრილშიც - ყველაზე უარყოფითად 2006 წლის I კვარტალში ლარის კურსის ცვლილებამ ვაჭრობაზე იქონია (იხ. გრაფიკი №6), აქვე გავიხსენოთ, რომ ტრადიციულად ყოველი ახალი წლის დასაწყისში ლარის კურსი ოდნავ ეცემა აშშ დოლართან მიმართებაში და როგორც აღმოჩნდა ეს გარკვეულ დისკომფორტს უქმნის ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებს, რომლებიც საკმაოდ აქტიურად მუშაობენ იმპორტზე.

ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა კომპანიათა საერთო დადებითი დამოკიდებულება დაკრედიტების პირობების ცვლილების მიმართ (იხ. გრაფიკი №7). ის ფაქტი, რომ საბანკო სექტორი მეთოდურად აუმჯობესებს მომსახურებას, დაკრედიტების პირობებს და კრედიტი უფრო იაფი და ხელმისაწვდომი ხდება, ხელშესახებ პოზიტიურ გავლენას ახდენს სამეწარმეო საქმიანობაზე, ამას რეგიონის საბანკო სტატისტიკა და მიმდინარე წლის I კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3-ჯერ გაზრდილი სესხებიც მოწმობს.

ახლა, რაც შეეხება რისკებს: საქართველოს მხარეებს შორის იმერეთი და ქუთაისი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული მაჩვენებლებით არ გამოირჩევა, ეს კი რეგიონში არსებული ბიზნეს კლიმატის აქტიურობის დაბალ ხარისხზე მიუთითებს, მონიტორინგში მონაწილეთა ნახევარი თვლის, რომ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები გაიზარდა (იხ. გრაფიკი №8). 43% აღნიშნავს ბოლო პერიოდში გაუთვალისწინებელი ხარჯების ზრდით გამოწვეულ რისკების ზეგავლენის ხარისხს.

ბიზნესის კეთებაზე მოქმედი ფაქტორების გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ, მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა (ინფლაცია, ფასები, ვალუტის კურსი, კომპანიებისა და მოსახლეობის გადახდისუნარიანობა და სხვა) და ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების გავლენას ბიზნეს სექტორი უფრო მომზადებული ხვდება, ისინი ბიზნეს გარემოს შემაფერხებელ მიზეზად არაეკონომიკურ ფაქტორებს მიიჩნევენ, შედეგად მათ არ აქვთ სტაბილურობისა და თანმიმდევრობის განცდა და მათ მოლოდინში არ იკვეთება ის გარანტიები, რომელზეც სამომავლო გეგმები უნდა ააწყონ. ეს განწყობილება მონიტორინგის III ნაწილში, მათ მოლოდინში კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთა.

მოლოდინი

ბიზნესის მოლოდინი დღეს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მდგენელად იქცა, თუ ბიზნესს უახლოეს პერსპექტივასთან დაკავშირებით დადებითი პროგნოზი გააჩნია, ეს შეიძლება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის სიჯანსაღის მაჩვენებლად მივიჩნიოთ.

მონიტორინგის მესამე ნაწილის შედეგებმა, რომელიც რეგიონის ბიზნეს წრეების მოლოდინის უახლოეს პერსპექტივას შეეხებოდა, დაგვანახეს, რომ მეწარმე სუბიექტები იმედებთან ერთად გარკვეულ პრობლემებზეც აკეთებენ აქცენტს (იხ. გრაფიკი №9). მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ გამორიცხავენ მათთან დასაქმებულთა რიცხვის მატებასა და კრედიტებზე მოთხოვნის გაზრდას, რაც რაღა თქმა უნდა დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს, მათი აზრით, მაინც არსებობს გაუთვალისწინებელი რისკების ერთობლიობა, რომელიც პროდუქციასა და მომსახურებაზე ფასების მომატებას გამოიწვევს, ეს კი უარყოფით ასახვას ჰპოვებს რეალიზაციაზე, ანუ გაყიდვების მოცულობა მაინც შემცირდება. ეს ნეგატიური პროგნოზები პირველ რიგში ენერგომატარებლების ფასების არაერთჯერად მომატებას უკავშირდება.

მონიტორინგის მესამე ნაწილის შედეგებიდან გამომდინარე ცხადია, რომ მეწარმეთა უმრავლესობას მიდრეკილება აქვს თავისი საქმიანობის გაფართოებისაკენ, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ბიზნესისათვის, მაგრამ მათ მოლოდინში იკვეთება სურვილი მეტი თანმიმდევრულობის, გამჭვირვალობისა და ეკონომიკური პოლიტიკის სტაბილურობისა. რომ ბიზნესის ხელშეწყობა სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი უნდა გახდეს, შეღავათიანი პირობების შექმნით კი რეგიონული ბიზნესი რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ მყარ რგოლად გადაიქცევა.

დასკვნა


ჩვენს მიერ ჩატარებული მონიტორინგი გახლავთ შედეგი პოლონეთის ეროვნული ბანკის შესაბამისი პროექტის მიხედვით, თვით ბიზნეს სექტორის თვალთ დაგვენახა რეგიონში არსებული ეკონომიკური სიტუაცია და ბიზნესგარემო, რაც ერთობ საინტერესო გამოდგა და ვფიქრობთ, ეს პროექტი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ეროვნული ბანკის ახალი საზოგადოებრივი სახის ჩამოყალიბების გზაზე. თავად მონიტორინგის მონაწილეებისთვისაც საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა ამ ფორმით ეროვნული ბანკის ფილიალთან საქმიანობა.

ვფიქრობთ, პროექტის მომავალში განხორციელებით შესაძლებელი გახდება საბალანსო წლის ჭრილში, რეგიონულ დონეზე ეკონომიკური სიტუაციის სრული და ობიექტური სურათის მიღება, რაც გარკვეული დინამიკისა და შესაბამისი ანალიზის გაკეთების საშუალებას მისცემს საკრედიტო ორგანიზაციებსა და ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტებს.


გამოყენებული ლიტერატურა:

1. Денги и кредит. 2003 №9, с.32, 35
2. Денги и кредит. 2005 №3, с.22, 26
3. SZYBK I MONITORING NARODOWY BANK POLSKI, Prognozi na I kw. 2006 r.
4. საქართველოს ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალის 2006 წლის გამოკვლევები.
5. სტატისტიკის დეპარტამენტის ქუთაისის სამმართველოს 2005 წლის მასალები.
6. გრიგორი მენქიუ, 2000წ. გვ. 1042


მონიტორინგში მონაწილეთა დარგობრივი სტრუქტურა



გრაფიკი №1




გრაფიკი № 2



გრაფიკი № 3

პროდუქციაზე ფასების ცვლილება


■ გაიზარდა ■ არ შეცვლილა ■ შემცირდა




გრაფიკი №4

წარმოების დანახარჯების ცვლილება

■ გაიზარდა □ არ შეცვლილა ■ შემცირდა




გრაფიკი №5



გრაფიკი №6

დაკრედიტების პირობები


■ გაუმჯობესდა ■ არ შეცვლილა ■ გაუარესდა




გრაფიკი №7

ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

■ გაიზარდა ■ არ შეცვლილა ■ შემცირდა ■ არ ვიცი



გრაფიკი №8



გრაფიკი №9

Резюме

Проведенный нами экономический мониторинг имеретинского региона – это попытка изучения в соответствии с проектом польского национального банка существующей в регионе экономической ситуации и бизнес-среды изнутри, т. е. как бы взглянуть на положение глазами самого бизнеса.

Для этого нами были отобраны 33 компании разного профиля, которые играют значительную роль в экономике региона. Был проведен анкетный опрос всех руководителей. Специальная форма (анкета) мониторинга, содержащая 30 пунктов, состояла из трех частей: первая часть отражает существующую ситуацию, вторая касается положительных и отрицательных факторов, влияющих на производство, третья часть дает представление о перспективах и ожиданиях развития бизнеса.

Существующее положение

Следует отметить, что региональные предприниматели более недовольны, чем довольны экономическим состоянием собственного производства. Например, в связи с указанным вопросом 63,3% предпринимателей оценивают состояние своих производств как удовлетворительное, 30,3% считают его неудовлетворительным и лишь 6,1% - успешным. По нашему мнению, одной из главных причин этого является почти единогласно отмечаемый производителями рост производственных затрат, объем находящихся в их распоряжении денежных средств мал.

Факторы, влияющие на производство

Оказалось, что предприниматели особенно возмущены ростом риска, связанного с экономической деятельностью, одновременно отмечают степень влияния риска, вызванного ростом в последнее время непредвиденных затрат. Выявлено, что предприниматели видят причины, сдерживающие развитие бизнес-среды во внеэкономических факторах, соответственно, у них нет ощущения стабильности.

Из положительных факторов следует отметить абсолютно положительное отношение респондентов к изменениям условий кредитования. Конкретным доказательством этого можно привести следующие данные: в первом квартале текущего года по сравнению с соответствующим периодом прошлого года в 3 раза возросли займы, выданные банками на предпринимательство.

Ожидания (Перспектива)

Ожидания в сфере бизнеса являются на сегодняшний день одним из составляющих развития экономики.

Исходя из результатов этой части мониторинга, мы увидели, что большинство предпринимателей желает расширения своей деятельности, это обычное явление в бизнесе, но в их ожиданиях выделяется желание большей последовательности, прозрачности и стабильности экономической политики.

Р. Робакидзе

Rezo Robakidze

Actual Issues of Regional Economic Monitoring

Abstract

The paper deals with the actual issues of regional-economic monitoring which are carried out by the Central Banks of Poland and other countries. The monitoring conducted by us is the result of the project corresponding to the Polish National Bank. It was rather interesting to inspect economic situation and business environment inside the region with the eye of business sector and I think this project is an advanced step on the way of forming the new social image of the National Bank. Such kind of activities conducted with the branch of the National Bank was quite interesting for the participants of the monitoring.

In our opinion it will be possible to have the complete and objective image of the economic situation on the regional level by carrying out the project in future in the balance year. It gives us possibility to do dynamic appropriate analysis in the credit organizations and the financial-economic institutions of the country.

6. რევაზ კაკულია - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი.

სახელმწიფო პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს

თვითრეალიზაციის საფუძველი

სახელმწიფო ხელისუფლების მართვისა და რეგულირების ხელოვნება დიდად არის დამოკიდებული მის უნარზე, რომ პირველ რიგში სწორად გამოითვალოს და გამოიყენოს ხარჯებისა და გადასახადების სისტემა. ქვეყნის ხელისუფლებისათვის მთავარია გაარკვიოს განსხვავება არა საშემოსავლო გადასახადსა და გადასახადს შორის, რომელიც ამოიღება სოციალური დაზღვევის პროგრამის შესაბამისად, არამედ უმთავრესია მათი ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა. ეს კი მიღწეული უნდა იქნეს საერთოდ ცნობილი კატეგორიების მოშველიებით. ასეთი კატეგორიაა: შიდა ეროვნული პროდუქტი, რომელთანაც ამა თუ იმ გადასახადის, ან მთლიანად საგადასახადო შემოსავლების პროცენტული შეფარდება საშუალებას იძლევა განისაზღვროს საერთოდ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და თვით არსებული ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის დონე.

გადასახადების მოცულობა შიდა ეროვნული პროდუქტის მოცულობასთან პროცენტობით შეადგენს: იაპონიაში _ 20-22%, საბერძნეთში – 22-24%, ავსტრალიაში – 30%, აშშ-ში _ 30%, იტალიაში – 33-34%, კანადაში – 35%, გერმანიაში _ 35-36%, საფრანგეთში – 35-37%: დიდ ბრიტანეთში – 35-37%, ბელგიაში – 38-39%, ნორვეგიაში – 40-42%, შვეციაში – 43-45%, ნიდერლანდებში – 45%, საქართველოში ეს თანაფარდობა 13-14%-ს არ აღემატება.

სახელმწიფო მშენებლობის პროცესში ყოველთვის, ყველა ეპოქაში მთავარი იყო ხელისუფლების ფისკალური პოლიტიკა, რომლის ორი ძირითადი ინსტრუმენტი გადასახადები და სახელმწიფო ხარჯები მიმართული იყო ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სამართავად. გადასახადები და ხარჯები გავლენას ახდენს კერძო პირებისა და კორპორაციების შემოსავლებზე.

საბაზრო ეკონომიკა როგორც მთლიანობაში, ისე განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში, ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი სისხლხორცეულად მოითხოვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებასა და საზოგადოების ფინანსური რესურსების განაწილება-გადანაწილების ფუნქციის სრულად ამოქმედებას.

საკუთრების მრავალფეროვნებაზე აგებული ეკონომიკური სისტემა, ე.ი. საბაზრო ეკონომიკა ობიექტურად უზრუნველყოფს საზოგადოებრივი კეთილდღეობის შესაძლებლობათა ოპტიმალურ

განაწილებას. სახელმწიფომ უნდა მიაღწიოს ეროვნული თავდაცვის, შინაგანი უსაფრთხოების (პოლიციის) და სხვა საზოგადოებისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაფინანსებას. რესურსების ფინანსური მობილიზაციის მიზნით რეგულარულად მიმართავს სახელმწიფო საშემოსავლო წყაროების ოპტიმალური შერჩევის მექანიზმს.

თანამედროვე მსოფლიოში ძალიან მცირეა იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც განაწილების საბაზრო სისტემებით წარმოებს სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილის გადანაწილება, მაგრამ ასეთი ქვეყნებიც მოითხოვენ მრავალნაირი განაწილებითი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებითაც მიმდინარეობს შემოსავლისა და სიმდიდრის თანაბარი და სამართლიანი გადანაწილება.

გადანაწილების განხორციელების მხოლოდ ორად ორი გზა არსებობს: გადასახადებით და სახელმწიფო პროგრამებით. ამ მიზანს ემსახურება პროგრესული საშემოსავლო გადასახადები და გადასახადები საკუთრებაზე, რომლითაც გაითვალისწინება მდიდრებისათვის უფრო მაღალი საგადასახადო განაკვეთები, აგრეთვე არაპირდაპირი გადასახადები ფუფუნების საგნებზე. ის საქონელი, რომელსაც მოიხმარს მოსახლეობის ნაკლებშემოსავლიანი ნაწილი, სახელმწიფოთა მიერ სუბსიდირებულია ან უკიდურეს შემთხვევებში იბეგრება დაბალი განაკვეთებით.

გადანაწილება შეიძლება განვიხილოთ, როგორც „სოციალური დაზღვევის“ განსაზღვრული ფორმა.

ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ გადანაწილებას უკუდამოკიდებულება გააჩნია ეფექტიანობასთან. თითქმის სახელმწიფოს ყველა გადანაწილებითი ღონისძიება ამცირებს დაინტერესებასა და ეფექტიანობას, რასაც დამზღვევთა ენაზე მორალური რისკის პრობლემას უწოდებენ. პროგრესული საშემოსავლო გადასახადი სპობს შრომისადმი სტიმულებს. თანაც ფუფუნების საგნებზე მოთხოვნა ხშირად ელასტიკურია. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ გადანაწილებას თავისი საზღვრები გააჩნია, წინააღმდეგ შემთხვევაში საბაზრო ეკონომიკა ვერ შეძლებს ეფექტიანად შეასრულოს თავისი გადანაწილებითი ფუნქცია.

ამრიგად, საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და საბაზრო ურთიერთობების განვითარება მოითხოვს ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის ფინანსების ზოგადი თეორიისა და საერთოდ, ფინანსური მეცნიერების ფორსირებულ კვლევა-ძიებას, რომლისთვისაც ფართოდ უნდა გამოვიყენოთ დასავლეთის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მეცნიერების მიერ ამ სფეროში მიღწეული წარმატებები; იმ განვითარებადი ქვეყნების მიერ ფინანსების მეცნიერებისა და საფინანსო პოლიტიკაში დაგროვილი გამოცდილება, რომლებიც ჩვენზე ადრე დაადგინეს საბაზრო ეკონომიკის გზას. საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციების მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გამოკვლევები და გამოცდილებანი და ისინი მივუსადაგოთ ჩვენს ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანამედროვე დონეს. ამ მხრით ნაკლებად სასარგებლო და გამოსაყენებელია ყოფილი სსრ

კავშირის გაყალბებული ფინანსური მეცნიერება და თანამედროვე რუსეთის ფინანსების ზოგადი თეორიის მეცნიერული დებულებები და დასკვნები.

ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებამ თავის თავს უნდა დაუსვას კითხვა: არსებული ან საპროგნოზო გადასახადებიდან რომელი უნდა აირჩიოს საკუთარი საჭიროების დასაფინანსებლად? პირველ კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ სამართლიანობა ან თანასწორობა, მეორე კრიტერიუმად კი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი საკითხი – სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ვიხილავთ რა, მსოფლიო მეურნეობის ფინანსური რესურსების გადანაწილების ფენომენს, იგი, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანს შემდეგ დასკვნამდე: იმ ქვეყნების ეროვნული მეურნეობების კეთილდღეობა, რომლებიც არ შედიან განვითარებული ქვეყნების ჯგუფში, ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე პირდაპირ დამოკიდებულია საზოგადოების ძალისხმევაზე. საბოლოო ჯამში, სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა დაიცვას საკუთარი ეროვნული მეურნეობა ვირტუალური ფინანსების შემოსავლების გადანაწილებისაგან. სწორედ ეს წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარ მიზანს. ამასთან, სხვა რამეც ნათელია: თუ ფირმა ან კომპანია ბიზნესის ინტერნაციონალიზაციასა და გლობალიზაციაში არ მონაწილეობს, სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელი გახდება. ამ პრობლემის გადაწყვეტა – თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ამოცანაა.

როგორც წესი, ნებისმიერი ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის მიზანია სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების რეგულირება, პროდუქციის გამოშვებისა და დასაქმების ციკლური რყევების აღმოფხვრა, ფასების დონის სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. მაგალითად, აშშ-ში 1946 წელს და შემდეგში, 1978 წელს ჰემფრი-ჰოკინსის შემოღებული კანონები დასაქმების შესახებ ფედერალურ მთავრობას აკისრებდა პასუხისმგებლობას სრული დასაქმების უზრუნველსაყოფად მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გამოყენების გზით. თვალში საცემია ის ფაქტი, რომ დასაქმების თაობაზე ქვეყანაში მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ორჯერ მიიღეს კანონი და ამ კანონებში კომპლექსურად არის განხილული ქვეყნის მთავარი მიზნების: სრული დასაქმების, ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის დაბალი ტემპების უზრუნველყოფა მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის განხორციელებით. ქვეყანაში ყველამ იცის, დაწყებული პრეზიდენტიდან დამთავრებული რიგით ამერიკელამდე, რომ ეს ამოცანა განსაკუთრებით რთულია მრავალი მიზეზის გამო, რომელთა შორის ერთ-ერთი პრიორიტეტულია ის, რომ სახელმწიფო სახსრები იხარჯება დიდძალი პროგრამის განსახორციელებლად და არა მარტო ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, ეროვნული თავდაცვის განმტკიცება, სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები, განათლებისა და კულტურის განვითარება, გზებისა და ხიდების მშენებლობა, გარემოს დაცვა, ფუნდამენტური მეცნიერების განვითარება და მრავალი სხვა.

ფისკალური პოლიტიკას თავისი ინსტრუმენტები გააჩნია, რომელთაგან აღსანიშნავია: სხვადასხვა

სახის გადასახადების მანიპულირება, საგადასახადო განაკვეთების ან აკორდული გადასახადების ცვლილებებით. გარდა ამისა, ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტებს მიეკუთვნება ტრანსფერტული გადასახადები და სხვა სახის სახელმწიფო ხარჯები. ფისკალური პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტი ეკონომიკაზე სხვადასხვაგვარად ზემოქმედებს. მაგალითად, აკორდული გადასახადის გადიდება იწვევს ერთობლივი ხარჯების შემცირებას, მაგრამ არ იწვევს ცვლილებებს მულტიპლიკატორში, მაშინ, როდესაც პირადი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ზრდა გამოიწვევს როგორც ერთობლივი ხარჯების, ისე მულტიპლიკატორის შემცირებას. სხვადასხვა სახის გადასახადების შერჩევა (პირადი საშემოსავლო გადასახადი, კორპორაციის გადასახადი ან აქციზი) ზემოქმედების ინსტრუმენტის სახით, სხვადასხვანაირ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, მათ შორის იმ სტიმულებზე, რომლებიც ზემოქმედებს როგორც ეკონომიკურ ზრდაზე, ისე ეკონომიკის ეფექტიანობაზე.

ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხარჯების ცალკეული სახეობის შერჩევა იმის გამო, რომ მულტიპლიკატორის ეფექტი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. მაგალითად, ხარჯები თავდაცვაზე უზრუნველყოფს მულტიპლიკატორის ნაკლებ სიდიდეს, სახელმწიფო ხარჯების სხვა სახეობებთან შედარებით.

როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე ცალკეული ფისკალური ინსტრუმენტები სხვადასხვა ეფექტს იძლევა. მაგალითად, სახელმწიფო ხარჯების მატების ექსპანსიონისტური ხასიათი საგადასახადო შემოსავლების დაუბალანსებელი ზრდის პირობებში, იწვევს საპროცენტო განაკვეთის გადიდებასა და კერძო სექტორში ინვესტიციების შემცირებას. თანაც ეს იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, როცა ადგილი აქვს უმნიშვნელო ეკონომიკურ ზრდას ან დაცემას.

გადასახადების შემცირების გავლენა ზოგჯერ თავისი შედეგებით ემთხვევა სახელმწიფო ხარჯების ზრდას. ამ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება, თანაც მოსალოდნელია კერძო სექტორში ინვესტიციების შემცირება. თუმცა, სამომხმარებლო ხარჯებზე გადასახადების შემცირების გავლენა უფრო ხელშეშახები იქნება. საგადასახადო დაბეგვრის განაკვეთის შემცირება გამოიწვევს მულტიპლიკატორის ზრდას და ერთობლივი მოთხოვნის გადიდებაზე ზემოქმედებას. ამასთან, გადასახადების შემცირებამ შეიძლება გააძლიეროს ეკონომიკური ეფექტიანობის ამალღებისა და ერთეულ პროდუქციაზე წარმოების დანახარჯების შემცირების სტიმულები.

საქართველოს ფისკალური სისტემა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, მხოლოდ ათ წელს ითვლის და ამ მოკლე ხანში მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებები განიცადა, კერძოდ: ჩამოყალიბდა საგადასახადო კანონმდებლობა, დაიხვეწა ბიუჯეტის შედგენის, განხილვა-დამტკიცების და შესრულების კონტროლის მექანიზმი.

ამასთან, პერმანენტული, სტრუქტურული და საბიუჯეტო კრიზისისა და რეალური ფინანსური

რესურსების მწვავე დეფიციტის პირობებში მთავრობა ვერ ახერხებს დასახული ფისკალური მიზნების მიღწევას, რასაც გარკვეულწილად ხელს უშლის, ერთი მხრივ, კანონმდებლობის არასრულყოფილება და, მეორე მხრივ, არსებული კანონმდებლობის შესრულებაში დაშვებული შეცდომები და დანაშაულებრივი ქმედებები.

ნებისმიერი სამეურნეო სისტემის უმნიშვნელოვანესი საკითხებია შემოსავლების წარმოება, განაწილება და გადანაწილება, მათი მითვისება. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური სისტემებისათვის, იქნება ეს ცენტრალიზებულ-გეგმიანი თუ საბაზრო ურთიერთობებზე აგებული სისტემა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოველთვის წარმოების მიზანია შემოსავალი. ამასთან, ნებისმიერი ამონაგები – შემოსავალია. კაპიტალიც შემოსავალია, თანაც შემოსავლის შესაძლებლობა. მოგება – რეალიზებული შემოსავალია, მისი ნამატია. მოგება შემოსავალია კაპიტალზე და სწორედ კაპიტალის შემოსავალია მისი მთავარი მიზანი. ჩვენ გვინდა თუ არ გვინდა, უნდა ვაღიაროთ, რომ მოგების გარეშე არ არის კაპიტალი, არ არის ეკონომიკა.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში იწარმოება მრავალნაირი შემოსავლები: კაპიტალის დანახარჯების დაფარვისა და შრომითი შემოსავლები, სამეწარმეო შემოსავალი, სესხის სარგებელი, სავაჭრო მოგება, რენტა, დაქირავებული მუშაკების ხელფასი, შემოსავლები პირადი და საოჯახო შრომისაგან. ყველა ეს შემოსავალი მიეკუთვნება უშუალოდ მეურნეობრიობიდან მიღებულ შემოსავლებს. მაგრამ არის შემოსავლები, რომლებიც მიიღება არასამეურნეო მომსახურების გაწევისაგან – თვით მეურნეობის, საზოგადოებისა და ადამიანის მიერ. ასეთი შემოსავლები ჯილდოს სახით წარმოგვიდგება. არსებობს აგრეთვე შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ სასარგებლო საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულებასთან და რომლებიც ღებულობს შრომის, ან მომსახურების საფასურის სახეს. არსებობს სოციალური შემოსავლებიც. დაბოლოს, არსებობს შემოსავლები (არც თუ ისე უმნიშვნელო), რომლის წარმოშობის წყაროებზე საზოგადოებაში არ საუბრობენ – უკანონო (ფარული) შემოსავლები.

საზოგადოებაში შემოსავლები წარმოშობის მიხედვით ძირითადად ორი სახისაა – უშუალო და არაპირდაპირი, ე.ი. შემოსავლები, რომელიც იქმნება უშუალოდ მეურნეობრიობის პროცესში და შემოსავლები, რომელიც წარმოიქმნება არაპირდაპირი გზით – პირდაპირი შემოსავლების გარდაქმნით, ე.ი. შემოსავალი შემოსავლებიდან. საზოგადოებაში ყოველთვის მოქმედებს შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების მექანიზმი, რომელშიც ღირსეული ადგილი სახელმწიფოს უკავია. „ბაზრის „უხილავი ხელი“ რესურსებს ეფექტიანად ანაწილებს, მაგრამ ვერ იძლევა მიღებული შედეგების სამართლიანობის გარანტიას. ამიტომ მრავალი, მაგრამ არა ყველა, „ეკონომისტი თვლის, რომ მთავრობამ, მეტი წონასწორობის მისაღწევად, შემოსავლები უნდა გადაანაწილოს. თუმცა, როდესაც მთავრობა თავისი პოლიტიკური პროგრამების რეალურ განხორციელებას იწყებს შემოსავლების უფრო თანასწორი განაწილების მისაღწევად, ის ამახინჯებს

სტიმულებს, ცვლის ადამიანთა ქცევას და რესურსების გადანაწილების ნაკლებეფექტიანს ხდის³⁷.

როგორც წესი, შემოსავლების გადანაწილების სახელმწიფოებრივი მექანიზმიდან წამყვანია საგადასახადო დაბეგვრა. აქედან მიღებული შემოსავლები სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების მთავარი წყაროა და, რამდენად მეცნიერულად დასაბუთებული იქნება თითოეული გადასახადი, მათი განაკვეთები, დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფოს სუვერენობა და ოპტიმალური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

ახლა კი შევეხოთ ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ურთიერთობათა დიალექტიკას.

ნორმალურად მართვად ნებისმიერ ქვეყანაში ცენტრალური ბანკი მთავრობისაგან დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას საბანკო კრედიტზე სარგებლის განაკვეთების დაწესებით. საბიუჯეტო პოლიტიკას განსაზღვრავს ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები ცენტრალური ბანკი ცდილობს შეზღუდოს ფულის მიწოდების ზრდა და უზრუნველყოს ინფლაციის დაბალი ტემპი. სახელმწიფო ხელისუფლება კი, რომელიც საბიუჯეტო პოლიტიკას განაგებს, უმეტესწილად ისეთი საკითხებითაა დაკავებული, როგორცაა: სრული დასაქმება, საკუთარი პოპულარობა, დაბალი გადასახადები და მომავალი არჩევნები³⁸.

თუ ოპტიმალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მიმართულია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად და მისი მიზანია – ეკონომიკური ზრდა, სრული დასაქმება და ინფლაციის დაბალი ტემპები, საბიუჯეტო პოლიტიკის გამტარებელი პირები ამჯობინებენ მინიმალურად ებრძოლონ შესაძლო უმუშევრობას, სახელმწიფო ხარჯების გადიდებას გადასახადების შემცირებასთან შეხამებით და ნაკლებად ზრუნავენ ინფლაციასა და კერძო ინვესტიციებზე. ისინი „დიდ საბიუჯეტო დეფიციტს“ ირჩევენ. მეორე მხრივ, ცენტრალური ბანკი ცდილობს ინფლაციის შემცირებას, არ ექვემდებარება პროფკავშირების და მალობირებელი ჯგუფის ზემოქმედებას და „სარგებლის მაღალ განაკვეთებს“ ირჩევენ³⁹.

როგორც წესი, ეროვნული ეკონომიკა აღსავსეა მოვლენათა განუსაზღვრელობით, გაურკვეველობით. საზოგადოების წევრებს, მომხმარებლებს ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ გაურკვეველობაში არიან შემოსავლებისა და საკუთარი დასაქმების მომავლის თაობაზე. საოჯახო მეურნეობები და სამეურნეო სუბიექტები გაურკვეველობასა და განუსაზღვრელობას აწყდებიან არა მარტო შემოსავლების, არამედ ხარჯების საკითხებშიც. „მათი მომავალი შემოსავლები წინასწარ განჭრვეტას არ ექვემდებარება ფასებისა და წარმოების მოცულობათა განუსაზღვრელობის გამო“⁴⁰.

³⁷ *მენქიუ გ.*, ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2000, გვ. 563-564.

³⁸ *სამუელსონი პ.ა., ნორდჰაუსი ვ.დ.*, ეკონომიკა, ტ. II, თბ., 2000, გვ. 38.

³⁹ იქვე, გვ. 38.

⁴⁰ *სამუელსონი პ.ა., ნორდჰაუსი ვ.დ.*, ეკონომიკა, ტ. II, თბ., 2000, გვ. 41.

სწორად შერჩეული საბაზრო მექანიზმისა და ბერკეტების პირობებში დაზღვევა, სპეკულაცია და არბიტრაჟი რისკის შერბილებას იწვევენ. „თუმცა სპეკულანტთა და მეარბიტრაჟეთა ქმედებები მიმართულია პირადი მოგების მიღებაზე, მაგრამ მთელი ეკონომიკის მასშტაბით მათი ძალისხევა ფასების გამოთანაბრებას იწვევს დროსა და სივრცეში. საბაზრო წონასწორობის პარამეტრებია ნულოვანი მოგების შედეგები, რომლის დროსაც გაწონასწორდება ზღვრული ხარჯები და ზღვრული სარგებლიანობა სხვადასხვა რეგიონში, პერიოდებსა და განუსაზღვრელ სიტუაციებში. ხარისხი, რომლითაც სპეკულანტები ფასებისა და მოხმარების არასტაბილურობას აღმოფხვრიან, „უხილავი ხელის“ მექანიზმში მონაწილეობას ასახავს, რომელიც საქონლის რეალოკაციის საზოგადოებრივად სასარგებლო ფუნქციას ასრულებს „ცუდი დროიდან“ (როდესაც ფასები დაბალია) „კარგ დროში“ (როდესაც ფასები მაღალია)⁴¹.

⁴¹ *სამუელსონი პ.ა., ნორდჰაუსი ვ.დ.*, ეკონომიკა, ტ. II, თბ., 2000, გვ. 341-42.

Реферат

Реваз Какулия

доктор экономических наук,

профессор

Бюджетная политика, как основ самореализации государства

В статье рассмотрены вопросы бюджетной политики нашей страны.

Динамика налоговых поступлений до 2003 года реформы в Грузии показывает отсутствие жесткой зависимости доходов государства от проводимой налоговой политики. Основными факторами этой динамики выступили:

1. Унаследованная социализма налоговая система;
2. Резкий спад производств, сократившей налогооблагаемую базу предприятий;
3. Высокий уровень теневой экономики и коррупция.

Положение резко изменилось с ноября 2003 года. В результате целенаправленного осуществления совершенствования и реформирования бюджетной системы предметно изменилась фискальная политика страны и резко улучшились узловые параметры государственных финансов.

სახელმწიფოს ადგილი და როლი გარდამავალ ეკონომიკაში

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ტრანსფორმაცია

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და მისი ეკონომიკაზე ზეგავლენის ხერხები იცვლება საზოგადოების სრულყოფის და ეკონომიკის განვითარების შესაბამისად. ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი და ფორმები ბევრადაა დამოკიდებული განსაზღვრულ პერიოდში მოცემული ქვეყნის მიერ შერჩეულ ეკონომიკური პოლიტიკის კურსზე და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელზე. საბაზრო მოდელის პირობებში ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი არსებითად მცირდება. აქ ძირითადად მისი როლი დაიყვანება იმაზე, რომ ერთ შემთხვევაში ზემოქმედება მოახდინოს საბაზრო მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, ხოლო მეორე მხრივ – უშუალო მონაწილეობა მიიღოს იმ პროცესების ორგანიზაციაში და რეალიზაციაში, რომლებშიაც საბაზრო ურთიერთობები ან არარაციონალური, ან არსებითად შეზღუდულია.

ტრანსფორმირებადი ეკონომიკის სპეციფიკა ისაა, რომ მასში ერთდროულად მოქმედებს ის ეკონომიკური ელემენტები, ფორმები და ურთიერთობები, რომლებიც დამახასიათებელია განვითარების როგორც ადრე არსებული ისე ახალი, ფორმირებადი მოდელისათვის. ამიტომ მისთვის დამახასიათებელია შეუსაბამობა და წინააღმდეგობა ძველი და ახალი სისტემების ატრიბუტებსა და ურთიერთობებს შორის. ამ ურთიერთწინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაში წარმატება ავტომატურად ვერასოდეს ვერ მიიღწევა. იგი მოითხოვს მთელი საზოგადოების ძალისხმევას, ძალების კონცენტრაციას, განსაზღვრული პირობებისა და საშუალებების შექმნას. გარდა ამისა, ტრანსფორმაციული პროცესის წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ორგანიზაციულ ფაქტორს.

თანამედროვე მსოფლიოში ჯერჯერობით მხოლოდ სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოების ერთადერთ სუბიექტს, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ტრანსფორმაციის პროცესის ორგანიზატორის ფუნქცია ძველი ეკონომიკური სისტემის ახლით შეცვლის საქმეში. აქედან ნათელია, რომ სახელმწიფოს მონაწილეობა ამ პროცესში ობიექტურად აუცილებელია, უფრო მეტიც, მას გადამწყვეტი როლი ეკუთვნის.

გარდამავალ პერიოდში ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ფორმები და მეთოდები უშუალოდაა დამოკიდებული იმ მიზეზებისა და შედეგების ნაკრებზე, რომლებმაც ობიექტურად განაპირობეს ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის აუცილებლობა. უმნიშვნელოვანეს ზოგადი ხასიათის მიზეზებს მიეკუთვნება:

1. მაკროეკონომიკური პროპორციების დაუბალანსებლობის პროცესის გაძლიერება, რომელიც უკავშირდება, ერთი მხრივ, ტრანსფორმაციის პროცესისათვის დამახასიათებელი საკუთრების გარდაქმნასა და ეკონომიკის სტრუქტურის შეცვლის შედეგად ადრე არსებული ურთიერთობებისა

და კავშირების რღვევას, მეორე მხრივ კი – ფორმირებად საბაზრო მექანიზმს ჯერ კიდევ არ შეუძლია შექმნას მართვის ნიშანდობლივი ურთიერთობებისა და პროპორციების სპეციფიკური სისტემა. უფრო მეტიც, მომავალში საბაზრო მექანიზმის შექმნისას და ფუნქციონირებისას შეიძლება მოხდეს მაკროეკონომიკური პროპორციების დარღვევა და მაკროეკონომიკური წონასწორობის დამყარების ხელისშემშლელი ფაქტორების ამოქმედება. კერძოდ, პერიოდულ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც დაკავშირებულია დარგობრივი სტრუქტურის კარდინალურ ცვლილებებთან, საწარმოო ძალთა არარაციონალურ განლაგებას და ტერიტორიული პროპორციების დეფორმაციასთან განპირობებულია საბაზრო მექანიზმის ავტომატური მოქმედებით, ეკონომიკის მონოპოლიზაციით;

2. მოსახლეობის შემოსავლების არსებითი დიფერენციაცია, რომელიც გარდამავალი პერიოდის საწყის ფაზაში დაკავშირებულია პრივატიზაციის შედეგად შეძენილი ეკონომიკური რესურსების ფლობაში საზოგადოების წევრებს შორის დიდი განსხვავებისა და ქონებრივი უთანასწორობის წარმოქმნასთან, ხოლო შემდგომ კონკურენციულ ბრძოლასთან, რომელიც საბაზრო მექანიზმის მოქმედების შედეგია. ბაზრის უსუსურობას, გავლენა იქონიოს ამ პროცესებზე და შეაჩეროს შემოსავლების დიფერენციაცია, ავტომატურად მიყვევართ მოსახლეობის – ღარიბი და მდიდარი ფენებად – დაყოფის გაძლიერებამდე და ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე ხელსაყრელ კლიმატს ქმნის სოციალური დაძაბულობის, შემდგომ კი შესაძლებელი სოციალური აფეთქებისათვის;

3. თანამედროვე საზოგადოებაში მსხვილმასშტაბიანი სოციალური სექტორის არსებობა და განვითარება, რომლის მატერიალური უზრუნველყოფა სრულიად ან შეუძლებელია საბაზრო მექანიზმის მეშვეობით, ან უნდა განხორციელდეს მისი შეზღუდული მონაწილეობით. მოცემული სექტორი მოიცავს ეროვნულ უსაფრთხოებას და სახელმწიფოს მართვას, განათლებას, ჯანდაცვას, გარემოს დაცვას, აგრეთვე საზოგადოების შრომისუუნარო და ნაკლებადუზრუნველყოფილი ფენების შენახვას და უმუშევართა მატერიალურ მხარდაჭერას.

პროდუქციის შექმნა და მომსახურების გაწევა სოციალური სექტორის ყველა ელემენტის ამოქმედების უზრუნველსაყოფად მოითხოვს განსაზღვრულ დანახარჯებს. თანამედროვე მსოფლიოში ამ სექტორის ელემენტების დიდი ნაწილი იმყოფება მუდმივ განვითარებაში და მათი ფუნქციების რეალიზაციის ხარჯები განუწყვეტლივ იზრდება. ამასთან, მოხმარებული სიკეთე და მომსახურება გაჭირვებულებს ეძლევათ მეტწილად უსასყიდლოდ. ასეთ შემთხვევაში საბაზრო ურთიერთობების ფორმირება ან შეუძლებელია (ობლების, ინვალიდების, პენსიონერების შენახვა, ან არსებითად შეზღუდული (ნაწილობრივ ფასიანი განათლება ან სამედიცინო დახმარება მოსახლეობის ნაწილისათვის);

4. საზოგადოების ობიექტური მოთხოვნა საგარეო ეფექტების შედეგების გამოთანაბრებაში. კერძო მესაკუთრეთა დიდი რაოდენობის წარმოშობა გულისხმობს ეროვნულ ბაზარზე ნებისმიერი ცალკეული მესაკუთრის ინტერესების პრიორიტეტულ უპირატესობას სხვებთან შედარებით. ამასთან, ცნობილია, რომ კერძო ინტერესები ყველა შემთხვევაში არ ემთხვევა საზოგადოების ინტერესებს. განსაზღვრულ გარემოებაში კერძო ინტერესის რეალიზება საზოგადოებისათვის შეიძლება საზიანოც კი აღმოჩნდეს. ამის ნათელი მაგალითია საგარეო (გარე) ეფექტების უარყოფითი შედეგები, რომლებიც წარმოიქმნება კერძო ინტერესის დაკმაყოფილების დროს მეწარმის მიერ დადებითი შედეგის (ეფექტის) მიღწევის შედეგად. კერძოდ, დანახარჯების

შემცირების მცდელობისას უფრო კონკურენტუნარიან მეწარმედ გადაქცევის მიზნით. მაგალითად, ქიმიურ მრეწველობაში მეწარმე არ არის დაინტერესებული დანახარჯებით გამწმენდი ნაგებობების მშენებლობაზე. მათი უქონლობა, როგორც წესი, იწვევს საჰაერო და წყლის სივრცეების გაბინძურებას, რითაც ზიანს აყენებს საზოგადოებას მთლიანად. ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება მეწარმის კერძო ინტერესების რეალიზაციის შეზღუდვის და მისი საზოგადოებრივ ინტერესებთან დაბალანსების ობიექტური აუცილებლობა.

სხვა შემთხვევაში შეიძლება შეგვხვდეს საწინააღმდეგო სურათი. მაგალითად იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს საზოგადოების მოთხოვნა გარემო პირობების გაუმჯობესებაზე აუცილებელია განსაზღვრული პრეფერენციები მიეცეს იმ მწარმოებლებს, რომლებიც თავიანთი ინტერესების მისაღწევად გაიღებენ ინვესტიციებს საზოგადოებრივად ეფექტიანი ობიექტებისათვის (მაგალითად, ხეივანის გაშენება თავისუფალ ადგილას, თანამედროვე გამწმენდი საშუალებების დაყენება და სხვ.).

გარე ეფექტების მოქმედების ყველა შედეგის გათვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ცალკეული კონკრეტული შემთხვევისათვის აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების გონივრული კორექტირება და დაბალანსება გარკვეული ღონისძიებების და ინსტრუმენტების მეშვეობით, რისთვისაც ობიექტურად აუცილებელია სპეციალური ორგანო. მას უნდა მიეცეს სახელისუფლებო რწმუნება და იგი უნდა გამოხატავდეს საზოგადოების ინტერესებს;

5. ეროვნულ ეკონომიკურ სტრუქტურაში სახელმწიფო სექტორის არსებობა. იგი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის ნაწილს, რომელიც იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში;

6. ეკონომიკურ ურთიერთობათა პრაქტიკული რეალიზაცია მეურნეობრიობის საბაზრო მოდელის პირობებში საერთოდ, და განსაკუთრებით, ტრანსფორმაციული პერიოდში მოითხოვს გარკვეულ რეგლამენტაციას. გარდა ამისა, გარკვეულ დონემდე რეგულირებას მოითხოვს თვით საბაზრო მექანიზმი, რამდენადაც მის შეუზღუდავ გამოყენებას აუცილებლად მიყავს ეკონომიკა მონოპოლიზაციამდე და სხვა ნეგატიურ შედეგებამდე. აუცილებელია, აგრეთვე სოციალური სექტორის საქმიანობის რეგლამენტაცია. ყველა ეს გარემოება ბაზარზე გადასვლისას მოითხოვს საბაზრო მოდელის ადეკვატური „თამაშის წესების“ ან განსაკუთრებული საკანონმდებლო ბაზის შექმნას. უფრო მეტიც, საჭიროა მუდმივი კონტროლის დაწესება მიღებული კანონების, წესებისა და სტანდარტების შესრულებაზე, აგრეთვე ამ ნორმების გარკვეული კორექტირება და სრულყოფა. საზოგადოების შემდგომი არსებობისა და განვითარებისათვის წარმოიქმნება ეკონომიკის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობა. ეს შეიძლება იყოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელის შერჩევა (და მისი მოდიფიკაცია), ახალ მოდელზე გასვლის მიმართულების, ამოცანების და ფორმების განსაზღვრა, დასახული მიზნების რეალიზაციისათვის პროგნოზების და პროგრამების შემუშავება.

თითოეული ზემოჩამოთვლილი მიზეზის არსებობა ქმნის ობიექტურ მოთხოვნას ტრანსფორმირებად ეკონომიკაში სპეციალური ინსტიტუტის არსებობაზე, რომელიც უნდა გამოხატავდეს როგორც მთლიანად საზოგადოების, ისე მისი ცალკეული წევრის ინტერესებს, აგრეთვე ისეთი ორგანოს არსებობაზე, რომელიც აღჭურვილი იქნება მოცემული პირობებისათვის

სახელისუფლებო რწმუნებით. ასეთი სახის ერთადერთ ინსტიტუტს და ორგანოს, რომელიც უპასუხებს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს, წარმოადგენს სახელმწიფო.

სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგია

პოსტინდუსტრიალიზაციისაკენ მიმავალ გზაზე

სახელმწიფოს მონაწილეობა ტრანსფორმირებად ეკონომიკაში ობიექტურად აუცილებელია. ამ პერიოდში მან აქტიური ზეგავლენა უნდა მოახდინოს ეკონომიკაზე და აქტიურად უნდა მონაწილეობდეს მასში საზოგადოების მიერ მის მიმართ დელეგირებული რწმუნებების საფუძველზე თავისი უნიკალური შესაძლებლობების წყალობით.

სახელმწიფოს მონაწილეობას ტრანსფორმირებად ეკონომიკაში აქვს გლობალური და კონკრეტული მიზნები.

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკაში მონაწილეობისა ძირითად მიზანს წარმოადგენს ძველი ეკონომიკური სისტემის რეფორმირების პროცესის პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაცია და ხელსაყრელი პირობებისა და ინსტიტუტების შექმნა ახალი სისტემის განვითარებისათვის.

ძირითადი მიზნის მიღწევა, თავის მხრივ, სახელმწიფოსაგან განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტას მოითხოვს. ამ ამოცანებს მიეკუთვნება:

1. **ხელსაყრელი პირობების შექმნა საბაზრო მექანიზმის და კონკურენტული გარემოს წარმოქმნისა და განვითარებისათვის.** ამ ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი საფუძვლების შემუშავებასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ განსახელმწიფოებრიობის და პრივატიზაციის პროცესის განხორციელებას. საკანონმდებლო ბაზის („თამაშის წესები“) შექმნასთან, რომელიც განახორციელებს საბაზრო სუბიექტების ურთიერთობის რეგლამენტირებას; შემუშავებული კანონების რეალიზაციის და მათ შესრულებაზე კონტროლის თვალსაზრისით ქმედითი ღონისძიებების მიღებასთან. გარდა ამისა, ამ ამოცანის შესრულება ითვალისწინებს სახელმწიფოს აქტიურ როლს არსებული ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაში და მის საბაზროდ გადაქცევაში;

2. გარდამავალი პერიოდისათვის მემკვიდრეობით გადაცემული კრიზისის შედეგების აღმოფხვრა და მაკროეკონომიკური წონასწორობისა და ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წანამძღვრების შექმნა. ამ ამოცანის გადაწყვეტა სახელმწიფოსაგან ეკონომიკის სტრუქტურული რეორგანიზაციის და რეგიონების სპეციალიზაციის, ინფლაციასთან და უმუშევრობასთან ბრძოლის, საგადასახადო და საფინანსო სისტემის რეფორმირების მიმართულებით მოითხოვს რთული ღონისძიებების კომპლექსის განხორციელებას;

3. მოსახლეობის სოციალური დაცვის პრინციპულად ახალი მოდელის შექმნა. ამ ამოცანის დასმა დაკავშირებულია იმასთან, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ძირფესვიანად ცვლის მოსახლეობის სოციალური დაცვის წყაროებსა და პრინციპებს. ტრანსფორმაციული პროცესებით

გაპირობებული გარდაქმნები მხოლოდ სახელმწიფომ შეიძლება განახორციელოს. ამისათვის აუცილებელია რადიკალური რეფორმების გატარება საპენსიო უზრუნველყოფის, ჯანდაცვის, განათლების სფეროში. გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს მოსახლეობის სოციალური დაცვის სპეციალური პროგრამები.

ტრანსფორმაციულ პერიოდში განსახორციელებელი ძირითადი ამოცანების ჩამონათვალი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო მოწოდებულია გადამწყვეტი როლი შეასრულოს ამ დროს მიმდინარე პროცესებში. ამასთან ტრანსფორმირებად ეკონომიკაში სამეურნეო პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობას აქვს გარკვეული საზღვრები. ბაზრის ჩამოყალიბების ადრეულ სტადიაზე სახელმწიფოს არ შეუძლია ტოტალური გავლენა იქონიოს საბაზრო ფასწარმოქმნაზე ან მეწარმის სამეურნეო საქმიანობის მიმართულების შერჩევაზე. გამონაკლისი აქ შეიძლება იყოს ფასების დონის მხოლოდ დროებითი შეზღუდვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქონლისა და მომსახურების არც თუ დიდ წრეზე, ან რომელიმე სახის საქმიანობის დროებითი შეზღუდვა. გარკვეული შეზღუდვები სახელმწიფოს შეუძლია დაწესოს მოსახლეობის შემოსავლების მიმართაც, მაგალითად, შეზღუდოს ხელფასის ქვედა ზღვარი.

ტრანსფორმაციული პროცესის განვითარების კვალობაზე ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის მასშტაბებს შემცირების ტენდენცია აქვს. განვითარებული ბაზრის პირობებში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საბაზრო მექანიზმის მოქმედებას. ამასთან, სახელმწიფო, მის განკარგულებაში მყოფი ყველა საშუალებებით ვალდებულია ხელი შეუწყოს მის ნორმალურ ფუნქციონირებას და მხოლოდ ერთ სექტორში (სოციალური), სადაც საბაზრო მექანიზმის მოქმედება შეზღუდულია, სახელმწიფოს მონაწილეობის მასშტაბი უცვლელი დარჩება.

სახელმწიფოს ფუნქციების ოპტიმიზაცია

ტრანსფორმირებად ეკონომიკაში სახელმწიფოს მოქმედებები, რომლებიც მიმართულია კონკრეტული მიზნების მისაღწევად, რეალიზდება კონკრეტული ფუნქციების მეშვეობით.

გარდამავალი ხანის პირველ ეტაპზე სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მოვალეობა და მიზანია სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებას და საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას. სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციაა კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება. იგი მოიცავს ან ადრე მოქმედი ძირითადი კანონის (ქვეყნის კონსტიტუცია) არსებით კორექტირებას, ან ახალი მეურნეობრიობის საბაზრო მოდელის მოთხოვნების შესაბამისი ძირითადი კანონების მომზადებას და მიღებას.

გარდა ამისა, კანონშემოქმედებითი ფუნქციის რეალიზაცია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მოითხოვს საკანონმდებლო აქტების დიდი პაკეტის შემუშავებას და დამტკიცებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საკუთრების ყველა ფორმის თანასწორუფლებიანობას, განსაზღვრავენ სუბიექტების უფლება-მოვალეობებს საბაზრო ურთიერთობის პირობებში, ზღუდავენ სამეურნეო საქმიანობის სფეროს და სახეებს, ადგენენ განსაზღვრულ ნორმატივებსა და სტანდარტებს და სხვ. ზემოთ აღნიშნულის განხორციელება დიდ ძალისხმევას და დროს მოითხოვს. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების

მაგალითი ცხადყოფს, რომ განვითარებული ბაზრის პირობებში ნორმალური სამეურნეო საქმიანობისათვის აუცილებელია 5-დან 7 ათასამდე საკანონმდებლო აქტის მიღება.

ტრანსფორმაციულ პერიოდში, კანონშემოქმედების პროცესი უფრო რთული და წინააღმდეგობრივია, რამდენადაც ეკონომიკაში როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საერთოდ, არსებობს ბევრი განუსაზღვრელობა. ცალკეულ სფეროებში საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეიძლება გაგრძელდეს ადრე დადგენილი სამართლებრივი ნორმების მოქმედება, ამასთან დასაშვებია გარკვეული შეუსაბამობა და წინააღმდეგობა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების მიერ მიღებულ კანონებში, წესებსა და ნორმებში. კერძოდ, საქართველოში არსებით განსხვავება იყო (და ახლაც არის) სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მიღებულ კანონებს შორის. ამიტომ საჭიროა დიდი ძალისხმევა და დრო არა მარტო თვით კანონპროექტების შემუშავებისა და მიღებისათვის, არამედ მათი კორექტირებისა და სხვა კანონებთან და ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის.

ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მეორე მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს მისი საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების ფორმირებისათვის – პირობების შესაქმნელად და საბაზრო ურთიერთობების სპეციფიკური სუბიექტების – კერძო მესაკუთრეთა გამოსავლენად. ამ მიზნით, სახელმწიფო თავის თავზე იღებს განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის პროცესების ორგანიზაციას.

ხელისუფლების მეორე შტო – აღმასრულებელი სახელმწიფო ორგანოები იყენებს რა ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოების მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო ბაზას, რომელიც განსაზღვრავს განსახელმწიფოებრიობის და პრივატიზაციის პარამეტრებს და მეთოდებს, უშუალოდ ახორციელებენ განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის სამუშაოებს.

ტრანსფორმაციული პერიოდის პირველ ფაზაში წარმოიქმნება მოთხოვნა სახელმწიფოს დაეკისროს სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის კონტროლის ფუნქცია. ამ სახის საქმიანობა დაკავშირებულია ფირმის ფუნქციონირების ლეგიტიმურობის შემოწმებასთან, მის მიერ საგადასახადო და შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების კონტროლთან, აგრეთვე მონოპოლიების საქმიანობის რეგლამენტაციასთან.

ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს კიდევ ერთი- სპეციფიკური ფუნქციის აუცილებლობა დაკავშირებულია წარსულის ერთ-ერთი ნეგატიური შედეგის – ეკონომიკური კრიზისის დაძლევის მოთხოვნასთან და სტაბილიზაციის და ეკონომიკური ზრდისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნასთან. ამ ფუნქციის შესრულების რეალიზაცია ხდება ღონისძიებებითა სისტემით, რომლებიც მიმართულია ინფლაციისა და უმუშევრობის წინააღმდეგ, აგრეთვე ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის შესაქმნელად. ამ ღონისძიებების შერჩევა და თითოეული მათგანის პრიორიტეტულობა დამოკიდებულია არა მარტო ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობაზე მოცემულ მომენტში და ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოზე, არამედ სახელმწიფოს მიერ შერჩეულ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელზე და გასატარებელ ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

ძირითად ღონისძიებებს, რომლებსაც სახელმწიფო იყენებს ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მიეკუთვნება ფულის მიმოქცევის რეგულირება; ფასებისა და ხელფასის შეზღუდული რეგულირება; ქვეყნის საგადასახადო ბალანსის შემადგენელი ნაწილების კოორდინაცია.

უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფომ შეიძლება განახორციელოს სხვადასხვა ხერხებით. ეს არის –სახელმწიფოს მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციის და ეკონომიკურ სტრუქტურაში სახელმწიფო სექტორის გაფართოების ხარჯზე, ხელსაყრელი პირობების ფორმირება ეროვნული და უცხოური ბიზნესის განვითარებისათვის; ახალი პროფესიების ათვისების მიზნით სახელმწიფო გადამზადების ცენტრის შექმნა; მატერიალური დახმარება დროებით უმუშევართათვის და ა.შ. უმუშევრობასთან ბრძოლისას სახელმწიფო ასრულებს არა მარტო თავის სპეციფიკურ ეკონომიკურ ფუნქციას, არამედ ერთდროულად სოციალურ ფუნქციასაც. ბაზარზე გადასვლას გარდაუვლად თან ახლავს ძირეული გარდაქმნები საკუთრებით ურთიერთობებში, და, როგორც შედეგი, შემოსავლების განაწილების პრინციპებში. „ყველას შრომის მიხედვით“ განაწილების პრინციპიდან „თითოეულს წარმოების ფაქტორებში მისი კუთვნილი წილის მიხედვით“ პრინციპზე გადასვლა წარმოადგენს რთულ და მტკივნეულ პროცესს. მისი უმართავობის შემთხვევაში გარდაუვალი ხდება მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის მკვეთრი დიფერენციაცია, ადამიანების გაღატაკება. ამიტომ ტრანსფორმაციულ პერიოდში ეროვნული შემოსავლის განაწილების რეგულირებისათვის აუცილებელია გარკვეული ზომით სახელმწიფოს მონაწილეობა.

გარდა ამისა, სოციალური ფუნქციის დახმარებით გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო აუცილებელი სახსრებს აკუმულაციას ახდენს და გადაანაწილებს შრომისუუნაროთა და ინვალიდების სოციალური დაცვისათვის, სოციალური სექტორის იმ ნაწილის შესანახად, რომელიც საბაზრო ურთიერთობების მოქმედების ფარგლებს მიღმა იმყოფება (გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, სავალდებულო განათლება).

სახელმწიფოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციის შესრულება მიმართულია საბაზრო მექანიზმების ნორმალური ფუნქციონირებისაკენ.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური საქმიანობაში უშუალო მონაწილის ფუნქციის თავის თავზე აღების აუცილებლობა გაპირობებულია არა მარტო განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის თანმიმდევრულობით, არამედ არსებობს სხვა გარემოებებიც, რომლებიც გაპირობებულია ეროვნული ეკონომიკისა და მისი სტრუქტურის მდგომარეობით. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო, როგორც წესი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგების საწარმოებს თავის საკუთრებაში ტოვებს.

გარდამავალ ეპოქაში სახელმწიფო სექტორის შემადგენლობაში იმყოფება საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საწარმოები, რომლებიც დაკავებულნი არიან, მაგალითად, საფოსტო მომსახურებით, ელექტროენერჯის წარმოებითა და მიწოდებით, სარკინიგზო გადაზიდვებით და სხვ.

სახელმწიფო საკუთრებაში შედიან საწარმოები როგორც 100%-იანი სახელმწიფო საკუთრებით (უნიტარული სახელმწიფო საწარმოები), ისე საწარმოები შერეული საკუთრებით, სადაც

სახელმწიფოს ეკუთვნის აქციონერული კაპიტალის განსაზღვრული ნაწილი. ხშირად ასეთი საწარმოების რიცხვს მიეკუთვნება ისინი, რომელთა პროდუქციას აქვს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობა (გაზი, ელექტროენერჯია და სხვ.) მაგალითად, რუსეთის სახელმწიფო ფლობს „გაზპრომ“-ის სააქციო გაერთიანების აქციების საკონტროლო პაკეტს და, როგორც შედეგი, გაზზე ფასის დაწესების უფლებას. ამ უფლების გამოყენებით მთავრობა ახდენს უცხოეთში გასაყიდ გაზზე ფასების დიფერენციაციას. ეს საშუალებას აძლევს რუსეთს პოლიტიკური და სტრატეგიული პარტნიორებისათვის, მაგალითად, ბელორუსიისა და უკრაინისათვის დააწესოს უფრო დაბალი ფასები, სხვა დანარჩენ მომხმარებლებთან შედარებით.

სახელმწიფო სექტორის არსებობას ტრანსფორმირებად ეკონომიკაში არა აქვს მხოლოდ დადებითი მხარე. სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობა ეკონომიკაში მოიცავს უარყოფით მომენტსაც. გარკვეული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ საბაზრო სისტემის პირობებში, სახელმწიფო საწარმოების საქმიანობა პრინციპში არარაციონალურია. ამიტომ საბაზრო ურთიერთობათა განვითარების და სრულყოფის პირობებში სახელმწიფო საწარმოთა წილი ეროვნული ეკონომიკის საერთო სტრუქტურაში მცირდება.

მაგრამ ასეთი ტენდენცია სრულიადაც არ ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში თავისი ყველა პოზიციის დათმობას. ეკონომიკაში სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობის შეზღუდვასთან ერთად მთელი საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ მისი როგორც ეკონომიკური პროცესების მარეგულირებელი ძირითადი ორგანოს როლი ობიექტურად იზრდება.

8. ნაირა ვირსალაძე - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი აკაკი ზაკურაძე - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე **თინათინ გუგუშაშვილი** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის

საკითხისათვის

დღეისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში მიმდინარე გარდაქმნების სოციალური შინაარსის განსაზღვრას და მის სწორ შეფასებას. თავისთავად, ეკონომიკა, მისი განვითარება თვითმიზანი არ არის. იგი არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლით და კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებით. ეს უკანასკნელი მაშინ იქნება შედეგიანი, თუ მიიღწევა ცხოვრების მაღალი დონე და ხარისხი.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შეფასების მთავარი კრიტერიუმია მოსახლეობის კეთილდღეობის, ცხოვრების ხარისხის ამაღლება, მისი სოციალური ორიენტაციის არსისა და მიმართულების განსაზღვრა. სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ძირითადი ნიშნები კი სოციალური მდრადგობა და მოქალაქეების კეთილდღეობის სტაბილური ზრდაა.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, რომელიც თავისთავად არასტაბილურია, იზრდება სოციალური არამდგრადობის ხარისხი. სწორედ ასე მოხდა საქართველოში. რეფორმის საწყის ეტაპზე მისი გაძლიერება გამოვლინდა მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი დიფერენციაციით, ხელფასებისა და რეალური შემოსავლების შემცირებით და პირადი დანაზოგების გაუფასურებით. ასეთ პირობებში საჭიროა ხელისუფლების სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინსვლისთვის.

სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების პროცესი საქართველოში გაჭიანურდა, ვინაიდან იგი დაკავშირებული იყო როგორც ეკონომიკური მდგომარეობის განუხრელ ზრდასთან, ისე სახელმწიფოს, მოქალაქეების, მეწარმეების... საბაზრო ქცევის დამკვიდრებასთან. ამასთან, იგი ემყარება საზოგადოებრივი ცხოვრების (ურთიერთობების) მოწყობის სულ სხვა საფუძვლებს, ვიდრე ეს იყო ახლო წარსულში, სოციალიზმის პირობებში. ამ საფუძვლებიდან მნიშვნელოვანია კერძო საკუთრება, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობების საფუძველი და საბაზრო ურთიერთობების სისტემა, როგორც ეკონომიკური სუბიექტების კოორდინაციის ძირითადი წესი.

თანამედროვე ეტაპზე საბაზრო ეკონომიკის ფორმირება ქმნის სოციალური მდგრადობის, ეკონომიკის იმანენტურ ელემენტად ჩამოყალიბებისა და შემდეგ პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე გადასვლის წინამძღვრებს. ასეთი წინამძღვრები მოიცავს ცალკეული მოქალაქეებისა და მათი ოჯახების შემოსავლების გადიდების შესაძლებლობას სოციალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; მოთხოვნილების დაკმაყოფილების ახალი წყაროების წარმოშობას, კერძო მეწარმეობის განვითარების გზით; ეკონომიკის სტრუქტურულ სრულყოფას იმ პროდუქციისა და მომსახურების ხვედრითი წილის გადიდების მიმართულებით, რომლებიც აუცილებელია სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ცხადია, ეს პროცესი რთული და წინააღმდეგობრივია და მისი წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია მოქალაქეების, მეწარმეებისა და სახელმწიფოს ერთობლივ ძალისხმევაზე. მაგრამ მაინც პრიორიტეტული პასუხისმგებლობა ამ საქმეში ეკუთვნის ხელისუფლებას.

ამჟამად, ჩვენი ქვეყნის უმთავრესი ამოცანაა სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ცხოვრების დონის ამაღლება. ქვეყანაში ქმედითი სოციალური პოლიტიკის გატარებისათვის კი აუცილებელია მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ გვექონდეს სრული ინფორმაცია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა. სტატისტიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია დადგენილ იქნას პრობლემის განვითარების თავისებურებანი, ტენდენციები და მასზე მოქმედი ფაქტორები.

საქართველოში ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გარდამავალი პერიოდი პირობითად შეიძლება დავეყოთ სამ ეტაპად: 1990-94 წწ., 1995-1999 წწ. და 2000-2005 წწ. ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეფორმებს საწყის ფაზაში, არ ახლდა მკაფიოდ გამოხატული სოციალური ხასიათი და სახელმწიფომ სათანადოდ ვერ შეძლო უმნიშვნელოვანესი სოციალური პროცესების მართვა და კონტროლი. პოლიტიკური კრიზისის შედეგად შეიქმნა უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა. კერძოდ, დაეცა წარმოების დონე, შემცირდა პროდუქციის მოცულობა, განვითარდა ინფლაციური პროცესები, გაიზარდა უმუშევრობა და დაეცა ცხოვრების დონე. თუ 1990 წელს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2060 აშშ დოლარს შეადგენდა 1994 წლისათვის იგი 450 აშშ დოლარამდე შემცირდა, პარალელურად შემცირდა მოსახლეობის შემოსავლები, კერძოდ მინიმალური ხელფასი 1990 წლის მიხედვით 70 მანეთიდან (107,7 აშშ დოლარი) 1994 წლისათვის 2,5 მლნ კუპონამდე (1,78 აშშ დოლარი) დაეცა, საშუალო ხელფასი კი, შესაბამისად 197,7 მანეთიდან (307,2 აშშ დოლარი) 6,27 მლნ. კუპონამდე (5,02 აშშ დოლარი), ამავე პერიოდში პენსიების ოდენობა 70 მანეთიდან (107,7 აშშ დოლარი) 2,5 მლნ კუპონამდე (1,78 აშშ დოლარი) შემცირდა.

ეკონომიკური კრიზისის გამო სიღარიბის ზღვარზე დაბალი შემოსავლების მქონე შინამეურნეობების ხვედრითი წილი გაიზარდა 80%-მდე და მოხდა მოსახლეობის მკვეთრი დიფერენციაცია შემოსავლების მიხედვით. სწორედ ამ მდგომარეობაზე მიუთითებს შემოსავლების კონცენტრაციის კ. ჯონის ინდექსიც, რომლის მნიშვნელობაც, აღნიშნულ პერიოდში, 0,3-დან 0,5 პუნქტამდე გაიზარდა.

მოსახლეობის შემოსავლების ძირითადმა წყარომ - ხელფასმა ფაქტობრივად დაკარგა თავისი ფუნქცია და ერთგვარ სოციალურ გასაცემად გადაიქცა. თუ ადრე, სოციალიზმის პირობებში, მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავლები, უპირატესად დაქირავებული შრომით მიღებული ხელფასითა და პენსიით განისაზღვრებოდა, 1999 წლისათვის ამ წყაროს წილმა შემოსავლების საერთო მოცულობაში 41,4 ლარი, ანუ 25% შეადგინა.

1995-1999 წწ. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, კერძოდ, საშუალო ხელფასის დონე 53,9 ლარით, ანუ 5-ჯერ გაიზარდა, ხოლო მისი ხვედრითი წილი - მინიმალურ სამომხმარებლო კალთაში 33%-დან 59,1%-მდე, მაგრამ საშუალო ხელფასის აბსოლუტური დონე მაინც მკვეთრად ჩამორჩებოდა მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულებას, მით უმეტეს მომდევნო წლებში.

გარკვეული ცვლილებები მოხდა 2000-2004 წლების მაჩვენებელთა სტრუქტურაში. მშპ-ის მოცულობა 6043 მლნ ლარიდან გაიზარდა 9970 მლნ ლარამდე, აბსოლუტურმა მატებამ შეადგინა 3943 მლნ ლარი, ხოლო მატების ტემპმა - 64,9%. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 1303,7 ლარიდან გაიზარდა 2207 ლარამდე. 2004 წლის ოფიციალური მონაცემების მიხედვით საქართველოში 1243158 შინამეურნეობაა, ხოლო მათი წევრების რიცხოვნობამ შეადგინა 4345686 კაცი, ანუ ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 99,4 პროცენტი. მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი (0,6%) მოდის კოლექტიურ მეურნეობებზე.

ცხოვრების დონესა და ძირითადად მის მატერიალურ მდგომარეობაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის შინამეურნეობების სტატისტიკა, შემოსავლებისა და ხარჯების მიხედვით. შინამეურნეობები შემოსავლებს სხვადასხვა წყაროებიდან ღებულობენ. ოჯახის (შინამეურნეობის) შემოსავლები, გარდა ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისა, შედგება სამეწარმეო საქმიანობიდან, საკუთრებიდან, ტრანსფერებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისაგან. აღნიშნული შემოსავლების ჯამი ოჯახის ნომინალური შემოსავალია რომლებიც მიემართება მოხმარებისა და დაგროვებისკენ. შინამეურნეობების ხარჯები კი ძირითადად მოიცავს ხარჯებს სურსათზე, ტანსაცმელზე, ბინაზე, ჯანდაცვაზე, ტრანსპორტზე და ა.შ.

შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ცხრილი 1, საიდანაც ჩანს, რომ მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები 2004 წლისათვის 264,7 მლნ ლარია. 2000 წელთან შედარებით შემოსავლები 71,3 მლნ. ლარით ანუ 36,8%-ით გაიზარდა. 129 ლარით გაიზარდა ერთი შინამეურნეობის საშუალოთვიური შემოსავალი და 2004 წლისთვის ნაცვლად 174,8 ლარისა შეადგენდა 303 ლარი. საშუალოთვიური შემოსავალი შინამეურნეობის ერთ სულზე 46,6 ლარიდან გაიზარდა 80 ლარამდე. მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება მოსახლეობის განაწილებაში არსებობის წყაროების მიხედვით. როგორც 2002 წლის აღწერამ აჩვენა მოსახლეობის დიდ უმრავლესობას (86,6 %-ს) შემოსავლების, ანუ არსებობის საშუალებათა მხოლოდ ერთი წყარო აქვს, 12,7%-ს - ორი, 1%-ზე ნაკლებს კი სამი და მეტი. არსებობის საშუალებათა ორი და მეტი წყარო, უპირატესად, სოფლის მოსახლეობას აქვს. ისინი, როგორც წესი, არსებობის საშუალებათა მეორე წყაროდ თვლიან პირად დამხმარე მეურნეობას, საიდანაც მიღებული

შემოსავალი, უმეტეს შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობისაა მათი ოჯახის ბიუჯეტისათვის. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის (27,1%) არსებობის საშუალებათა ძირითადი წყაროა თვითდასაქმებით მიღებული შემოსავალი. დაქირავებით მუშაობისათვის ხელფასს ან სხვა რეგულარულ ანაზღაურებას მხოლოდ მოსახლეობის 12,6 პროცენტი იღებს, ხოლო პენსიის სახით მიღებულ შემოსავალს - 10,8 %. პენსიონერთა საერთო რაოდენობა 64,5% არსებობის ძირითად წყაროდ პენსიას ასახელებს, 23,3% მუშაობას განაგრძობს, ხოლო 12,2%- სხვა პირთა კმაყოფაზე იმყოფება, ან დასაქმებულია პირად დამხმარე მეურნეობაში.

აღსანიშნავია, რომ არსებობის საშუალებათა წყაროების მიხედვით მოსახლეობის განაწილებაში მომხდარი ცვლილებები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე რადიკალური გარდაქმნების შედეგია. გარკვეული ცვლილებები აღინიშნა შემოსავლების განაწილებაში. 2000-2004 წწ. მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები 290,7 მლნ. ლარიდან გაიზარდა 367,8

ცხრილი 1

მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების მაჩვენებლები

2000-2004 წლები

	ერთეული	2000	2002	2003	2004
მოსახლეობის საშუალოთვიური შემოსავლები	მლნ. ლარი	193,4	242,8	247,9	264,7
ერთი შინამეურნეობის საშუალოთვიური შემოსავლები	ლარი	174,8	226,9	284,0	303,0
საშუალოთვიური შემოსავლები ერთ სულზე	ლარი	46,6	60,8	75,7	80,0
მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები	მლნ. ლარი	290,7	310,9	347,8	367,8
ერთი შინამეურნეობის საშუალოთვიური ხარჯები	ლარი	262,8	290,6	339,8	361,6
საშუალო ხარჯები ერთ სულზე	ლარი	70,0	77,9	90,6	91,3
საარსებო მინიმუმი	ლარი	114,6	125,4	130,7	137,1

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო; სტატისტიკის დეპარტამენტი.

მლნ ლარამდე, ხოლო მატების ტემპმა შეადგინა 26,5%. საშუალოთვიური დანახარჯი ერთ სულზე 70 ლარიდან გაიზარდა 91,3 ლარამდე, ანუ 30,4%-თ. უნდა ითქვას, რომ შინამეურნეობების ხარჯების წილმა კვებაზე შეადგინა 42,3%, რაც კვლავ საგრძნობლად მაღალია. აქვე უნდა აღინიშნოს ის შეუსაბამობა, რომელიც არსებობს შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. ეს საკითხი 1995 წლამდე გარკვეულწილად დარეგულირებული

იყო იმ მოტივით, რომ რეგისტრირებული შემოსავლები შეესაბამებოდა რეგისტრირებულ ხარჯებს. 1997 წლიდან მოყოლებული კი რეგისტრირებული ხარჯები მეტია რეგისტრირებულ შემოსავლებზე. აღნიშნული სხვაობა 2000 წლისთვის 97,3 მლნ. ლარი, ანუ 33,1% იყო, ხოლო 2004 წლისთვის - 103,1 ლარი, ანუ 28,1%. რეგისტრირებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის არსებული განსხვავება შეიძლება ავხსნათ უპირველესად დაბეგვრის შიშით (მოსახლეობის არ სურს განაცხადოს თავისი რეალური შემოსავალი) და ჩრდილოვანი (აღურიცხავი) ეკონომიკიდან შემოსავლებით.

როდესაც ვსუბრობთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე არ შეიძლება არ შევეხოთ საარსებო მინიმუმს, სიღარიბის დონეს, სიღრმესა და სიმწვავეს. ცნობილია, რომ საარსებო მინიმუმი სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს წარმოადგენს. ცხრილი 1.-დან ჩანს, რომ საარსებო მინიმუმი 2000-2004 წლებში 114,6 ლარიდან გაიზარდა 137,1 ლარამდე. აღნიშნული ცვლილება კი გამოწვეულია არა მოხმარების დონისა და სტრუქტურის გაუმჯობესებით, არამედ ცხოვრების "გამვირებით". ამავე პერიოდში ღარიბი მოსახლეობის ხვედრითმა წილმა მთელ მოსახლეობაში, ანუ სიღარიბის დონემ საარსებო მინიმუმის მიმართ, შეადგინა 51%, რაც 1,9 პუნქტით აღემატება 2000 წლის მაჩვენებელს. სიღარიბის სიღრმე საარსებო მინიმუმის მიმართ 17%-დან 19%-მდე, ხოლო სიმწვავე 8,9%-დან 10,2%-მდე გაიზარდა. კონცენტრაციის მაჩვენებელმა (კ. ჯინის ინდექსი) მთლიანი შემოსავლების მიხედვით 2004 წლისთვის შეადგინა 0,46 პუნქტი, ხოლო მთლიანი ხარჯების მიხედვით - 0,41, აღნიშნული 2000 წლის მაჩვენებლებთან შედარებით უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, სოციალური დიფერენციაცია და სიღარიბე ქვეყანაში კი არ შემცირდა არამედ გაღრმავდა. საარსებო მინიმუმი კიდევ უფრო დაშორდა რეალურ საშუალოთვიურ შემოსავლებსა და ხარჯებს.

ამრიგად, რეფორმების განვლილ პერიოდში სოციალურმა სფერომ არსებითი ხასიათის ცვლილებები განიცადა. სულ უფრო ფართოდ მკვიდრდება საბაზრო ურთიერთობები, იცვლება შემოსავლებისა და დანახარჯების მოცულობა და სტრუქტურა. ეს პროცესები კიდევ გაგრძელდება. მათი ინტენსიურობა რეფორმის საბოლოო შედეგებისა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სტრუქტურის განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება. მდგომარეობა არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივია, რადგან სიღარიბემ სტაბილური მდგომარეობისათვის საფრთხის შემცველი მასშტაბები შეიძინა. ამიტომ აუცილებელია სასწრაფოდ გადაწყდეს შემდეგი ძირითადი ამოცანები: ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, სიღარიბის დაძლევა, ხელფასების მკვეთრი ამაღლებისა და ფუნქციების აღდგენის მიღწევა, უმუშევრობის შემცირება, მკვეთრი სოციალური დიფერენციაციის ლიკვიდაცია და ა.შ. იმაზე, თუ როგორ და რა პერიოდში გადაწყდება ეს ამოცანები, დიდად იქნება დამოკიდებული საქართველოს მომავალი.

ნაირა ვირსალაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

რეზიუმე

დღეისათვის არსებიტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში მიმდინარე გარდაქმნების სოციალური შინაარსის განსაზღვრას და მის სწორ შეფასებას. ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შეფასების მთავარი კრიტერიუმია მოსახლეობის კეთილდღეობა, ცხოვრების ხარისხის ამაღლება, მისი სოციალური ორიენტაციის არსისა და მიმართულების განსაზღვრა. ქმედითი სოციალური პოლიტიკის გატარებისათვის კი აუცილებელია მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ გვექონდეს სრული ინფორმაცია. ამ მიზანს ემსახურება სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა. სწორედ სტატისტიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებითაა შესაძლებელი დადგენილ იქნას პრობლემის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი, ტენდენციები და მასე მოქმედი ფაქტორები.

ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეფორმებს საწყის ფაზაში არ ახლდა მკაფიოდ გამოხატული სოციალური ხასიათი და სახელმწიფომ სათანადოდ ვერ შეძლო მნიშვნელოვანი სოციალური პროცესების მართვა და კონტროლი. პოლიტიკური კრიზისის შედეგად ქვეყანაში შეიქმნა უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა. კერძოდ, დაეცა წარმოების დონე, შემცირდა პროდუქციის მოცულობა, გაიზარდა უმუშევრობა და გაუარესდა ცხოვრების დონე.

სტატიაში დახასიათებულია ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. აღნიშნულია, რომ არსებობის საშუალებათა წყაროების მიხედვით მოსახლეობის განაწილებაში მომხდარი ცვლილებები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე რადიკალური გარდაქმნების შედეგია. ეს პროცესი კვლავ გრძელდება, რადგან მდგომარეობა არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივია. სიღარიბემ კი თითქმის სტაბილური ხასიათი მიიღო

სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია გადაიჭრას შემდეგი ძირითადი ამოცანები: გაუმჯობესდეს ცხოვრების ხარისხი, მოხდეს ხელფასების ამაღლება და მისი ძირითადი ფუნქციის აღდგენა, შემცირდეს უმუშევრობის დონე და ა.შ. იმაზე თუ როგორ და რა პერიოდში გადაწყდება ეს ამოცანები, დიდად იქნება დამოკიდებული საქართველოს მომავალი.

9. ვაჟა გურაბანიძე - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი. მარინა ყიფიანი - ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის მასწავლებელი.

ტრეფიკინგი – დაუნდობელი იარაღი ერის მორალისა და

ფსიქიკის წინააღმდეგ

“ტრეფიკინგი” ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს აკრძალული საქონლით ვაჭრობას. ტრეფიკინგი გლობალური პრობლემაა და ტრანსნაციონალური დანაშაულია. ეს არის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა და ჩამორთმევა. იგი გულისხმობს ექსპლოატაციის მიზნით ადამიანთა გადაბირებას, გადაყვანას, გადაცემას, გადამალვას; მუქარის, ძალის გამოყენებით ან იძულების სხვა საშუალებებით (მოტაცება, თაღლითობა), ან სხვისი უმწეობის ბოროტად გამოყენებით, კონტროლის განხორციელებას სხვა ადამიანზე, სქესობრივ ექსპლოატაციას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას და ორგანოებით ვაჭრობას.

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდება ტრეფიკინგიც. იზრდება მისი მასშტაბები, სისასტიკე და მოთხოვნილებები. ეს იმიტია გამოწვეული, რომ იგი ყველაზე დიდი არალეგალური ბიზნესია იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის შემდეგ. მისი წლიური მოგება 8-9 მილიარდი აშშ დოლარია. ყოველწლიურად ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება 800-900 ათასი ადამიანი. აქედან, 18-20 ათასი აშშ-ში იგზავნება. დაუდგენელია შიგა ტრეფიკინგის შემთხვევათა რაოდენობა¹.

მონობის წინააღმდეგ კონვენცია მოქმედებს 1926 წლიდან, ხოლო კონვენცია ადამიანებით ვაჭრობისა და მეძავთა ექსპლოატაციის შესახებ მიღებული იქნა 1945 წელს. 1996 წელს ძალაში შევიდა დამატებითი კონვენცია მონობის გაუქმების, ადამიანებით ვაჭრობის შესახებ. არსებობს ასევე რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმება: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1996 წ.), კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (1989 წ.), მიგრანტთა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის კონვენცია (1990 წ.) და ა.შ.

1990 წლიდან ამ პრობლემას ინტენსიურად შეისწავლიან საერთაშორისო ორგანიზაციებში, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორები. შედეგად იყო პირველი ქვეყანა, სადაც მიიღეს რადიკალური კანონი ტრეფიკინგის, კონკრეტულად კი ქალის სექსუალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ. 2000 წელს აშშ-ში ძალაში შევიდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტი, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტს ავალებს, წარადგინოს ყოველწლიური ანგარიში მსოფლიოში ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებით.

ყველასათვის ცნობილია, რომ ევროპასა და ამერიკაში, ოფიციალურად თუ არალეგალურად, არაერთი ქართველი მუშაობს. მათი რიცხვი ერთ-ერთი უცხოური ორგანიზაციის გამოკვლევით მილიონ-ნახევარ

ადამიანს შეადგენს². კაცობრიობის ისტორიამ დაადასტურა, რომ ნებისმიერი მშრომელი ადამიანი გაცილებით მეტ მატერიალურ სარგებლობას აძლევს ქვეყანას, სადაც შრომობს, ვიდრე შრომისთვის იღებს გასამრჯელოს. ამ მარტივი ჭეშმარიტების წყალობით, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ და გამოვთვალოთ, თუ რა ინტელექტუალური და ფიზიკური რესურსები გაედინება ჩვენგან მინიმალური ანაზღაურებისათვის (საერთაშორისო სტანდარტებით).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, 2003 წელს შეტანილი იქნა ცვლილებები, სადაც პირველად დაფიქსირდა სიტყვა “ტრეფიკინგი”. ამგვარ დანაშაულში ბრალდებული ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. მიუხედავად იმისა, საქართველოსი, როგორც მთელ მსოფლიოში, ტრეფიკინგთან ბრძოლა არაეფექტურია, რადგან მასზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები (რომელიც საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს “სასურველი გარემოს” უქმნის ამ მოვლენაში ჩასათრევად):

- სიღარიბე და უკეთესი ცხოვრების სურვილი;
- ტრეფიკინგის შედეგების იგნორირება;
- საზოგადოებრივი ფასეულობების დევალვაცია;
- პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა;
- იაფი მუშახელის მოთხოვნა;
- დიდი მოგება და ა.შ.

გაეროს კონვენციის “ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შეფასების ხელსაწყო” 2003 წლის ანგარიშთა თანახმად, საბერძნეთი, აშშ და თურქეთი ის ქვეყნებია, სადაც ხდება საქართველოდან ადამიანების ტრეფიკირება. ამ ქვეყნებში (და არა მარტო აქ), ფეხი მოიკიდა ისეთმა სენმა, როგორცაა ცოცხალი “საქონლით” ბაზრობა, ანუ ცოცხალი ბაზრის შექმნა. ვგულისხმობთ ქალებით ვაჭრობას. ქალთა ექსპლოატაცია დაუშრეტელი სექსუალური ფანტაზიის დაკმაყოფილების საშუალებას აძლევს ყველას, ვისაც საამისო მატერიალური საშუალება აქვს. კომერციული სექს-ინდუსტრია მომხმარებელს შეუზღუდავად სთავაზობს სხვადასხვა ასაკის, გარეგნობის, ეროვნების ქალებს. სამწუხაროდ, პოპულარული გახდა ფეხმძიმე ქალებისა და ბავშვების იძულებითი პროსტიტუცია. ფსიქოლოგების მოსაზრებით, ამ ტენდენციას თავად ქალიც უწყობს ხელს, რადგან მას დედის როლი ავალდებულებს იზრუნოს და ყველა გზა მოსინჯოს სწორედ შვილების რჩენისათვის. ღარიბი ქვეყნების შემთხვევაში, ყველა გზა სწორედ საზღვარგარეთ მიდის, რომლითაც ვღებულობთ შემდეგ სქმას: ქალები ტოვებენ თავიანთ შვილებს სხვების მოსავლელად, მიდიან უცხოეთში და ზრდიან სხვის შვილებს (უკეთეს შემთხვევაში ...)!

ტრეფიკინგის ამოსავალი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაა. ადამიანს არა აქვს სამუშაოს შოვნის პერსპექტივა. ასეთი ადამიანი უუფლებოა. არ არსებობს ტრეფიკინგის მსხვერპლი, რომელიც იტყვის, რომ სურს იყოს ძალადობის ობიექტი. საზღვარგარეთ ყველა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილით მიდის. ამასთან ერთად, მიდიან ისეთები, ვისაც აქვს პროფესია, განათლება, გამომუშავებული აქვს

სამუშაო უნარ-ჩვევები და გამოცდილება. ასეთები ბუნებრივია ადვილად თანხმდებიან ნებისმიერ სამუშაოს (საკუთარ ქვეყანაში ან ძალზე დაბალია ანაზღაურება, ან არ არის სამუშაო ადგილი). საქართველოში ნაკლებადაა აფიშირებული მამაკაცთა ტრეფიკინგი, ორგანოების უკანონო ტრანსპლანტაციისა და ბავშვების პროსტიტუციის შემთხვევები.

საქართველოდან წასულები უცხოეთში ვარდებიან იმ სინდიკატების ხელში, რომლებიც ცოცხალი “საქონლით” ვაჭრობენ. აეროპორტებში სააგენტოებიც კი არის შექმნილი, რომლებიც ღამის კლუბებსა და ბორდელების მომარაგებაზე ზრუნავენ. მთელი უბედურება ის არის, რომ ამ სიტუაციის ჩვენივე თანამემამულეები უწყობენ ხელს. ძალიან ბევრი საშუამავლო თუ ტურისტული ფირმა მოტყუების გზით ახერხებს ხალხის გადაყვანას აშშ-სა და ევროპის ქვეყნების და ფაქტობრივად ამ საშუალებათა ხელსემწყობი ხდებიან.

სამწუხაროდ, არასახარბიელო მონაცემები გვაქვს ტრეფიკინგისათვის ქართველები საუკეთესო “მასალას” (!) წარმოადგენენ. მოწინავე ქვეყნის მოქალაქის სხვა ქვეყნებში დაკარგვის შემთხვევაში, ერთი ამბავი ატყდება მის მოსამებნად. საქმის მიებაში ებმება ქვეყნის უმაღლესი პირები ... ჩვენთან კი, ემიგრანტების ყოფას არავინ აკონტროლებს. ეს ხალხი არალეგალურად გადადის, მაგრამ მაინც შესაძლებელია მოხდეს მათი აღრიცხვა და საქმიანობის გაკონტროლება. ისინი მძიმე მდგომარეობაში არიან, ყველაზე სათაკილო და შავ საქმეებს ქართველები აკეთებენ³.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, ყოველწლიურად, ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება დაახლოებით 500 ქართველი ქალი. “დასაქმების ჰარმონიული განვითარების თანამშრომლობის საზოგადოების მონაცემებით მიდის საქართველოდან თურქეთში, აგრძელებს თავის ყოფნას ამ ქვეყანაში კიდევ ერთი თვით. აქედან ნახევარი, რომელიც 300-450 კაცს ითვლის, ტრეფიკინგის მსხვერპლია.

ექსპერტების ვარაუდით, ეს ციფრები შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს, რადგან ქვეყანაში მაღალია უმუშევრობის დონე და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკიდურეს სიღატაკში ცხოვრობს. ტრეფიკინგის მსხვერპლის უმეტესობას ახალგაზრდა ქალები შეადგენენ 18-დან 35-წლამდე ასაკით (თუმცა არის შემთხვევები, როდესაც 14 წლის გოგონებიც გაჰყავთ პროსტიტუციისათვის – ღარიბი ოჯახის შვილები). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის 20%, რომლებიც ღებულობს ხელფასს (საშუალოდ თვეში, 70 დოლარს) და უმაღლესი განათლების მქონე პირებიც, რომლებიც სამუშაოს საზღვარგარეთ ეძებენ, ორივე კატეგორია ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლი ხდება⁴.

საქართველოში ტრეფიკინგის გავრცელებას ხელს უწყობს მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა. იგი როგორც ტრანზიტული ქვეყანა, ხელს უწყობს რუსეთიდან, უკრაინიდან და სომხეთიდან ტრეფიკირებული ხალხის მოხვედრას თურქეთში. აუცილებლად უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ უკვე მიგრაციების დიდი ნაწილი შეგნებულად მიდის ამ “სატყუარაზე” მიდის დამალულად, აკრძალული წესით ავტობუსების

საბარგულებით (მომრავლდა უბედური შემთხვევები გადაყვანისას ...) და ეს ყველაფერი ისე სისტემატიურად ხდება, რომ არ შეიძლება ამ პროცესს ვინმე მაღალი ეშელონებიდან არ მფარველობდეს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი ფორმით მიგრაციების გადაყვანას და თანაც ასეთი მნიშვნელოვანი რაოდენობით თავის თავზე იღებდნენ მხოლოდ ავტობუსის მძღოლები ან ის სააგენტოები, რომლებიც ასე არ არის დაფარული ფაქტი. ეს უკვე კარგად დამუშავებული სქემაა და ამით საკმაოდ დიდი ფული კეთდება, რომელსაც ვერავინ ვერ გაბედავს სათანადო მფარველის გარეშე. ეს მოვლენა საგანგაშოა ყველა თვალსაზრისით. ქართველის აზროვნება და ფსიქიკა თანდათან უხეშდება, ბინძურდება. იგი უარს ამბობს ისეთ ღირებულებებზე, იმ გენეტიკურ ფასეულობებზე, რომელიც ერს საუკუნეების მანძილზე ჩამოუყალიბდა, დაუმკვიდრდა.

ტრეფიკინგი მით უფრო საშიშია მცირერიცხოვანი ერებისათვის, რომელთა გადარჩენა და არსებობა ყოველთვის ბეწვზე ეკიდა. არ შეიძლება თავის დამშვიდება იმით, რომ ეს გლობალური მოვლენაა და ყველას “ითრევს” (ზედმეტ-ნაკლებად). გლობალიზაციას უამრავი დადებითი ფაქტორები ახლავს, მაგრამ როგორც ხშირად ხდება, ეკონომიკურად ჩამორჩენილი, არასტაბილური მდგომარეობის მქონე ქვეყნები მისგან საჩუქრად მხოლოდ უარყოფითს იღებდნენ.

იქნებ უკვე აღარც ღირს ეროვნულ ღირებულებებზე ლაპარაკი?! ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკრი მდგომარეობიდან გამომდინარე, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი თავის გადარჩენისათვის და ყოველდღიური ლუკმისათვის ზრუნავს, იქნებ უხერხულიცაა ასეთ ღირებულებებზე დროის დაკარგვა?!

დარწმუნებული ვართ, დადგება დრო და ამ საკითხს სახელმწიფო დონეზე განიხილავენ, ოღონდ იქნება ძალიან გვიან. მიმდინარე პროცესების შედეგები საუკუნეების მანძილზე გაჰყვება ჩვენს ქვეყანას მოურჩენელ ჭრილობად. სწორედ ამიტომ პირველ რიგში მისახედია ამ მოვლენის სამართლებრივი მხარე, მისაღებია კანონი მიგრაციის შესახებ. სწორედ ამ კანონმა უნდა შეასრულოს დიდი როლი დარეგულირებული მიგრაციული პროცესების ჩამოყალიბებაში.

ლიტერატურა:

1. ტრეფიკინგი და შრომითი მიგრაცია. - ფ.მამიაშვილი, საქართველოს ეკონომიკა, 11. 2005 წ.
2. იაფი “სასახლეების” ქვეყანა! - ფ.ქავთარაძე, კვირის პალიტრა, 8-14 მაისი, 2006 წ.
ასე გვაქციეს მონებად - დ.დევძე, კვირის პალიტრა, 5-11 სექტემბერი 2005 წ.
4. Грузия, Трефикинг оборачивается человеческими жертвами, Малли Корсо, 06.03.06
<http://www.eurasianet.org>

РЕЗЮМЕ

Треффикинг – нещадное орудие против морали и психики нации

В статье Марины Кипиани и Важи Гурабанидзе рассмотрены вопросы треффикинга. Треффикинг – глобальная проблема, в тяжелой форме выражающаяся в переманивании людей обманным путем, насилии, насильственной проституции женщин, торговле человеческими органами и др. В современном мире вслед за торговлей наркотиками и оружием именно треффикинг считается одним из опасных явлений, на котором делаются баснословные барыши.

Грузия «активно» включилась в данный процесс в силу географического положения и сложившихся социально-экономических условий (низкая зарплата, безработица....). Значительная часть женщин (их занятость сравнительно легка) ищет работу за рубежом. 54 процента же женщин- мигрантов поневоле становится жертвой треффикинга. В виду глобального содержания треффикинг опасен и нежелателен как для стран- мигрантов, так и эмигрантов. По нашему мнению же, он в особенности опасен для такой малочисленной нации как грузины. Треффикинг пагубно воздействует на психологию человека. Вовлеченные в него вольно или невольно испытывают такой моральный ущерб, что остаются парализованными для нормальной семейной жизни.

Власти Грузии предстоит предпринять тщетные усилия по борьбе с треффикингом. Наряду с сегодняшними социальными условиями треффикинг сознательно используется как наилучшее средство в борьбе с психологией и нравственностью грузинской нации. Его последствия тяжким безысходным недугом довольно-таки долго будут преследовать грузинское общество. В первую очередь требуют безотлагательного внимания правовая сторона данного явления. «Закон о миграции» урегулирует процессы, оградит интересы мигранта-населения, будет бороться по защите его достоинства.

Trafficking –Dangerous Arm against Moral and Psychic of the Nation

In the article of Marina Kipiani and Vazha Gurabanidze are discussed the questions of Trafficking. Trafficking is a global problem and is displayed with difficult form in deceive, violence, forced prostitution of the people and trading with organs of a man.

ფტერ ტრადინგ წიტჰ ნარცოტიცს ანდ არმს ტრაფუიციინგ ის ონე ოფ ტჰე მოსტ დანგეროუს ევენტს ინ ტჰე მოდერნ წორლდ ინ წჰიცჰ ის ეარნედ მუცჰ ილლეგალ მონეყ.

Due to geographical location, social and economical condition Georgia was actively included in the process. Many Georgian women are trying to find job abroad and 51% of migrant women are becoming involuntary victim. Due to global contents Trafficking is dangerous and undesirable for migrant as well as immigrant countries. To our mind this is the most dangerous for such small nation as Georgians. Trafficking has an influence upon psychology of a man. The participants in trafficking are morally suffered. They are suffered so that they are paralyzed for domestic life.

The government of Georgia should display great attention for fighting against trafficking. With today's social condition Trafficking is consciously used as the best method of fighting against psychic and morals of Georgian people. The results of this event will follow Georgian society for a long time as the incurable disease. At first we must take care of legality of this event- Law of Migration will regulate the processes, defend rights and interests of migrant citizens and fight for their honour.

10. ლამარა გურესაშვილი - ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი.

საქართველოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მნიშვნელობა

ეკონომიკის განვითარებისათვის

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შეფასებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივ რესურსებს, სამთამადნო ინფრასტრუქტურას. საქართველოს ბუნებრივი პირობებისა და ბუნებრივი რესურსების განსაკუთრებული სიუხვე და მრავალფეროვნება ახასიათებს. ეს გამოწვეულია არა მარტო მისი გეოგრაფიული მდებარეობით და ტერიტორიების ბუნებრივი პირობების თავისებურებებით, არამედ ფიზიკურ-გეოგრაფიული და გეოლოგიური მოვლენებითა და პროცესებით.

ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი მოიცავს ბუნების, ჰავის, რელიეფის, ნიადაგების, წყლის საფარის, მცენარეული გეოლოგიური აგებულების, სასარგებლო წიაღისეულის, მათი მარაგების და ა. შ. დახასიათებასა და შეფასებას.

წიაღისეულს ქვეყნის ეკონომიკისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია თუ რა სასარგებლო წიაღისეული გააჩნია ქვეყანას და როგორ გამოიყენება იგი.

გეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილია მრავალი სახის სასარგებლო წიაღისეულის საბადო, ამჟამად ცნობილია 300 – მდე მინერალურ – სანედლეულო საბადო, რომელთაგან ნახევარზე მეტი საექსპლუატაციოა.

ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნების გამო ძირითადად გამოიყოფა სამნიადაგიანი ოლქი: დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის. საქართველოში 48 ნიადაგიანი რაიონი 169 ქვერაიონია. მდიდარი და მრავალფეროვანია მცენარეული საფარი, რაც აიხსნება ფიზიკურ – გეოგრაფიული და კლიმატური პირობების მრავალგვარობით. ასევე სამყაროში ცნობილია ძუძუმწოვრების 100 – მდე, ფრინველების 330 –ზე მეტი და თევზების 160 - მდე სახეობას.

ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მთებს უკავია. ქვეყანა მდიდარია საკურორტო ადგილებით, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰიდროენერგეტიკულ რესურსებსა და მინერალურ წყაროებს.

ეგზოგენურ ენერგორესურსებს მიეკუთვნება ისეთი განახლებადი რესურსები, როგორცაა ჰიდრორესურსები, ქარისა და მზის ენერჯია.

ტერიტორიის ერთეულზე ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მიხედვით საქართველო პირველ ადგილზეა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, აგრეთვე აჭარბებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა იტალია, შვეიცარია, საფრანგეთი, რუმინეთი და სხვა. საქართველოში არსებული 32 ათასი დიდი, საშუალო და მცირე მდინარეთა სრული პოტენციალი 194 მლრდ კვტ\საათია, დღეისათვის ამ რესურსების მხოლოდ 12–15%-ია გამოყენებული.

საქართველოში მზის ენერჯის ხვედრითი მაჩვენებელი ტერიტორიის 1 კვმ წელიწადში თეორიულად 1300-1800 კვტ\საათია. მზის სითბური ფოტოელექტრობატარეებით წელიწადში შეიძლება მივიღოთ 7 მლნ ტონა პირობითი საწვავის ექვივალენტური ენერჯია. თუმცა ამ სახის რესურსის გამოყენების მაჩვენებლები ძალზე დაბალია.

მნიშვნელოვან ენერგორესურსს წარმოადგენს ქარი. ქარის ენერჯის წილად შეიძლება მივიღოთ 2-3 მლრდ კვტ\სთ ელექტროენერჯია. რა თქმა უნდა ქარის რესურსები გამოყენებული რეზერვია საქართველოს ენერგეტიკისათვის.

საქართველოში არსებულ თერმულ წყლებს დიდი თბოპოტენციალი და მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებელი ახასიათებს, აგრეთვე აქვთ მცირე მინერალიზაცია, რაც მათი გამოყენების დიდ შესაძლებლობებზე მიუთითებს. თერმული წყლების პროგნოზირებადი მარაგი შეადგენს 253 კუბურ მეტრს. მისი სრული გამოყენების შემთხვევაში წლიურად შესაძლებელია დაიზოგოს 1,5-2 მლნ ტონა პირობითი სათბობი. თერმული წყლები გამოიყენება როგორც ბალნეოლოგიურ კურორტებზე, ისე კომუნალურ მეურნეობაში და ტექნოლოგიური საჭიროებისათვის, თუმცა მათი გამოყენება არადაამკმაყოფილებელია.

დარეისათვის ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მიწის რესურსების ეკოლოგიური პრობლემების შესწავლა და ბუნების დაცვითი ღონისძიებების გატარება.

მდგრადი ეკოლოგიური განვითარება გულისხმობს ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შექმნას, რომელიც განაპირობებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სრულყოფას, ინოვაციური საქმიანობის ეკოლოგიურ-ეკონომიკური მექანიზმების შექმნას და ეკონომიკური ზემოქმედების სისტემის ფორმირებას წარმოების ეკოლოგიზაციაზე.

მაღალგანვითარებული მრეწველობა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა და ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს. მრეწველობის განვითარების ისტორია საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ძირითადი მაპროფირებელი დარგი მანგანუმის მოპოვება იყო. საქართველო გადაიქცა მთავარ მიმწოდებლად მსოფლიო ბაზარზე. ტყიბულში მოიპოვებოდა ქვანახშირი, განვითარდა ტყავის, ფეხსაცმლის, თამბაქოს, ღვინის მრეწველობა, მიუხედავად ინდუსტრიული განვითარების გარკვეული მასშტაბებისა, საქართველო მაინც სუსტად განვითარებულ სასოფლო-სამეურნეო ქვეყნად რჩებოდა.

საწარმოთა უდიდესი ნაწილი არ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული დაძირითადად კუსტარულ შინამრეწველურ წარმოებებს შეადგენდა.

საბჭოთა წლებში საქართველოში უმთავრესად ადგილობრივ ბუნებრივ და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე ორიენტირებული დარგები ვითარდებოდა. დასაქმებულთა რიცხვი 1940 წელს 1913 წელთან შედარებით შვიდჯერ, ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება კი 25-ჯერ გაიზარდა, სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 19% შეადგინა.

ომის შემდგომი პერიოდი ახალი თანამედროვე დარგების შექმნითა და მრეწველობის დივერსიფიკაციით გამოირჩეოდა. სწრაფი ტემპით განვითარდა ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა.

80-იან წლებში საქართველოს მრეწველობა წარმოდგენილი იყო ინდუსტრიის თითქმის სრული სპექტრით, მასში დასაქმებული იყო 500 ათასზე მეტი კაცი, სამრეწველო პროდუქცია (9 მლრდ მანეთი) შეადგენდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 65% და ეროვნული შემოსავლის 40%-ზე მეტს. საქართველო აწარმოებდა მსოფლიო მრეწველობის 0,3% და ამ მაჩვენებლით ახლოს იდგა ნორვეგიასთან, და ფინეთთან. ერთ სულ მოსახლეზე შვიდჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია მოდიოდა, ვიდრე ბრაზილიაში, ოცჯერ მეტი ვიდრე ინდოეთში და ა. შ. ზოგიერთი სახის პროდუქციით კი (მანგანუმი, ფეროშენადნობები, ელმავლები) ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო მსოფლიოში.

90-იან წლებში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა უაღრესად მძიმე, უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე. ეკონომიკური რღვევის შედეგად დაეცა ქვეყანაში სამთომომპოვებელი, მეტალურგიული, კვების, მსუბუქი, ხე-ტყის გადამამუშავებელი, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკურ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობა. დაიკარგა საგარეო და შიგა ბაზრის ისეთი სეგმენტები, სადაც მათი პროდუქცია ტრადიციულად დომინირებდა. უკიდურესად დაეცა საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების მაჩვენებლები. მნიშვნელოვნად შემცირდა მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხვი, განსაკუთრებით პრობლემატური გახდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შენარჩუნება, რამაც შეიძლება სერიოზული პრობლემები შეუქმნას მაღალტექნოლოგიური საწარმოების აღდგენას მომავალში. მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა შიდა ბაზრის დაუცველობა, რაც მეწარმეს აიძულებს შეწყვიტოს ფუნქციონირება, ან გადაინაცვლოს ჩრდილოვან სექტორში.

2000 წლისათვის საქართველოში სამრეწველო საწარმოთა საერთო რაოდენობის 86% არასახელმწიფო სექტორში ფუნქციონირებდა, წარმოების მოცულობა კი 51% შეადგენდა.

ბოლო პერიოდში მრეწველობაში დაიწყო საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ელემენტების დამკვიდრება, საკუთრებით ურთიერთობათა ცვლილებამ დააჩქარა მცირე ბიზნესის განვითარება, თუმცა ქვეყნის სამრეწველო სექტორში მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების შემდგომი დაჩქარება ძირითადად დამოკიდებულია იმ მაკროეკონომიკურ მოდელზე, რომელსაც ქვეყანა აირჩევს არსებული ბუნებრივი რესურსების ბაზაზე მრეწველობის განვითარების ერთიანი შეკრული ციკლების ჩამოყალიბებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. “საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა.” სტატისტიკური კრებული, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ. 2002წ.
2. მრეწველობა საქართველოში მე-20 საუკუნესა და 21 საუკუნის დასაწყისში.
3. “მაკრო-მიკრო ეკონომიკა” 2002წ. №9.
4. ასათიანი რ. საქართველის ეკონომიკა 21 საუკუნის მიჯნაზე. თბ. 1997წ.
5. “მრეწველობა საქართველოში,” სტატისტიკური კრებული სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ. 2003წ.

11. აკაკი ზაკურაძე - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ნაირა ვირსალაძე - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი.

ოჯახის შექმნისა და მისი სიმტკიცის ქრისტიანული

სწავლების საკითხისათვის

მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა და შიდა პოლიტიკურმა სიტუაციამ აქტიურ სახელმწიფოებრივ დონეზე ვეღარ დააყენა ქართველი ერის გამრავლების საკითხი. ამას თან დაერთო უაღრესად სპეციფიკურ-დემოგრაფიული მახასიათებელი პირობები. ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურა პრობლემის, არა მარტო ისტორიულ წარსულში უკვე ჩამოყალიბებულ მოვლენათა და პროცესთა გაშუქების, არამედ ჩვენს სინამდვილეში (აწმყოში) ადამიანთა მზარდი, განვითარებადი მიზნების, ინტერესებისა და მისწრაფებების, მთლიანობაში პრობლემის დემოგრაფიული და სოციალური შესწავლის აუცილებლობა. კვლევის პროცესში კი საწყისად მაინც ოჯახის სიმბოლო წარმოგვიდგება, რადგანაც მისმა შინაარსმა იტვირთა დღემდე და განაგრძობს კიდევ თაობათა შეცვლის, განახლებისა და დაგროვილი ყოფითი, თუ სულიერი ღირებულებების გადაცემას ერთი თაობიდან მეორეზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებასა და რაც უფრო პროდუქტიული იქნება ის, მით უფრო შეიქმნება ქორწინების, კიდევ ახალი ოჯახების შექმნის ყველა წინა პირობა. ცნობილია, რომ საზოგადოების ჯანსაღ განვითარებაზე ზრუნავს სახელმწიფო და თითოეული ადამიანი ინდივიდუალურად. ამ ეტაპზე, სავალალო სიტუაციიდან გამოსვლისათვის, ერის გამრავლების საკითხის სწრაფად გადაწყვეტისათვის და ა.შ. უნდა წარმოჩინდეს ცალკეულ პიროვნებათა დაინტერესება, რამეთუ "...რას ითხოვს კაცი? შთამომავლობას ღვთისაგან..." (მალაქ, 2.15). ჩვენი პატრიოტიზმი უნდა გამოჩინდეს სწორედ ახალ-ახალი მტკიცე ოჯახების შექმნით და მამულიშვილური ვალიც ძირითადად იქნება მოხდილი.

ამ მიმართულებით საუკეთესო გზა ქრისტიანულ-ზნეობრივი ღირებულებების წინ წამოწევაა, რაც მეცნიერულ კვლევასთან ერთად შექმნის უამრავ წინა პირობას მისი სწრაფად და დადებითად გადაწყვეტის საქმეში. საქართველოში ქორწინებისა და განქორწინების დინამიკურ ანალიზზე დაყრდნობით, აუცილებელია გავანალიზოთ მისი მზარდი და კლებადი ხასიათი,

ტენდენციები და წარმოვაჩინოთ მათზე მომქმედი ძირითადი ფაქტორები. მანამდე აუცილებლად მიგვაჩნია ამ პროცესების ისტორიულ ხასიათში გარკვევა, რაც სასიკეთოდ წარმოჩნდება თანამედროვე მძიმე დემოგრაფიული სურათისათვის და იგი, შესაბამისად, გასათვალისწინებელია. ჩვენი აზრით აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს დასახელებული პროცესების რეგისტრაცია.

ქორწინებისა და განქორწინებების რეგისტრაციის წესის ისტორიული წარსულის შედეგების დანერგვა აწმყოში აღმოჩნდება ბევრად მომგებიანი. ასე მაგალითად, რუსეთის ანექსიამდე იგი რეგისტრირდებოდა ეკლესიაში მღვდლის დამოწმებით. ჩვენს პირობებში მმაჩის ბიუროების ქორწინებისა და ეკლესიის ჯვრისწერის მოწმობების (სხვა აღმსარებლობის შემთხვევაში გაითვალისწინება შესაბამისი დოკუმენტები) მოწეს-რიგებულ გაცემაზე გადაწყვეტილების მიღება, სახელმწიფოსა და ეკლესიის შეთანხმებით, ორივე მხრიდან შედეგიანი იქნება (აქვე იგულისხმება განქორწინებების რეგისტრაცია).

ქორწინებისა და განქორწინების სიხშირეზე მომქმედი ძირითადი ფაქტორი უმუშევრობა და მძიმე მატერიალური მდგომარეობაა. უნდა იქნეს შესწავლილი არა მარტო ცალკეული ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, ერთიანი ბიუჯეტის შექმნის აუცილებლობა და მისი რაოდენობრივი ზომის ზუსტი განსაღვრა, არამედ ერთი შინა მეურნეობის (ოჯახური) და საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებისა და ხარჯებს შორის სტრუქტურული და კორელაციური რეგრესიული ანალიზი, როგორც ქალაქის, ისე სასოფლო დასახლებების პირობებში.

პირველი ქორწინების საშუალო ასაკის მაღალი დონე (ვაჟებისათვის - 40წ. და ქალებისათვის - 31წ.) აშკარად საშიში მოვლენაა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასთან ($\approx 72,2$ წ., ამასთან ვაჟებისათვის - $\approx 68,8$ წ. და ქალებისათვის - $\approx 75,3$ წ.; წარმოდგენილი მაჩვენებლები გაანგარიშებულია 2002 წლისათვის. ალბად, აქაც უნდა გავითვალისწინოდ ის ფაქტი, რომ საერთო ოჯახური ურთიერთობა მათ დიდი ხნით ადრე ჰქონდათ, მაგრამ დააფიქსირეს იგი გვიან. ამასთან, შესაძლებელია, რომ მათ მაშინ ჯვარი ჰქონდათ კიდევ დაწერილი და ა.შ.) შედარებით. ამ საშუალო მაჩვენებლის შემცირება, ცნობილ სოციოლოგთა და დემოგრაფთა დასკვნით, მრავალშვილიანობისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯია. წინასწარი გამოთვლებით, ქორწინების რეგისტრაციის "მოწესრიგების" ეს ხერხი შემცირებს საწყის ეტაპზე პირველი ქორწინების საშუალო ასაკს ვაჟებისათვის 30 წლამდე, ხოლო ქალებისათვის - 25 წლამდე და უფრო რეალურს გახდის მას.

შესაძლებელია გამოვიყენოთ, შედარება ზოგიერთი ბიბლიური გმირების ისტორიიდან. მაგალითად, ისააკისათვის იგი შეადგენდა 40 წელს (რამდენადაც მამამთავრად იწოდებოდა, ამიტომ

ბუნებრივია, რომ მისი შთამომავალნი უმეტეს შემთხვევაში მიბაძავდნენ მის ასეთ ქმედებას იმ ეპოქაში. ეს მაშინ, როცა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა ბევრჯერ მეტი იყო, ვიდრე ახლა და, ამდენად, ეს ნაბიჯი გამართლებული იყო. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ აშკარად სადაო რჩება მოცემული პერიოდისათვის (ეპოქისათვის) აქამდე სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობის Yძალზედ დაბალი ზომა. კერძოდ, საწინააღმდეგოდ მეტყველებს შემდეგი: "თქვა უფალმა ღმერთმა: არ დარჩება ჩემი სული ადამიანში საუკუნოდ, რადგან ხორცია იგი. იყოს ხანი ასოცი წელი" (დაბ. 6,3). ასევეა წმ. წერილების სხვა ადგილებზეც, და, ამდენად, მიუღებლად ჩანს ასეთი კლება).

"აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა და დაეუფლეთ მას..." (დაბ. 1,28). ადამისა და ევას სახით იკურთხა პირველი ოჯახი მიწაზე, ანუ ვაჟისა და ქალის შეუღლება ეკლესიისა და ქრისტეს სულიერი კავშირის სახით. ქორწინებით წყვილი ნებართვას იღებს ღვთისაგან, რომ მოეცეს წყალობა ურთიერთდახმარებისა და ერთსულოვნებისათვის, დაელოცოს შვილთა დაბადება (შვილიერება) და მათი ქრისტიანულად აღზრდა. ქორწინება ავალდებულებს ქმარს თავგანწირვით შეიყვაროს ცოლი, ასევე ცოლსაც - სიყვარულით მორჩილებდეს მას. საერთო ჯამში, შეინარჩუნონ ერთმანეთის სიყვარული და მოკრძალება, ერთგულება და ნდობა.

ქორწინებისა და განქორწინების მოვლენის ზნეობრივი შინაარსის ქრისტიანული სწავლების გამოყენება, მხოლოდ სასიკეთოდ შეცვლის თანამედროვე, ამ მხრივ არასასურველ სურათს. წმ. პავლე მოციქული პირდაპირ ავალდებულებს მეუღლეებს: "ურთიერთარს სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ ადასრულეთ შჯული იგი ქრისტესი (გალატ. 6,2)", "პატიოსან არს ქორწილი ყოვლითვე და საწოლი შეუგინებელ" (ებრ. 13,4), ან კიდევ "არა იმრუშო" (მე-7 ცნება) და ა.შ.

კეთილმორწმუნე ქრისტიანული ოჯახი ხომ საზოგადოებრივი კეთილდღეობის საფუძველი და წყაროა. განქორწინების განზრახვაც, კი ღვთის რისხვას იმსახურებს, რამეთუ, "... ვინც ღმერთმა შეაერთა, დაე კაცი ნუ დააშორებს მათ" (მათე. 19,6), სხვაგან - "ქორწინებულთა მათ ვამცნობ არა მე, არამედ უფალი: ცოლსა ქმრისაგან არა განშორებად..., და ქმარი ცოლსა ნუ დაუტევებს" (1კორ. 7,10-11). ამასთან, ახალი მარტოხელა ოჯახების სიმძიმე კიდევ უფრო მტკივნეულად დააწვება საზოგადოებას, ქვეყნის ეკონომიკას და ისედაც გაჭირვებაში მყოფ ქართველ ერს. ცალკეული ოჯახური იდილია ხომ ქვეყნის აღმშენებლობის საწყისია. ამის საფუძველი კი მეუღლეების ქრისტიანული და, ზოგადად, "ეკლესიური" ცხოვრების წესია.

ლიტერატურა

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 1989 წ.
2. პ.გუგუშვილი, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, "მეცნიერება", თბ., 1973 წ.
3. პ.გუგუშვილი, მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა, "მეცნიერება", თბ., 1985 წ.
4. ა. თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, "სამშობლო", თბ., 1993 წ.
5. რა გზა ავირჩიოთ? ქალწულება. ბერმონაზვნობა. ქორწინება; ნუგეშისცემა დაქვრივებულთა, თბ., 1999 წ.
6. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი, თბ., 1999 წ.
7. გ. შიხაშვილი, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესახებ (1977-2004 წწ), თბ., 2004 წ.
8. წმ. იოანე ოქროპირი, ქრისტიანული ქორწინება და ცოლქმრობა, თბ., 1999 წ.
9. ა. ილიაშენკო, როგორ მოვიპოვოდ ოჯახური ბედნიერება, თბ., 2002 წ.
10. ლაზარეს აღდგინება, ტ. 5, თბ., 1989 წ.
11. ლაზარეს აღდგინება, ტ. 13-14, თბ., 2000 წ.
12. Закон Божий, Издание Николо-Боловского монастыря, М., 1989 г.
13. Толковая Библия, Под ред. проф. Лапухина .,т.1, С-ბგ, 1903-1905 гг.
14. Толковая Библия, Под ред. проф. Лапухина .,т.2, С-ბგ, 1905-1907 гг.
15. Толковая Библия, Под ред. проф. Лапухина .,т.3, С-ბგ, 1908-1911 гг.

РЕЗЮМЕ

Бакурадзе Акакий

кандидат экономических наук

Вирсаладзе Наира

кандидат экономических наук

К вопросу создания и укрепления семьи с точки зрения христианского учения

Тяжелая социально-экономическая ситуация не ставит вопрос на актуальном государственном уровне о размножении грузинской нации. Проведенные исследования подтвердили, что необходимо освещение не только уже установившихся явлений и процессов в историческом прошлом, но и изучение растущих, развивающихся целей, интересов и стремлений, демографических и социальных проблем людей в настоящем. В процессе исследования исходной точкой все-таки является символ семьи, потому что ее содержание наполняется до настоящего времени и продолжает смену накоплений, передачу новых и уже существующих бытовых или духовных ценностей от поколения к поколению.

Внедрение результатов исторического прошлого, правил регистрации браков и разводов оказались бы намного выигранным в настоящем. Так например, до Советской Грузии (1921 г.) она регистрировалась в Церкви подтвержденные священнослужителями. В наших условиях принятия решения о выдаче свидетельств о браке ЗАГС-ом и Церковью (в других случаях вероисповедания должен учитываться соответствующие документы), согласием между государством и Церковью, будет результативным с обеих сторон (также подразумевается регистрация разводов).

Урегулирование поставленной проблемы удастся значительное уменьшение среднего возраста первого брака, который по данным 2002 года составляет 40 лет для мужчин и 31 лет для женщин. По предварительными расчетами возраст уменьшится до реальных величин - 30 и 25 лет (соответственно для обоих полов).

SUMMARI

Akaki Bakuradze

Candidate of Economic Sciences

Naira Virsaladze

Candidate of Economic Sciences

On the Forming the Family and its Christian Moral

Social and economic hardships prevented the government to view demographic problems on state level. Realized researches proved once again the importance of studying this problem based on historical data as well as current demographic and social situation. Still we strongly support the idea that the core of the study should be a family, because this concept promotes generation change, renovation and retaining cultural and national values through the generations.

Introducing historical way of marrying and divorcement registration can be beneficial in the present. For example before the Soviet Georgia registration went at church by priest's approval. In our terms it seems essential to make decision about issuing certificates for marriage and wedding from civilian registry office and church (in case of different belief the corresponding documents) in good order on the bases of the agreement between state and church (divorcement registration also included). By solving this problem it will be possible to decrease an average age of the first marriage (40 for men and 31 for women according the facts of 2005) approximately to 30 for men and 25 for women.

12. ავთანდილ სოხაძე - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი.

ფილიპ კოტლერი და მარკეტინგის კონცეფციის თანამედროვე გაგება

მსოფლიო ეკონომიკის ყირეული ტრანსფორმაცია, საქონლისა და მომსახურების ბაზრის გლობალიზაცია, ამ ბაზარზე კონკურენციის გამწვავება, მსოფლიო მოსახლეობის შემოსავლების დრნის არსებითი სხვადასხვაობა, მომხმარებელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი განუხრელი ზრდა, ბუნებრივია, წარმოშობენ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ხასიათის მრავალ პრობლემას.

თუ ოდესღაც აშშ-ში გამომცემლობები წიგნების უმეტეს ნაწილს თვით ამერიკული მოწყობილობებით ბეჭდებდნენ, დღეს გამოცემის ავტორი წიგნის ტექსტს კრებს ტაივანში აწყობილ კომპიუტერზე, კალიფორნიაში დამუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, ეს წიგნი იბეჭდება კორეის საღებავებით კანადურ ქაღალდზე. პოლიგრაფიული მანქანა დამზადებულია გერმანიაში, ყდაში ჩასმა ხორციელდება მექსიკაში და იქედან მზა პროდუქცია უკან ბრუნდება აშშ-ში და სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში.

ტელეკომუნიკაციის სფეროში ტექნოლოგიურმა რევოლუციამ სტიმული მისცა გაეერთიანებინათ მთელი ყალბები მსოფლიოს ისეთ წამყვან კომპანიებს, როგორცაა: AT&T, Motoshita, Elektri Industrial, Philips რათა შეემუშავებინათ ერთობლივი პროექტი „General Magic“-ის სახელწოდებით, რომელიც ითვალისწინებდა ინფორმაციული კომპიუტერული ტექნოლოგიების მომავალი თაობის ორ უახლეს სტანდარტს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ბაზრის გლობალიზაციასთან ერთად წარმოიწვნენ ისეთი ცალკეული რეგიონული სავაჭრო ბლოკები, როგორცაა მაგალითად, უკვე საკმაოდ ცნობილი ჩრდილო ამერიკული (აშშ, კანადა, მექსიკა) სავაჭრო შეთანხმება (NAFTA), ანდა კიდევ, ევროპული გაერთიანება (EC), რომელიც მოიცავს 15 სახელმწიფოს და თავისი პოტენციური ბაზრით დიდად აღემატება აშშ-ის ბაზრის მოცულობას.

საყურადღებოა, ისიც, რომ თანამედროვე ბაზარი დაუჯერებლად სწრაფად ცვალებადია არა მარტო ყირითადი ტენდენციების _ გლობალიზაციისა და ახალი ტექნოლოგიების გავლენით, არამედ _ როგორც ამას მიუთითებენ მარკეტოლოგები _ შეინიშნება კიდევ ისეთი ახალი ტენდენციები, როგორცაა: ბაზარზე მოპოვებული ხელი-სუფლების (ლიდერობის) აშკარად გადასვლა მწარმოებლებიდან გიგანტურ საცალო მოვაჭრეებზე; საცალო ვაჭრობის ახალი ფორმები და მეთოდები; მომხმარებელთა მგრყნობიარობის ზრდა საქონლის ფასებსა და ფასეულობების მიმართ; მასიური მარკეტინგის როლის ცვლილებების და ა. შ.

ცხადია, ასეთ ვითარებაში ფუჭია მცდელობა იმისა, რომ კომპანიის ხელმეფვანელობამ, მენეჯერებმა გადაარჩინონ თავიანთი კომპანიები და შეინარჩუნონ მიზნობრივ ბაზარზე არსებული სეგმენტი, თუკი ისინი ღრმად არ დაეუფლებიან მარკეტინგის თეორიასა და პრაქტიკას, არ გაითვალისწინებენ თანამედროვე ბაზრის განვითარების ტენდენციებს.

მსოფლიოს მშფოთვარე სამურნეო კომპლექსიდან, ბიზნესის სამყაროდან სისტემატურად ქრებიან რომელიღაც კომპანიები და მათ ადგილას მოდიან ათეულობით ახალი მეწარმეები. აკი, „ბიზნესის კანონი“ დიდი მეცნიერის ჩარლზ დარვინის მიერ აღმოჩენილი ბუნების კანონის ანალოგიურია _ „გადარჩებიან ყლიერები“ _ დიახ, ბიზნესში ყლიერია ის, ვინც არსებითად ეუფლება მარკეტინგს, რადგან, მარკეტინგი ეს არის ბიზნესი მთლიანობაში.

გაცვლითი პროცესის მართვა მოითხოვს მნიშვნელოვან ყალისხმევას და გარკვეულ გამოცდილებას, რაც ბუნებრივია, გულისხმობს მარკეტინგის როგორც მეცნიერების ღრმად შესწავლას, იმ მეცნიერებისა, რომელსაც არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს.

მარკეტინგის, როგორც მეცნიერების ფორმირებაში ფასდაუდებელია აშშ-ის ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის, მენეჯმენტის უმაღლესი სკოლის, საერთაშორისო მარკეტინგის საპატიო პროფესორის ფილიპ კოტლერის წერილი.

ფ. კოტლერის მაღალ მეცნიერულ ღირსებებზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ მისი ერთ-ერთი ნაშრომი _ „Marketing for Nonprofit Organizations“ _ ხუთჯერ გამოიცა აშშ-ში, როგორც მეცნიერების ამ დარგის საუკეთესო ბესტსელერი. მარკეტინგის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს ეყვანება აგრეთვე მისი ნაშრომები: „The New Competition“, „Marketing Professional Services“, „Marketing for Health Care Organizations“, „Strategic Marketing for Educational Institutions“, „High Visibilitu“, „Social Marketing“, „Marketing Places“, „Marketing for Congregations“, „Marketing for Hospitalitu and Tourizm“, „Standing Room Onlu: Strategies for marketing the Performing Arts“, „Marketing Models“ და სხვა.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ფ. კოტლერის ბოლოდროინდელი ნაშრომი, მე-9 საერთაშორისო გამოცემა

„Marketing Management“, რომელსაც, თუ გულახდილად ვიტყვით, ბადალი არ მოეპოვება მთელ მსოფლიოში, მეცნიერების ამ დარგში. იგი უნიკალურია თავისი შინაარსით, მოიცავს მარკეტინგული მართვის ყველა პრობლემას. ნაშრომი უზარმაზარ დახმარებას გაუწევს ნებისმიერ მკითხველს _ სტუდენტი იქნება ის, მეცნიერი თუ ბიზნესმენი, რათა გაიგოს და შეიცნოს მნიშვნელობა მარკეტინგის ცალკეული შემადგენლისა ბაზარზე წარმატებით მუშაობის საქმეში.

მარკეტინგი _ შენიშნავს ფ. კოტლერი _ ეს არის მოწესრიგებული და მიზანმიმართული პროცესი კომპანის მიერ მომხმარებელთა პრობლემებისა და საბაზრო საქმიანობის რეგულირების შემეცნების მიმართებით. მარკეტინგი სრულებითაც არ არის ევკლიდისეული გეომეტრია, სადაც ყველაფერი ზუსტად სისტემატიზირებულია თეორემებისა და აქსიომების საფუყველზე. პირიქით, მარკეტინგი ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე დინამიური სფეროა, სადაც მუდმივად წარმოჩნდება ისეთი სიურპრიზები, რომლებზედაც კომპანიამ ადეკვატური რეაგირება აუცილებლად უნდა მოახდინოს.

„მარკეტინგი _ წერს ფ. კოტლერი, _ არის სოციალური და მმართველობითი პროცესი, რომელიც მიმართულია, როგორც ინდივიდების, ასევე ჯგუფების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ, საქონლის ფასეულობის შექმნის, შეთავაზებისა გაცვლის გზით“. მარკეტინგის ასეთი განსაზღვრა გულისხმობს კონცეფციის შემდეგ მომენტებს: 1) საჭიროება, მოთხოვნილება და მოთხოვნა; 2) საქონელი (პროდუქტი, მოხმარება, იდეა); 3) ფასეულობა (მნიშვნელობა), დანახარჯი და დაკმაყოფილება; 4) გაცვლა და ტრანსაქცია; 5) ურთიერთობა პარტნიორებს შორის და ურთიერთმოქმედების სისტემა; 6) ბაზარი; 7) ბაზრის აქტიური სუბიექტები და სავარაუდო მყიდველები (იხ. ნახ. 1).

საჭიროება _ ეს არის ადამიანის შეგრყენება რაღაცის არქონების გამო. ამიტომ საწყისი იდეა, რომელიც საფუყველად უდევს მარკეტინგს, ეს არის ადამიანური საჭიროების იდეა. ეს შეიყლება იყოს ფიზიოლოგიური, სოციალური, სულიერი.

ნახ. 1

მარკეტინგის კონცეფციის ძირითადი ელემენტები



ნახ. 1

მარკეტინგის კონცეფციის ყირითადი ელემენტები

საჭიროება, მოთხოვნილება, მოთხოვნა
საქონელი (პროდუქტი, მომსახურება, იდეა)
ფასეულობა, დანახარჯები და დაკმაყოფილება
გაცვლა და ტრანსაქცია
ურთიერთობა პარტნიორებს შორის და ურთიერთმოქმედების სისტემა
ბაზარი
ბაზრის აქტიური სუბიექტური და სავარაუდო მყიდველები

მოთხოვნილება არის საჭიროება, რომელიც ღებულობს სპეციფიკურ ფორმას ინდივიდის პიროვნული და კულტურული დონის შესაბამისად. მოთხოვნილება გამოხატულებას ღებულობს პროდუქტში (მომსახურებაში), რომელსაც შეუყვლია დააკმაყოფილოს ადამიანის საჭიროება, იმ წესით, რომელიც დამახასიათებელია მოცემული საზოგადოების კულტურული წყობისათვის. მაგალითად, თუ რაჭველი გლეხკაცისათვის სადილზე მოთხოვნილებაა _ ლობიო, ლორი და ერთი-ორიჭიქა წითელი ღვინო, ხევსურისათვის ტრადიციულია და სიამოვნებით მიირთმევს ხინკალს ერბოთი და ერთ-ორ კათხა თვითნახად ლუდს. ამასთან ადამიანური საჭიროებები ასეთისე შემოფარგლულია, მას გარკვეული საზღვარი აქვს მაშინ, როცა მოთხოვნილება უსაზღვროა, მან არ იცის საზღვარი, თუმცა ადამიანის მოთხოვნილება ფორმირდება და ხორციელდება საზოგადოებრივი ყალების, სოციალური ინტერესების (ეკლესია, სკოლა, ოჯახი) და მწარმოებელი კორპორაციების ზემოქმედებით.

მოთხოვნა _ ეს მოთხოვნილებაა, რომელიც განმტკიცებულია მომხმარებლის გადახდისუნარიანობით და იგი იცვლება მოსახლეობის ფულადი შემოსავლების დონისა და ფასების მიხედვით. მომხმარებელი ბაზარზე შედის არა მოთხოვნილებით, არამედ მოთხოვნით. ამიტომ მწარმოებელი კომპანიები უნდა ითვალისწინებდნენ არა იმას თუ რამდენს სურს შეიყინოს მათ მიერ წარმოებული საქონელი, არამედ იმას, თუ რამდენს აქვს უნარი რეალურად შეიყინოს პროდუქტი (მომსახურება).

საქონელი, (პროდუქტი, მომსახურება, იდეა) _ არის ყველაფერი ის, რაც შეიყვლება შეთავაზო ადამიანური საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. იგი შეიყვლება იყოს როგორც მატერიალური პროდუქტი, მომსახურება ან იდეა. მაგალითად, კომპიუტერის მწარმოებელი მომხმარებელს თავაზობს პროდუქტს (კომპიუტერი, მონიტორი, პრინტერი), მომსახურებას (ნაყიდი კომპიუტერის შინ მიტანა, დაყენება, სწავლება, შეკეთება) და იდეას (ყველაფერი ის, რაც შეუყვლია კომპიუტერს).

მომხმარებელი ყიდულობს საქონელს (პროდუქტს) არა იმიტომ, რომ ის უბრალოდ პროდუქტია, არამედ იმიტომ, რომ მას შეუყვლია დააკმაყოფილოს ადამიანის რაიმე მოთხოვნილება. ჩვენ ვყიდულობთ ავტომობილს იმიტომ, რომ მას ვიყენებთ, როგორც გადაადგილების საშუალებას და ა. შ. ამიტომ მწარმოებლები _ ბაზრის სუბიექტური პირველ რიგში უნდა ცდილობდნენ გაყიდონ არა პროდუქტი, არამედ პროდუქტის ის სარგებლიანობა, მომსახურება, რომელიც მოცემულ მატერიალურ პროდუქტშია მოთავსებული. მწარმოებელმა აქცენტი არ უნდა გააკეთოს პროდუქტის ფიზიკურ თვისებებზე.

ფასეულობა, ხარჯები და მომხმარებელთა დაკმაყოფილება _ ადამიანის საჭიროება გადაადგილებაზე შეიყვლება დაკმაყოფილდეს სატრანსპორტო ისეთი საშუალებებით, როგორცაა: ველოსიპედი, მოტოციკლი, ავტომობილი და ა. შ. ე. ი. იქმნება საქონლის ვარიანტთა ერთგვარი ნაკრები, არჩევანი. ცხადია, მომხმარებელი ამ შემთხვევაში აირჩევს ისეთს, რომელიც უფრო სრულყოფილად დააკმაყოფილებს მის საჭიროებას, აქ კი მთავარ როლს თამაშობს საქონლის ფასეულობა ანუ სამომხმარებლო მნიშვნელობა. ფასეულობაში იგულისხმება მომხმარებლის მიერ საქონლის უნარის შეფასება, ანუ თუ რამდენად შეუყვლია დააკმაყოფილოს საჭიროება. ჩვენს მაგალითში, თუ ზემოთ ჩამოთვლილი სატრანსპორტო საშუალებები უფასოდ გაიცემოდა, ცხადია, მომხმარებელი ავტომობილს მისცემდა უპირატესობას, მაგრამ ნებისმიერი ამ საქონლის შეყენა შეიყვლება მხოლოდ გარკვეული ხარჯების გაღებით და ამიტომ მყიდველი შეეცდება შეარჩიოს ისეთი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს მის საჭიროებას, მის ხელთ არსებული რეალური დოლარების ფარგლებში (რამდენის გადახდაც მას შეუყვლია).

გაცვლა და ტრანსაქცია. ადამიანს შეუყვლია მისთვის საჭირო პროდუქტი (საქონელი) მიიღოს ოთხი ცნობილი ხერხიდან ერთ-ერთის გამოყენებით: პირველი ხერხი _ ეს არის დამოუკიდებელი წარმოება ანუ თვითუზრუნველყოფა. ე. ი. ადამიანი აწარმოებს მას, რაც მას სჭირდება. მაგალითად, თუ ადამიანს შია, მას შეუყვლია ითევზაოს, ინადიროს ან სულაც ტყეში მოკრიფოს სოკო ან ხილი. მეორე ხერხი _ ეს არის ყალადობა, ე. ი. იგივე მშობიერი ადამიანი საკვებს ყალით წართმევს სხვას, იჭურდებს ან იყაჩადებს. მესამე ხერხი _ ეს არის მათხოვრობა. ადამიანი თხოვს ნათესავებს, თანასოფლელებს ან უბრალოდ იმათხოვრებს ქუჩაში, ან საზოგადოების სხვა თავშეყრის ადგილებში. მეოთხე ხერხი _ ეს გაცვლაა, როცა ადამიანი მისთვის აუცილებლად საჭირო საკვებში მეორე მხარეს სანაცვლოდ შეთავაზებს ფულს ან სხვა საქონელს (მომსახურებას).

ზემოთჩამოთვლილი ოთხი შემთხვევიდან პირველი სამი არ გულისხმობს მარკეტინგს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მარკეტინგი გამოვლინდება მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა ადამიანი გადაწყვეტს დაიკმაყოფილოს და მოთხოვნილება გაცვლის საშუალებით. შედგება თუ არა გაცვლა, ეს კი დამოკიდებულია იმაზე, რამდენადაა

მხარეები თანახმა გარიგების პირობებზე. გაცვლის პირობები კი შეიყლება ასე ჩამოყალიბდეს:

- 1) მხარეები უნდა იყოს ორი, როგორც მინიმუმი (კერძო პირი ან ორგანიზაცია);
- 2) თითოეული მხარე უნდა ფლობდეს რაიმე ისეთს, რომელიც მეორე მხარისთვის წარმოადგენს გარკვეულ ფასეულობას;
- 3) თითოეულ მხარეს უნდა შეეყლოს კომუნიკაციების განხორციელება და ნაყიდი საქონლის (პროდუქციის) დანიშნულების ადგილზე მიტანა;
- 4) თითოეული მხარე უნდა იყოს სრული თავსუფალი, მეორე მხარის მიერ შეთავაზებული წინადადებების მიღების ან უარყოფის თვალსაზრისით;
- 5) თითოეული მხარე დარწმუნებული უნდა იყოს მეორე მხარესთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების სარგებლიანობასა და მიზანშეწონილობაში.

თუ ორვე მხარე შეთანხმდა, მაშინ ვამბობთ, რომ გარიგება შედგა. ფასეულობათა ასეთი გაცვლა ორი ან მეტი მხარის მიერ იწოდება ტრანსაქციად. მაგალითად, თუ იქ მხარე გადაიხდის 500 დოლარს და სანაცვლოდ B მხარიდან მიიღებს ტელევიზორს, ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა ფულადი ტრანსაქციის კლასიკური მაგალითი. თუმცა, ხშირ შემთხვევაში გაცვლის დროს ფული სრულებითაც არ არის საჭირო, რადგან ერთი საქონელი იცვლება მეორე საქონელზე, რასაც ბარტერს უწოდებენ. ტრანსაქცია როგორც წესი საქონლის ფასეულობათა სამ განზომილებაში განიხილება – პირობები, დრო და შეთანხმების ადგილი.

პარტნიორთა შორის ურთიერთობა და ურთიერთმოქმედების სისტემა. ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ტრანსაქციური მარკეტინგის ბუნება. ტრანსაქციური მარკეტინგი თავის მხრივ წარმოადგენს უფრო ფართო კონცეფციის ნაწილს – რომელმაც მიიღო სახელწოდება – ურთიერთობათა მარკეტინგი. ურთიერთობათა მარკეტინგი ეს არის ბაზარზე ყირითად პარტნიორებთან გრყელვადიანი ურთიერთმოგებიანი ურთიერთობის მოწყობის პრაქტიკა: მომხმარებელთან, მომწოდებელთან და დისტრიბუტორებთან ხანგრძლივი პრივილეგირებული ურთიერთობების დამყარების მიზნით. საბოლოო შედეგი, რომლისკენაც მიისწრაფვის ურთიერთობათა მარკეტინგი – ეს არის კომპანიის უნიკალური აქტივის ფორმირება, რომელიც იწოდება, როგორც ურთიერთმოქმედების მარკეტინგული სისტემა.

ბაზრები (ბაზარი). გაცვლის თეორიას გაცვლის კონცეფციამდე მივყავართ. ბაზარი – ეს არის საქონლის (პროდუქტის, მომსახურების, იდეის) არსებული და პოტენციური მყიდველებისა და გამყიდველების ერთობლიობა, ანუ ბაზარი წარმოადგენს საქონლის პოტენციური გაცვლის სფეროს. ბაზარი ვარაუდობს მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის მიზანსწრაფულ გაცვლას. "ბაზარს ქმნიან ყველა პოტენციური მომხმარებლები განსაზღვრული საჭიროებებითა და მოთხოვნილებებით, რომლის დაკმაყოფილებისათვის მათ სურთ და მზად არიან მიიღონ მონაწილეობა გაცვლაში". (ფ. კოტლერი).

მარკეტინგული გამყიდველთა ჯგუფი განიხილება, როგორც დარგის წარმომადგენლები, ხოლო მყიდველთა ჯგუფი – როგორც ბაზარი.

ქვემოთ მოცემულ ნახაზზე (ნახ. 2) ნათლადაა მოცემული გამყიდველთა და მყიდველთა ურთიერთობის ოთხი ნაკადი:

- (გამყიდველთა მხრიდან მიედინება საქონლის, მომსახურების და კომუნიკაციების ნაკადი;
- (ამათ საპირსპიროდ მიისწრაფვის ფული და ინფორმაცია;
- (შიდა წრე – ეს არის საქონლისა და მომსახურების გაცვლა ფულზე;
- (გარე წრე – ეს არის ინფორმაციის გაცვლა (იხ. ნახ. 2)).

ნახ. 2. მარტივი მარკეტინგული სისტემა



ნახაზი 2.

მარტივი მარკეტინგული სისტემა

კომუნიკაციები

საქონელი და მომსახურება

ფული

დარგი

(გამყიდველთა ჯგუფი)

ბაზარი

(მყიდველთა ჯგუფი)

ინფორმაცია

თანამედროვე ეკონომიკა მრავალი ბაზრისგან შედგება. აქედან განიხილება ხუთი ყირითადი, ესენია: 1) მწარმოებელთა ბაზარი, 2) რესურსების ბაზარი, 3) სახელმწიფო ბაზარი, 4) მომხმარებელთა ბაზარი და 5) შუამავალი ბაზარი. ამ ბაზართა შორის გაცვლის სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ 1.3 ნახაზზე.

ბაზრის აქტიური სუბიექტები და სავარაუდო მყიდველები. ბაზრის კონცეფცია ამთავრებს მარკეტინგის კონცეფციას, როცა ბაზარზე მხარეთა შორის ერთი აგებს გაცვლის შესაყო ვარიანტს უფრო აქტიურად, ვიდრე სხვა, ამ შემთხვევაში გაცვლის შესაყო ვარიანტს უფრო აქტიურად, ვიდრე სხვა, ამ შემთხვევაში პირველი იწოდება როგორც მეწარმედ, ანუ ბაზრის აქტიურ სუბიექტად, ხოლო მეორე _ სავარაუდო მყიდველად.

13. გივი სანიკიძე - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

მოთხოვნისა და მიწოდების საბაზრო მექანიზმები

მოთხოვნა და მიწოდება ის ცნებებია, რომელთაც ეკონომისტები ხშირად იყენებენ და ამისათვის მათ მტკიცე საფუძველიც გააჩნიათ.

საბაზრო ურთიერთობანი, სწორედ მოთხოვნით და მიწოდებით არის განპირობებული და მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა განსაზღვრავს წარმოების მოცულობას და ამ საქონლის გასაყიდ ფასს. მოთხოვნა და მიწოდება მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ადამიანები ბაზარზე.

აუცილებლად უნდა ითქვას იმის შესახებ, თუ რა განსაზღვრავს მოთხოვნის რაოდენობას, რა განსაზღვრავს მიწოდების რაოდენობას და რა დამოკიდებულებაა ფასსა დამოთხოვნას, ფასსა და მიწოდებას შორის.

ფასი “ბაზრის ენაა” და სწორედ იგი არეგულირებს საბაზრო ურთიერთობებს. ფასი საქონლის ღირებულების ალტერნატიული ფულადი გამოხატულებაა. ალტერნატიულ ღირებულებას სხვაგვარად ალტერნატიულ დანახარჯებს უწოდებენ და ამდენედ ისინი თითქმის იდენტური ცნებებია და პირდაპირპროპორციულად ახდენენ გავლენას ფასებზე. ფასი და ღირებულება იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს. ფასი, როგორც წესი, მეტი ან ნაკლებია ღირებულებაზე, ეს დამოკიდებულია მოთხოვნათა-მიწოდების თანაფარდობაზე და საბაზრო კონიუნქტურაზე. თუ მოთხოვნა ჭარბობს მიწოდებას, მაშინ ფასი მეტია ღირებულებაზე (ფასი გადაიხდება ღირებულებიდან ზევით), თუ მიწოდება ჭარბობს მოთხოვნას, მაშინ ფასი ნაკლებია ღირებულებაზე (ფასი გადაიხდება ღირებულებიდან ქვევით). ამდენად, ფასის სიდიდის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი არის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა, საბაზრო კონიუნქტურა, სხვანაირად, საბაზრო ძალები, ე. ი. მოთხოვნა და მიწოდება.

რა არის მოთხოვნა, რა არის მიწოდება და რით განისაზღვრება ისინი? მოთხოვნა არის საქონლის რაოდენობა, რომლის შეძენის სურვილი და შესაძლებლობა გააჩნია მყიდველს. საქონლის ფასის შემცირება იწვევს მოთხოვნის ზრდას, და პირიქით, ფასის შემცირება იწვევს მოთხოვნის ზრდას, და პირიქით, ფასის გადიდება იწვევს მოთხოვნის შემცირებას. ამრიგად, ფასსა და მოთხოვნას შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა. ამ კავშირს მოთხოვნის კანონი ეწოდება. ანდა სხვანაირად, როცა საქონელზე მოთხოვნა მცირდება ამ საქონლის ფასის ზრდასთან ერთად (სხვა პირობების უცვლელობის შემთხვევაში) მოთხოვნის კანონი ეწოდება.

ბუნებრივია, რომ ადამიანები საქონელს დაბალი ფასების შემთხვევაში, უფრო მეტს ყიდულობენ, ვიდრე მაღალ ფასებში. კონკურენტულ პირობებში ფასების დონეს განსაზღვრავს მყიდველებისა და გამყიდველების რაოდენობა ბაზარზე და მათ შორის თანაფარდობა. დაბალი ფასების პირობებში მოთხოვნის გაზრდა საბოლოო ჯამში გამოიწვევს იმას, რომ მოთხოვნა გადაჭარბებს მიწოდებას და დაიწყება ფასების ზრდა ეს კი ნიშნავს მოთხოვნის შემცირებას. მოთხოვნა მცირდება შემოსავლების შემცირებასთან ერთად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაკლები ვხარჯოთ ზოგიერთ, ან შესაძლოა ყველა საქონელზე. საქონელი რომელზეც (სხვა თანაბარ პირობებში) მოთხოვნა იზრდება შემოსავლების ზრდასთან ერთად ან მოთხოვნა მცირდება შემოსავლის შემცირებასთან ერთად, ნორმალური საქონელი ეწოდება. მაგრამ საქონელი რომელზეც მცირდება შემოსავლების ზრდის პირობებში მდარე საქონელი ეწოდება. შემოსავლის ცვლილებით გამოწვეულ ცვლილებას მოთხოვნაში ფასისმიერი ფაქტორი ეწოდება. სხვა ფასისმიერი ფაქტორებიდან შეიძლება დავასახელოთ ფასების ცვლილება საქონლისა და მომსახურებაზე, ფასების ცვლილება მონათესავე საქონელზე, როდესაც ერთი საქონლის ფასის შემცირებისას მცირდება მოთხოვნა მეორე საქონელზეც (მხედველობაში გვაქვს ორი ურთიერთშემცვლელი საქონელი), ამ ორ საქონელს შემცვლელი ეწოდება. ასევე, ურთიერთშემცვლელი ეწოდება ორ საქონელს, რომელთაგან ერთი საქონლის ფასის ზრდა იწვევს მეორეზე მოთხოვნის ზრდას. მაგალითად, როდესაც კარაქის ფასი მატულობს, მომხმარებლები მას ნაკლები რაოდენობით შეიძენენ, ეს კი იწვევს მარგარინზე მოთხოვნის გადიდებას, და პირიქით, როდესაც კარაქის ფასი მცირდება, მომხმარებლები მას მეტი რაოდენობით შეიძენენ, ეს კი იწვევს მარგარინზე მოთხოვნის შემცირებას. ამგვარად, როდესაც ორი საქონელი ურთიერთშემცვლელია, ერთ-ერთის ფასსა და მეორეზე მოთხოვნას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს.

მოთხოვნის ცვლილებაზე გავლენას ახდენს ისეთი არაფასისმიერი ფაქტორები როგორცაა: მომხმარებელთა გემოვნების შეცვლა, მყიდველთა (მომხმარებელთა) შემოსავალი და მისი ცვლილება, მყიდველთა (მომხმარებელთა) რაოდენობა ბაზარზე, ცვლილებები მომხმარებელთა მოლოდინში.

სამომხმარებლო გემოვნების, ან მომხმარებელთა გემოვნების შეცვლა შეიძლება დაკავშირებული იყოს რეკლამასთან, მოდის შეცვლასთან, უფრო მაღალხარისხიანი და გამოსაყენებლად მოსახერხებელი შემცვლელის სარეალიზაციოთ გამოტანასთან, ადამიანის ჯანმრთელობაზე დადებითად მოქმედი საგნების მოხმარების გაფართოებასთან:

პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ მომხმარებელთა (მყიდველთა) ფულადი შემოსავლების ზრდა აპირობებს უმაღლესი კატეგორიის, შედარებით ძვირადღირებულ საქონელზე (კომპიუტერები და სხვა.) მოთხოვნის გადიდებას, ხოლო დაბალი კატეგორიის, შედარებით იაფფასიანი საქონელზე (ნახმარი საგნები და სხვა.) _მოთხოვნის შემცირებას.

ცვლილებას მოთხოვნაში იწვევს მყიდველთა (მომხმარებელთა) რაოდენობა ბაზარზე. თუ მყიდველთა რაოდენობა აღემა-

ტება გამყიდველთა რაოდენობის ბაზარზე, ფასები იზრდება და პირიქით. მყიდველთა რიცხვი ბაზარზე კი იზრდება სიი-
აფის პირობებში, ძლიერდება კონკურენცია მათ შორის და შედეგად ამისა იზრდება ფასებიც.

ცვლილებები მომხმარებელთა მოლოდინში ამა თუ იმ საქონელზე ფასები გაიზარდოს და ასეთი მოლოდინი უბიძგებს
მომხმარებლებს დაუყოვნებლივ შეიძინონ იგი და დაასწრონ ფასების მომატების საშიშროებას, ანდა პირიქით, მომხმ-
არებელი დაელოდოს ფასების შემცირებას და შემდეგ შეიძინოს მისთვის სასურველი საქონელი.

რა არის მიწოდება და რით განისაზღვრება მისი რაოდენობა%

მიწოდება არის საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომლის წარმოება და მიწოდება შეუძლია მწარმოებელს
ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასებით დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. იგი გვიჩვენებს საქონლის რაოდენობას, რომ-
ლის წარმოების სურვილი ანდა უნარი გააჩნია მწარმოებელს და იგი შეუძლია გაიტანოს ბაზარზე გასაყიდად დროის
გარკვეულ მონაკვეთში განსაზღვრული ფასებით. როცა ფასები იზრდება, შესაბამისად იზრდება მიწოდებაც და პირიქით.
ფასებსა და მიწოდებას შორის ამ სპეციფიკურ კავშირს მიწოდების კანონი ეწოდება, ანდა სხვანაირად, იმ კანონზომიე-
რებას, რომ ფასი და მიწოდება ერთი და იმავე მიმართულებით იცვლებიან (საქონლის ფასი იზრდება და სხვა თანაბარ პი-
რობებში, იზრდება მიწოდება) მიწოდების კანონი ეწოდება.

ბუნებრივია, რომ მაღალი ფასების პირობებში მწარმოებლები დაინტერესებული არიან მეტი აწარმოონ და მეტი მიაწო-
დონ ბაზარს. მიწოდების გადიდება იწვევს სიჭარბეს, რასაც შედეგად მოსდევს გამყიდველთა შორის კონკურენციის გამ-
წვავება და ფასების დაწევა. ამდენად, საქონლის ყველაზე მაღალი ფასი დიდხანს ვერ იარსებებს და კონკურენციის შედე-
გად კლებას დაიწყებს. დაბალი ფასიც დიდხანს ვერ ძლებს, რადგან სიიფის პირობებში საქონლის მყოფველთა რიცხვი
იზრდება, მათ შორის კონკურენცია ძლიერდება, რასაც შედეგად მოყვება ფასების მატება. დაბალი ფასი ასუსტებს მწარ-
მოებელთა დაინტერესებას მოცემული პროდუქციის წარმოებით, რასაც დროთა განმავლობაში მოსდევს დეფიციტი. ფა-
სების ასეთი მოძრაობა გაგრძელდება მანამ სანამ მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს არ გაუტოლდება.

ნებისმიერი საქონლის მყიდველი დაბალი ფასითაა დაინტერესებული, ნებისმიერი გამყიდველი კი-მაღალი ფასით. რო-
გორც ვხედავთ, ამ ორი ჯგუფის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. როცა ბაზარზე იმდენი მყიდველია რამდენიც
გამყიდველი, ანდა იმდენი საქონელია რამდენზეც მოთხოვნა არსებობს, ამ შემთხვევაში მყარდება წონასწორობის ფასი,
მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევაა. ფასს, რომელიც ყალიბდება ბაზარზე მოთხოვნისა მიწოდების ტოლობისას, წონასწო-
რობის ფასი ეწოდება. ნებისმიერი ფასი, რომელიც წონასწორობის ფასს აღემატება, იწვევს მიწოდების ზრდას, სიჭარბეს,
რის გამოც ფასი იწყებს კლებას. ნებისმიერი ფასი, რომელიც წონასწორობის ფასზე ნაკლებია, იწვევს დეფიციტს და ამის
შედეგად ფასების აწევას.

ამგვარად, კონკურენციის მექანიზმი ავტომატურად ამყარებს საბაზრო წონასწორობას. წონასწორობის ფასი, სხვა სიტ-
ყვებით რომ ვთქვათ, არის მოთხოვნისა და მიწოდების შედეგად ჩამოყალიბებული ფასი, ფასი რომლის დროსაც ბაზარზე
საქონლის არც ნაკლებობაა და არც სიჭარბე, ფასი რომლის დროსაც მყიდველები თანახმა არიან იყიდონ ბაზარზე გამოტა-
ნილი საქონელი კონკრეტულ მომენტში არსებული საბაზრო ფასების პირობებში. თუ საბაზრო ფასი წონასწორობის ფასზე
მაღალია, მწარმოებლები ცდილობენ გამოუშვან მეტი საქონელი, ვიდრე მომხმარებელს სურთ შეიძინონ, ამ შემთხვევაში
წარმოიქმნება მიწოდების გადამეტება, რომელიც დაბლა სწევს ფასს. თუ საბაზროფასი წონასწორობის ფასზე დაბალია,
მწარმოებლები ამცირებენ პროდუქციის გამოშვებას, რაც ფასების ზრდას იწვევს. ვინაიდან საქონლის ყიდვისას მყიდვე-
ლებს ნაკლების გადახდა სურთ, ფასის შემცირება საქონლის მყიდველის ეკონომიკურ მდგომარეობას აუმჯობესებს, მაგ-
რამ გამყიდველთა კეთილდღეობა და ეკონომიკური მდგომარეობა დამოკიდებულია საქონლის მაღალ ფასზე.

ცვლილებები მიწოდებაში (ისე როგორც მოთხოვნაში) გამოწვეულია როგორც ფასისმიერი (ფასების ზრდა ან შემცირება
სარეალიზაციო საქონელზე, ფასების შეცვლა ახვა საქონელზე) ისე არაფასისმიერი (რესურსების ფასების შეცვლა, წარ-
მოების ტექნოლოგიის შეცვლა, მიწოდებელთა რაოდენობა ბაზარზე, მიწოდებელთა მოლოდინი) ფაქტორებით.

როცა ფასები იზრდება საქონელსა და მომსახურებაზე, იზრდება მიწოდებაც და პირიქით, როცა ფასები მცირდება, მცირ-
დება მიწოდებაც. ასევე, სხვა შემცველ (მონათესავე) საქონელზე ფასების შეცვლა იწვევს ცვლილებას მიწოდებაში. მაგა-
ლითადად, ფირმა, რომელიც უშვებდა ქალის ჩანთებსა და მამაკაცის პორტველებს, ამ უკანასკნელი ნაწარმის წარმოებას შეკ-
ვეცავს და პირველისას გაზრდის, თუ კი ფასები ქალის ჩანთებზე საგრძნობლად მოიმატებს, ხოლო მამაკაცის პორტვე-
ლებზე-იგივე დარჩება ან შემცირდება.

რესურსებზე ფასის შეცვლა განაპირობებს ცვლილებას მიწოდებაში. რაც უფრო იაფად შეიძენს მეწარმე ნედლეულსა და
მასალებს, ენერჯიას და შრომის საშუალებებს და რაც უფრო რაციონალურად გამოიყენებს მას, სხვა თანაბარ პირობებში,
მით უფრო მეტ ნაწარმს გამოუშვებს და მიაწოდებს ბაზარს. მაგალითად, მინერალურ სასუქებზე ფასების შემცირება
ზრდის ხორბლის მიწოდებას, საწვინებელ დანადგარებზე ფასების ზრდა ამცირებს სიმინდის მიწოდებას.

წარმოების ტექნოლოგიის შეცვლა (სრულყოფა), უფრო პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, მაქსიმალურად ამცირებს
ფირმის დანახარჯებს და ზრდის მოგებას. მაგალითად, სიმინდის მავნებლების წინააღმდეგ უფრო ეფექტიანი საშუა-
ლების გამოგონება და გამოყენება ზრდის სიმინდის მიწოდებას.

მიწოდებელთა (გამყიდველთა) რაოდენობა ბაზარზე, ახვა თანაბარ პირობებში, განსაზღვრავს საქონლის მიწოდების მო-
ცულობას. როცა იზრდება მიწოდებელთა რიცხვი, იზრდება საქონლის მიწოდებაც, რსც საბოლოო ჯამში გამოიწვევს შე-
უსაბამობას მოთხოვნა-მიწოდებას შორის და ფასების შემცირებას.

ცვლილებას მიწოდებაში განაპირობებს აგრეთვე მიწოდებელთა (გამყიდველთა) მოლოდინი. თითოეული მეწარმე აკე-

თებს გარკვეულ პროგნოზს იმის თაობაზე, თუ რა არის მოსალოდნელი მომავალში (პერსპექტივაში), მოცემულ საგანზე მოთხოვნის გაზრდა თუ შემცირება (შესაბამისად ფასების ცვლილებაც). როდესაც მწარმოებელი ელოდება ფასების ზრდას, იგი საქონლის გარკვეულ ნაწილს შეინახავს საწყობებში და ბაზარს ნაკლები რაოდენობით მიაწოდებს მას.

მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე საბაზრო ფასების ჩამოყალიბების მექანიზმის ცოდნა საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად ჩავიხედოთ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში და ვუპასუხოთ კითხვას: რა არეგულირებს საბაზრო ეკონომიკას? ეს არის ბაზარი, ბაზრის ენა-ფასი, ბაზრის “უხილავი ხელი”, რომელიც მნიშვნელოვანწილად, შეიძლება დაყვანილი იქნეს თავისუფალი ფასების განსაკუთრებულ როლამდე, რომელიც, ძირითადად, სამი ფუნქციით გამოიხატება: ფასების საინფორმაციო ფუნქცია, გამაწონასწორებელი ფუნქცია და მასტიმულირებელი ფუნქცია.

როცა ფასები იზრდება მოთხოვნის ზრდასთან ერთად, იგი ნიშნავს აძლევს მწარმოებელს საქონლის რეალიზაციის მასშტაბების ზრდის თაობაზე. ამაში გამოიხატება ფასის საინფორმაციო ფუნქცია. ფასების ცვლილება მწარმოებელთათვის შეიძლება ნიშნავდეს იმასაც, რომ მცირდება, ვთქვათ, გარკვეული სახის ნედლეული და ამიტომ ბუნებრივია მისი გაძვირება. ფასმა რომ ეს ფუნქცია შეასრულოს იგი თავისუფალი უნდა იყოს სახელმწიფოს კონტროლისაგან, ანუ მისი “ხილული ხელისაგან”.

ფასების ცვლილებასთან არის დაკავშირებული ბაზრების გაწონასწორების ფუნქცია. ბაზარი გაწონასწორებულია, როცა ადგილი არ აქვს საქონლის ნაკლებობას, რაც არასაბაზრო ეკონომიკის დამახასიათებელი თვისებაა. ბაზრისამგვარი მდგომარეობის (გაწონასწორება) მიღწევა შეიძლება მოთხოვნა-მიწოდების კანონის მოწმედების შეუზღუდველობის პირობებში. როცა ამა თუ იმ საგნის მიწოდება ჭარბობს მასზე მოთხოვნას, მისი ფასი კლებულობს და მოგება მცირდება. ამით ბაზარი სიგნალს აძლევს ფირმას თავი შეიკავოს ამ საქონლის წარმოებისაგან. პირიქით, თუ საქონელი ცოტაა და მოთხოვნა ამ საქონელზე დიდია, მაშინ ფასი მატულობს, რათა ბაზარი ატყობინებს ფირმას მეტი აწარმოოს. აქედან გამომდინარეობს ფასის მაკორდინირებელი როლი საბაზრო ეკონომიკაში, საბაზრო წონასწორობის დამყარებაში. სწორედ ეს არის ფასების გამაწონასწორებელი ფუნქცია.

მოთხოვნის ზრდა იწვევს რა ფასების ზრდას, იგი თავის მხრივ ზღუდავს შემდგომი შესყიდვის მასშტაბის ზრდას. ამ გზით მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მყარდება ახალი რაოდენობრივი პროპორციები და სწორედ ამაში გამოიხატება ფასების მასტიმულირებელი ფუნქცია.